№080
(12 150)

6 აპრილი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნების სამეული: პარასკევი, შაბათი, კვირა

# სამი დღე ბელგრადში


საქართველოს ნაკრების წარდგენა 13

დღეს ბელგრადში ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი იწყება. ვაჟებში ტატამზე 60 და 66 კილოგრამამდე წონით კატეგორიის მოჭიდავეები გამოვლენ, ქალებში კი დღეს სამი წონაა - 48, 52, 57. ყველაზე მსუბუქ წონაში **ნესტორ ხერგიანი** პირველ წრეში თურქ ქემალ ოგიუზს შეხვდება. გამარჯვების შემთხვევაში მას, სავარაუდოდ, მეტად უხერხული მეტოქე ლუდვიგ პაიშერი (ავსტრია) ელის. ევროპის შარშანდელი ჩემპიონი **ზაზა კედელაშვილი** (66 კგ.) ალბინ დალს (ნორვეგია) ხვდება, ხოლო მეორეში წესით ბერძენ ტარიელ ზიდირიდისს (სონიშვილი) უნდა ექიდაოს.

აქვე ქალთა დღევანდელ მეტოქეებსაც გეტყვით - 48 კგ: **ნაია ვეშაგური** რონი შვარცის (ისრაელი) წინააღმდეგ, 52 კგ: **მარიამ ტარუაშვილი** პირველ წრეში ისვენებს, 57 კგ: **დუსკა ქერიმოვა** - საბრინა ვილმოზერი (ავსტრია).

ხვალ და ზეგ ტურნირში დანარჩენი წონითი კატეგორიები ჩაებმებიან. უინტერესო არ უნდა იყოს, ვის ხვდებიან ჩვენები. 81 კგ. წონით კატეგორიაში **გიორგი ბაინდურაშვილი** პირველ წრეში ისვენებს, მეორეში ის ან უნგრელ (ნადისოლიმოში) სპორტსმენს შეხვდება ან ბულგარელს (დმიტროვი). წესით არც მესამე მეტოქე უნდა იყოს დაუმარცხებელი, შეიძლება ითქვას, რომ წილისყრამ ბაინდურაშვილს გაუმართლა. **ირაკლი ცირეკიძის** (90 კგ.) პირველი მეტოქე ხორვატი ტომისლავ ვუჩაკია, მეორე - თურქი ბურჰან ქოჩანი. 100 კილომდე წონით კატეგორიაში **ლომერ ჟორჟოლიანი** პირველ წრეში ისვენებს, მერე კი, სავარაუდოდ, აზერბაიჯანელ მოვლადი მირალიევს ხვდება. მძიმეში **ლაშა გუჯეჯიანი** ასპარეზობაში მეორე წრიდან ჩაერთვება, ის ან ბულგარელ ილიევს, ან ბრიტანელ დელეის შეხვდება. მოგების შემთხვევაში, ლაშას მეოთხედფინალში ორ მსოფლიო ჩემპიონს შორის გამარჯვებული ხვდება - ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი) ან დენის ფან დერ ხესტი (ჰოლანდია).



დევისის თასი.
სერბეთი-საქართველო

## ლაბაძე ვერ თამაშობს

როგორც ჩანს, საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები წინასწარ შეეგუა მარცხს სერბების წინააღმდეგ დევისის თასის მატჩში - ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა და ბელგრადში ვერ ითამაშებს ჩვენი გუნდის ლიდერი **ირაკლი ლაბაძე**. ლაბაძემ მარჯვენა ხელის ოპერაცია გაიკეთა, თუმცა რადგან ცაცია, ნაკრებისთვის ასე მნიშვნელოვან მატჩში თამაშს ცალი ხელით აპირებდა. ის გუნდის განაცხადშიც შეიყვანეს, მაგრამ თამაშით ირაკლი, სამწუხაროდ, ვერ ითამაშებს. ეს საქართველოს ნაკრების ისედაც მცირე შნასს მიზერულად აქცევს, სერბეთში **ნოვაკ ჯოკოვიჩის** და კომპანიის დამარცხება ულაბაძეოდ თითქმის გამორიცხულია.

დღეს მატჩის პირველი დღეა, ადგილობრივი დროით 13 საათიდან (საქართველოს დროით 14 საათიდან) ბელგრადის გარეუბან კოვილოვოს "სპორტსკი სენტარის" კორტი **ნოვაკ ჯოკოვიჩს** და **გიორგი ჭანტურიას** დაეთმობათ. ჯოკოვიჩი სულ რაღაც წლინახევრით უფროსია ჭანტურიაზე, სხვა მხრივ მათ შორის ნამდვილი უფსკრულია, კლასში და გამოცდილებაში. ჯოკოვიჩმა ახლახან მაიამის მასტერსი მოიგო და მსოფლიოს მე-7 ჩოგანი გახდა, საქართველოს ჩემპიონი ჭანტურია კი ლამის ორიათასიან რეიტინგ-ლისტშიც არაა. საქმე იმაშია, რამდენი გეიმის მოგებას შეძლებს დღეს ჩვენი ჩოგბურთელი. ამ მატჩის შემდეგ, წესით, ნამდვილი ბრძოლა უნდა გაიმართოს - სერბთა მეორე ჩოგანი **იაკო ტიპსარევიჩი** ლადო ჩიხლაძეს ხვდება. ორივე ჩოგბურთელი 21 წლისაა, ტიპსარევიჩი მსოფლიოს 92-ე ჩოგანია, ლადო - მხოლოდ 478-ე, თუმცა ჩიხლაძის მაინც გვეიმედება, ბოლო დროს ის ბრწყინვალედ ათამაშდა. ხვალ წყვილთა მატჩში **ილია ბოზოლიასის** და **იანკო ტიპსარევიჩის** დუეტი **ლადო ჩიხლაძის** და ჩვენი მეოთხე ნომრის, **გიორგი ხრიკაძის** წყვილს შეხვდება. თუმცა არის შანსი, რომ თუკი ლადო ტიპსარევიჩს მოუგებს, ლაბაძემ გადაწყვიტოს წყვილებში თამაში, საკუთარი ჯანმრთელობის ფასად. კვირას ნოვაკ ჯოკოვიჩი ლადო ჩიხლაძეს დაუპირისპირდება, ხოლო იანკო ტიპსარევიჩი - გიორგი ჭანტურიას. საქართველოს ნაკრები გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიო ჯგუფის ფლეი-ოფში გასასვლელად იბრძოლებს, მარცხი-კი არაფერს შეცვლის, გაისადაც პირველ ევრო-აფრიკულ ზონაში ვითამაშებთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## შოთამ ვერ გაიტანა

ალკმაარი-ვერდერი 0:0

უეფას თასის მეოთხედფინალი. პირველი მატჩები 15



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩები

# ბრაზილიასთან 17 ნოემბერს

## არგენტინას კვირა ვთხოვეთ



არგენტინასთან თამაშის საკითხი ერთ კვირაში გადაწყდება

არგენტინის საფეხბურთო ასოციაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან გუშინ ითხოვდა პასუხს 12 სექტემბერს საქართველო-არგენტინის ამხანაგური მატჩის გამართვასთან დაკავშირებით. პასუხი კი მიიღეს არგენტინელებმა, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც ელოდნენ.

"არგენტინასა და ბრაზილიასთან პარალელურ რეჟიმში ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. ამასთან, პოტენციურ სპონსორებთანაც გვაქვს შეხვედრები ამ მატჩების ფინანსური მხარის მოსაგვარებლად. დღესაც ვიმსჯელეთ და აშკარად გამოჩნდა, რომ კიდევ რამდენიმე დღე გვჭირდება გადაწყვეტილების მისაღებად. აღდგომის დღესასწაული ახლოვდება, უქმე დღეებია და არგენტინულ მხარეს ვაცნობეთ, რომ საბოლოო პასუხს დაახლოებით ერთ კვირაში მივწერთ", - გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

არგენტინისა და ბრაზილიის მხარესთან ამხანაგური მატჩების ორგანიზების საკითხზე **ნიკო პატარქალიშვილი** მუშაობს. გუშინ მასაც დავუკავშირდით.

"არგენტინამ ოფიციალურად განაცხადა თანხმობა თბილისში მატჩის გამართვასთან დაკავშირებით. ქართული მხარის თანხმობაღა აკლია და ეს საკითხი გადაწყდება. თბილისიდან დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში 12 სექტემბერს საქართველო-არგენტინის მატჩი შედგება. თუმცა ბუენოს აირესში პასუხი რაც შეიძლება მალე უნდა ვაცნობოთ, თორემ არგენტინას 12 სექტემბერს ამხანაგური მატჩის ჩატარების თაობაზე უკვე რამდენიმე ქვეყანამ მიმართა და თუ არ ვიჩქარებთ, შესაძლოა, სხვებმა გვაჯობონ. რამდენიმე დღეში, არგენტინიდან ბრაზილიას მივაშურებ და იქ ადგილზე გავაგრძელებ მოლაპარაკებებს. მჯერა, ამ მატჩის ორგანიზებაც გამოვა", - გვითხრა პატარქალიშვილმა.

უგულავასა და პატარქალიშვილის თქმით, ბრაზილიურ მხარესთან თბილისში ამხანაგური მატჩის 17 ნოემბრისთვის გამართვაზე წარიმართება მოლაპარაკებები, რაკი 12 სექტემბერს არგენტინასთან თამაშზეა საუბარი.

ბუნებრივია, საინტერესოა, თუ რომელ კომპანიებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს ფედერაცია სპონსორობის თაობაზე. ამაზე უჩა უგულავამ შემდეგი გვითხრა:

"კომპანიებს ვერ დაგისახელებთ. გეტყვით იმას, რომ პოტენციური სპონსორები ტელეკომპანიებიც არიან. ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ "იმედთან", "მზესთან", სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი2-თან", "საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან". ამასთან, ფაქსით ვაცნობეთ უკრაინულ სპორტულ ტელეარხ "სპორტ1-ს" და თუ დაინტერესდება ისიც ჩაერთვება მოლაპარაკებებში".

მაინც რა თანხებს უკავშირდება არგენტინისა და ბრაზილიის ნაკრებებთან თბილისში ამხანაგური მატჩის გამართვა? როგორც შევიტყვეთ, თითო თამაშის ორგანიზება 1 მილიონ დოლარი ჯდება. ფედერაცია ამ თანხის მოძიებისთვის ძალ-ღონეს არ იშურებს და იმედია, სპონსორებიც არ გააწბილებენ ქომაგებს და საფეხბურთო "ოქროს შემოდგომას" აჩუქებენ.

**დავით ცაბაძე**



ინტერვიუ გელა შეყილაძესთან

# უკან არაფერზე დავიხევ

**"ნოდარ ახალკაცისა და საერთოდ ფედერაციის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქართულ ფეხბურთში ახალგაზრდა მწვრთნელების დასაქმებაა. სწორედ ამის დასტურია ის, რომ გელა შეყილაძე ჩვენ გვერდით მუშაობს...", - ორიოდე დღის წინათ გვითხრა 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ჰერბერტ ცანკერმა...**

**გელა შეყილაძე ქართულ ფეხბურთს დაუბრუნდა და ამჯერად მწვრთნელად მოგვევლინა. რა მიზნები და ჩანაფიქრები აქვს ეროვნული ნაკრების ყოფილ მცველს? ამას გელა შეყილაძესთან საუბრიდან შეიტყობთ. ინტერვიუ პორტუგალიაში წასვლამდეა ჩაწერილი.**

- აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, ფეხბურთში მწვრთნელის რანგში დარჩენა გადავწყვიტე. უეფას მწვრთნელთა ლიცენზირების კურსები გავიარე, გამოცდები ჩავაბარე და B კატეგორიის მწვრთნელი ვარ. ცოტა ხნის წინათ ფედერაციის ხელმძღვანელობასთან მქონდა საუბარი და, როგორც ხედავთ, საქმეს შევუდექი. ჯერ 21-წლამდელთა ნაკრებს ვახლდი თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე. მერე ჰერბერტ ცანკერის შტაბში ვიყავი ურეკის შეკრებაზე. ახლა კი 17-წლამდელთა ნაკრებს მივყევი პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირზე.

**- გამოდის, ფედერაციის ერთ-ერთი მწვრთნელი ხარ და სხვადასხვა ასაკის ნაკრებ გუნდებში გიწევს მუშაობა...**

- ასე გამოდის. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. ჩემთვის მთავარია, რომ მწვრთნელობაში პირველ ნაბიჯებს ვდგამ და ქართული ფეხბურთის სამსახურში ვარ. ბედნიერი ვარ, რომ გამოცდილი მწვრთნელების გვერდით მიწევს მუშაობა. პეტარ სეგრტისა და ჰერბერტ ცანკერის გვერდით გატარებულმა პერიოდმა ბევრი რამ შემძინა. არაერთი სამწვრთნელო ნიუანსი ავითვისე და ცოდნაც გავიმდიდრე.

**- მწვრთნელობას ჯერ კიდევ ბელგიურ "ლიერსში" თამაშისას აპირებდი...**

- კი, მაგრამ ენობრივი ბარიერის გამო ეს ჩანაფიქრი მაშინ ვერ განვახორციელე. ხელი არ ჩამიქნევია და გადავწყვიტე სამშობლოში მიმეღო სამწვრთნელო განათლება.

**- უცხოელ მწვრთნელებთან კი მუშაობ, მაგრამ უცხო გარემოში ნამდვილად არ ხარ. ჰერბერტ ცანკერის თანაშემწეებს, ლევან ხომერიკსა და ასლან ბალაძეს ჯერ კიდევ "ბათუმიდან" იცნობ...**

- კი, ეგრეა. მათ ჩემზე მეტი გამოცდილება აქვთ და ყველანაირად გვერდით მიდგანან.

**- პირველი ნაბიჯები ბევრს უჭირს. შენ რას განიცდიდი?**

- თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს პრაქტიკის არქონით იყო განპირობებული. ახლა უკვე აღარ მეშინია და მჯერა, არაფერი გამიჭირდება, რადგან მეგობრებისა და გამოცდილი მწვრთნელების გვერდით ვარ.

**- უცხოელ მწვრთნელებს როგორ დაახასიათებდი?**

- ცანკერი და სეგრტი გამოცდილი სპეციალისტები არიან. მეტსაც გეტყვით, ფეხბურთზე ასე ძლიერ შეყვარებული მწვრთნელები ჯერ არ მინახავს. ისინი ყველა საქმეს გულიანად და პროფესიულად უდგებიან.

**- ბელგიაში ასპარეზობისას "ლიერსშიც" გინახავს ჭაბუკი ფეხბურთელები. იქნებ მათ ქართველი თანატოლები შეადარო...**

- ბელგიაში ბავშვებს 4-5 წლიდან ათამაშებენ ფეხბურთს. მართალია, ამ ასაკში ბავშვებისთვის ფეხბურთი მხოლოდ გართობაა, მაგრამ თავისი დადებითი მხარეც აქვს – ბავშვი ბურთს ეჩვევა. რაც შეეხება შედარებას, ქართველი ბავშვი ევროპელ თანატოლზე ყველა მონაცემებით უკეთესია. თუმცა ევროპელები მერე და მერე უკეთესი პირობებისა და სწორად აღზრდის გამო ჯობნიან ჩვენებს. რასაც ვუყურებ, ამ პირობებშიც შეიძლება მეტის გაკეთება. მთავარია, ბავშვებსა და მოზარდებს კვალიფიციური მწვრთნელები ამზადებდნენ.

**- სწავლების გაგრძელებასა და A კატეგორიის ლიცენზიის აღებას თუ აპირებ?**

- აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ძალიან მინდოდა ფეხბურთში დარჩენა. მართალი გითხრათ, დიდხანს ვფიქრობდი მწვრთნელობა ამერჩია თუ არა. ეს ნაბიჯი უკვე გადავდგი და ახლა უკან არაფერზე დავიხევ. რაღა თქმა უნდა, სწავლას გავაგრძელებ და A კატეგორიის ლიცენზიასაც ავიღებ. მინდა, ეს საქმე კარგად შევისწავლო.

**დავთ ცაბაძე**



www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტადიონები

# მიიღებენ ეროვნულს ელიტაში?

## ფედერაციამ უეფას სტადიონები წარუდგინა

გუშინ ფეხბურთის ფედერაციამ უეფას იმ სტადიონების წინასწარი ჩამონათვალი გადასცა, რომელსაც ევროპის საკლუბო ტურნირების (ჩემპიონთა ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპამდე), ეროვნული და 21-წლამდელთა ნაკრებების საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩების მასპინძლობა შეეძლება 2007-08 წლებში:

**1. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი (მე-3 კატეგორია).**
**2. მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი (მე-2 კატეგორია, გარკვეული სამუშაოები კიდევაა ჩასატარებელი).**
**3. ბოლნისის თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი (მე-2 კატეგორია, დასამთავრებელია).**
**4. რუსთავის "ფოლადის" სტადიონი (მე-2 კატეგორია, დასამთავრებელია).**

როგორც ხედავთ, ეროვნულ სტადიონს მხოლოდ მე-3 კატეგორია აქვს, რაც ელიტური კატეგორიის წინა საფეხურია. ფედერაციის საკლუბო ლიცენზირების მენეჯერის **ბაქარ ჟორდანიას** განმარტებით, ეროვნულ სტადიონზე მეორე ეტაპის სამუშაოების დასრულების შემდეგ კიდევ ერთხელ მოხდება მისი შემოწმება და თუკი სტადიონი ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, მაშინ მას უმაღლესი სტატუსი მიენიჭება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ "ეროვნულს" უფლება ექნება უეფას ეგიდით გამართულ ყველაზე მაღალი კატეგორიის მატჩებსაც უმასპინძლოს.

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის ხელმძღვანელობას გარკვეული მითითებები მიეცა, რომელიც ძირითადად სანიტარული წერტილებისა და მდგრადობა-უსაფრთხოების საკითხებს შეეხება. პრობლემები უახლოეს მომავალში უნდა მოგვარდეს.

გარკვეული პრობლემებია მოსაგვარებელი ბოლნისის თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზეც, რომელზეც ასევე მდგრადობა-უსაფრთხოების საკითხია მოსაწესრიგებელი. ამასთან, დასასრულებელია კონტროლის ოთახის, სატელევიზიო სტუდიის, საკომენტატორო ჯიხურის, პრესლოჟის სარემონტო სამუშაოები. გასაკეთებელია მიმთითებლები და პიქტოგრამები. რაც შეეხება განათებას, შემოწმებამ აჩვენა, რომ განათება სტანდარტებს არ შეესაბამება და გაძლიერებას საჭიროებს. ასევე საჭიროა სტადიონზე იყოს ავარიული გენერატორი, რომელიც ენერგომომარაგების შეწყვეტის შემთხვევაში უზრუნველყოფს



უეფა ეროვნულ სტადიონს მაისში შეაფასებს

სტადიონის განათებას. როგორც ირკვევა, საფეხბურთო კლუბმა ბოლნისის "სიონმა" წარმოადგინა საგარანტიო წერილი, რომლის თანახმადაც ყველა ზემოაღნიშნული პრობლემა მიმდინარე წლის აპრილის ბოლომდე უნდა მოგვარდეს.

რაც შეეხება რუსთავის "ფოლადის" სტადიონს, იქ ამჟამად ძირეული რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და ამ ეტაპზე მისი შეფასება შეუძლებელია. საფეხბურთო კლუბმა რუსთავის "ოლიმპმა" საგარანტიო წერილი წარმოადგინა და ირწმუნება, რომ მე-2 კატეგორიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სტადიონზე ჩასატარებელი ყველა სამუშაო აპრილის ბოლოსთვის დასრულდება.

უეფას საკლუბო ტურნირების მასპინძლობის სურვილი საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონსაც" ჰქონდა, თუმცა სტადიონის შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ მიმდინარე სეზონში ეს ვერ მოხერხდება. კლუბს სტადიონის ინფრასტრუქტურის განსავითარებლად გარკვეული მითითება მიეცა.

შარშან უეფაში ევროტურნირებისა და სანაკრებო მატჩების მასპინძლობისთვის ჩვენმა ფედერაციამ მხოლოდ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი წარადგინა. ამჯერად კი უეფას ოთხი არენა შევთავაზეთ.

დაბოლოს, გაცნობებთ იმასაც, რომ უეფას სპეციალური კომისია მაისში გვეწვევა და ქართული მხარის მიერ წარდგენილ სტადიონებს კიდევ ერთხელ შეამოწმებს.

**დავით ცაბაძე**

ბავშვთა ფეხბურთი

## გიორგი ნემსაძე:

# ახალი პროექტით ტალანტებს გამოვაჩენთ

თბილისის საკრებულოში არჩეული საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი **გიორგი ნემსაძე** ახალი პროექტის განხორციელებას აპირებს, რომელიც მასიური და ბავშვთა ფეხბურთის ერთ ჭერქვეშ გაერთიანებას და ამგვარად, სასელექციო მუშაობის ხარისხის გაზრდას იმედოვნებს.

*"თბილისის მერიამ მინი-მოედნების მშენებლობაზე უდიდესი თანხები დახარჯა. ძალიან დიდი საქმე გაკეთდა საიმისოდ, რომ ბავშვები ქუჩას მოწყდნენ და ფეხბურთი უფრო მასიური გახდეს. თუმცა მოედნები არავის ბალანსზე არაა და მეშინია, წლების შემდეგ ეს შრომა წყალში არ ჩაიყაროს, მოედნები არ გავერანდეს.*

*საამისოდ, ჩემი აზრით, უპრიანი იქნება, უბნების მწვრთნელების ინსტიტუტის დაფუძნება. A ლიცენზიის მქონე მწვრთნელებს არ ვგულისხმობ, დასაქმდებიან B და C კატეგორიის მწვრთნელები. თუკი მათ ხელფასს დავუნიშნავთ, ისინი სტადიონებსაც მოუვლიან და ბავშვებსაც ავარჯიშებენ. ფაქტია, რომ გაზის, შუქის, წყლის გადასახადის ზრდა საფეხბურთო სკოლებსაც გადასახადის გაზრდას აიძულებს. ბევრი ნიჭიერი ბავშვია ღარიბი ოჯახებიდან, ისინი გაზრდილი გადასახადების გამო, ფეხბურთზე ვერ დადიან. ჩვენი პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ასეთი ბავშვები აღარ დაიკარგებიან. ისინი მომარაგდებიან ფორმებით და ბუცებით, უფასოდ ივარჯიშებენ და ერთბაშად ორ კურდღელს დავიჭერთ - მოედნებსაც მოვუვლით და ღარიბი და ნიჭიერი ბავშვებიც არ დაიკარგებიან. მერე კი მათ შორის გამორჩეულებს საფეხბურთო სკოლებში გადაიყვანენ.*

*ამას მეორე საკითხიც მიებმება. ბავშვები ტყუილად ხომ არ ივარჯიშებენ? ვარჯიში ტურნირის გარეშე უაზრობაა. ამიტომ ყოველწლიურად "ტყავის ბურთის" მსგავსი ტურნირი ჩატარდება. პირადად ეჭვი არ მეპარება, რომ ასე ბევრი ტალანტი გამოჩნდება",* - გვითხრა გიორგი ნემსაძემ.



გიორგი ნემსაძე

პროექტი ჯერ თბილისის საკრებულოს არ დაუმტკიცებია, მაგრამ ნემსაძეს საკითხის დადებითად გადაწყვეტის იმედი აქვს: *"თბილისის მერიის სპორტის სამსახური პროექტს განიხილავს და დარწმუნებული ვარ, დადებით პასუხს მივიღებთ. ეს აზრი თავში იმიტომ მომივიდა, რომ ძალიან ხშირია ზარები, როდესაც ღარიბი ოჯახები დახმარებას გვთხოვენ, იქნებ სკოლაში ბავშვი უფასოდ მიიღონო".*

ამას გარდა, ნაკრების ყოფილ კაპიტანს მეორე პროექტიც დაუმუშავებია.

*"ვფიქრობ, არანაკლებ სასარგებლო უნდა იყოს თბილისის სპორტის სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი 35-ე სკოლის, "ავაზისა" და სხვების გაერთიანება. საკითხი გლობარულად უნდა განვიხილოთ და სკოლებს ერთი პატრონი უნდა გავუჩინოთ. ასე მუშაობა უფრო ორგანიზებული გახდება და სკოლების მართვაც გაიოლდება",* - აღნიშნა ნემსაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**




07.04.2007 - მე-19-ე ტურის გათამაშების ცხრილი

ოლიმპი - ბორჯომი
მერანი - ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი - ჩიხურა
ზესტაფონი ბათუმი
კახეთი - დინამო (თბ.)
სიონი - დილა
ტორპედო - ამერი
სპარტაკი (ნალჩიკი) - რუბინი
ფრაიბურგი - აუგსბურგი
ფიურტი - კარლ ცაისი
მიუნხენ 1860 - კარლსრუე

სავარაუდო ჩანაცვლება

# ცხინვალი ჩიხურას ნაცვლად?

უამრავი პრობლემის მიუხედავად, "ცხინვალის" ხელმძღვანელობა ჯერაც არ კარგავს უკეთესი მომავლის იმედს. შეგახსენებთ, შარშანდელი სეზონის შედეგების მიხედვით, კლუბმა უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა, მაგრამ უსახსრობის გამო, ვერც პირველ ლიგაში შეძლო ასპარეზობა და დაშლასაც ძლივს გადაურჩა.

მიმდინარე სეზონს შიდაქართლელები რეგიონულ ლიგაში ატარებენ და კვლავაც ეგრეთ წოდებული სამხრეთი ოსეთის მეორე თვითგამოცხადებული პრეზიდენტის, **დიმიტრი სანაკოევის** იმედად არიან. როგორც გახსოვთ, ეს უკანასკნელი კლუბის მესვეურებს დაფინანსებას მეორე წრის განახლებამდეც ჰპირდებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში "ცხინვალს" პირი უტეხა.

*"მაშინ სანაკოევმა გვითხრა, რომ "ცხინვალისთვის" თანხები ვერ გამოიყო, თუმცა იმის იმედიც გამოთქვა, რომ ფული მომავალი სეზონისთვის გამოჩნდებოდა. ჩვენც სხვა რა დაგვრჩენია, მაისის ბოლოს სანაკოევს კიდევ ერთხელ შევხვდებით და ეგებ ახლა მაინც მივაღწიოთ სანადელს. იმედი ისევ მაქვს და ვნახოთ, რა გამოვა. ყველაფერს ვილონებთ იმისთვის, რომ გუნდი არ დაიშალოს და ღირსეულად იარსებოს",* - ამბობს "ცხინვალის" პრეზიდენტი **ზურაბ ნასუაშვილი.**

მას ისიც ეიმედება, რომ სანაკოევის თანადგომის შემთხვევაში, მომავალ სეზონში უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ: *"უმაღლესი მხოლოდ უფინანსობის გამო დავტოვეთ და არა ცუდი შედეგების გამო. შესაბამისად, სრული უფლება გვაქვს, ადგილის აღდგენა მოვითხოვოთ. შესაძლოა, ამას უმაღლესი ლიგის 16 გუნდამდე გაზრდით მივაღწიოთ, ან არადა, ადგილის დათმობის თაობაზე რომელიმე კლუბთან გავმართავთ მოლაპარაკებას. თუმცა აქამდე ჯერ ძალიან შორია, მთავარია, რას გვეტყვის სანაკოევი. მისი თანადგომის შემთხვევაში, სერიოზულ მიზნებს დავისახავთ",* - აცხადებს ნასუაშვილი.

გამომდინარე იქიდან, რომ 16 გუნდიანი უმაღლესი ლიგის აღდგენის შანსი მიზერულია, დაფინანსების შემთხვევაში, "ცხინვალი" მიზნის მიღწევას ალბათ, უფრო მეორე გზით შეეცდება.

საჩხერის "ჩიხურას" გუნდის უფროსმა **ბადრი ბრეგვაძემ** "ლელოსთან" საუბარში განაცხადა, რომ დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში (რისი ალბათობაც საკმაოდ დიდია), მისი კლუბი, სავარაუდოდ, უმაღლესში ადგილს დათმობს და ქვედა ლიგაში გადაინაცვლებს.

შესაბამისად, საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ მომავალ უმაღლეს ლიგაში "ჩიხურას" ადგილი "ცხინვალმა" დაიკავოს. მოვლენათა ამგვარ განვითარებას ამ კლუბების ხელმძღვანელები არ გამორიცხავენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

**XXV ტური**

| | |
|---|---|
| ოლიმპი-გაგრა | 1:1 |
| მეშაქრე-მეშახტე | 2:1 |
| გურია-სამტრედია | 0:1 |
| ვიტ ჯორჯია 2-მადაროელი | 2:0 |
| მგლები-დინამო 2 | 1:0 |
| სპარტაკი-მერცხალი | 2:1 |
| ჩიხურა 2-ნ. დინამო | 1:3 |
| ამერი 2-მესხეთი | 1:2 |
| რაჭა-ზესტაფონი 2 | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 24 | 18 | 2 | 4 | 39-13 | 56 |
| 2. მესხეთი | 24 | 16 | 4 | 4 | 41-14 | 52 |
| 3. ოლიმპი | 25 | 13 | 5 | 7 | 46-25 | 44 |
| 4. მეშაქრე | 25 | 12 | 8 | 5 | 31-21 | 44 |
| 5. ვიტ ჯორ. 2 | 25 | 11 | 6 | 8 | 38-21 | 39 |
| 6. ამერი 2 | 25 | 10 | 9 | 6 | 35-28 | 39 |
| 7. გაგრა | 25 | 11 | 4 | 10 | 34-30 | 37 |
| 8. მადაროელი | 25 | 10 | 7 | 8 | 33-29 | 37 |
| 9. დინამო 2 | 25 | 9 | 7 | 9 | 44-25 | 34 |
| 10. სამტრედია | 24 | [illegible] | 7 | 8 | 24-31 | 34 |
| 11. ნ. დინამო | 23 | 10 | 3 | 10 | 33-32 | 33 |
| 12. ზესტაფ. 2 | 23 | 7 | 9 | 7 | 22-18 | 30 |
| 13. მეშახტე | 23 | 8 | 5 | 10 | 31-31 | 29 |
| 14. სპარტაკი | 25 | 7 | 3 | 14 | 15-35 | 24 |
| 15. ჩიხურა 2 | 24 | 6 | 5 | 13 | 22-40 | 23 |
| 16. რაჭა | 23 | 5 | 7 | 11 | 22-37 | 22 |
| 17. გურია | 25 | 5 | 5 | 15 | 23-52 | 20 |
| 18. მერცხალი | 24 | 2 | 4 | 18 | 15-63 | 10 |

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



ვინ გათხარა ქართლი?

# ზესტაფონმა ფოტოფაქტი წარმოადგინა

ყბადაღებული "ქართლის" გათხრების შესახებ პოლემიკა არ წყდება. ორმხრივი ბრალდებების შემდეგ, გუშინ "ზესტაფონმა" ახალი ვიდეომასალა გაავრცელა, რომელიც რამდენიმე ადგილზე დაზიანებული გაზონის მდგომარეობას ასახავს.

კიდევ უფრო საინტერესოა "ზესტაფონის" წარმომადგენელთა მიერ გადაღებული ფოტოსურათი, სადაც კარის ძელებთან მოფუსფუსე რამდენიმე ნიჩბიანი ადამიანი ჩანს.

*"აქამდე სიტუაციის გამწვავებას ვერიდებოდით და ეს მასალა საზოგადოების სამსჯავროზე ამიტომაც არ გამოგვქონდა. ამ ბინძური ცილისწამების შემდეგ კი, სხვა გზა აღარ დაგვრჩა. ვფიქრობ, ჩვენ მიერ ფარულად გადაღებული ეს ფოტო ყველაფერს ნათელს ჰფენს. როგორც ხედავთ, ძელების სიმაღლის სტანდარტებში მოყვანის მიზნით, კართან რამდენიმე პიროვნება რთულ და საფუძვლიან სამუშაოებს ატარებს. მოედანი იმდენ ადგილასაა გათხრილი, საბოლოოდ ქრება ეჭვი იმის თაობაზე, რომ ეს სტადიონზე შეპარულმა ორმა ადამიანმა ნაჩქარევად ჩაიდინა.*

*ითქვა, რომ ამ საქმეში "ზესტაფონის" მწვრთნელების ხელი ურევია. ამ აბსურდულ ბრალდებაზე თავის მართლებას ნამდვილად არ ვაპირებთ, მაგრამ ლოგიკურად, ეს გათხრები "ზესტაფონის" ინტერესებში არ შედიოდა, შესაბამისად, გვიჩნდება სერიოზული ეჭვი, რომ ყოველივე ეს, როგორც მინიმუმ, ჩვენი კლუბის ავტორიტეტის შელახვას ისახავს მიზნად.*

*იმედია, საზოგადოება მალე შეიტყობს იმ ხალხის ვინაობას, რომელთაც ყოველივე ეს ხელს აძლევდათ. ჩვენ კი ჯერაც ვიტოვებთ იმის იმედს, რომ "ჩიხურასთან" მატჩში "ზესტაფონს" გამარჯვება ჩაეთვლება, ან უკიდურეს შემთხვევაში, გადათამაშება მაინც დაინიშნება. როგორც იცით, პროტესტი შეტანილი გვაქვს და ამ საკითხის განხილვასა და ოფიციალურ პასუხს ველით"*, - განაცხადა "ზესტაფონის" პრესსამსახურის უფროსმა **სერგო ფუტკარაძემ**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სამტრედია

# ფიქრები უმაღლეს ლიგაზე

**ხანგრძლივი უძრაობის შემდეგ, ტრადიციულ საფეხბურთო ქალაქებში, სამტრედიასა და ზუგდიდში საფეხბურთო ცხოვრება გამოცოცხლდა.**

**ათი წლის წინათ ამ ქალაქებში ფეხბურთი სხვადასხვა მიზეზით ჩაკვდა. ზუგდიდი ფრონტისპირა ქალაქი იყო და "მხედრიონის" დარბევებმაც ნელში გაწყვიტა. "სამტრედიას" კი თავისი ხელი ქვეყნის გაჭირვებამ დარია. გუნდი 1995 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდებოდა, რუსთავში "გორდასთან" მატჩამდე მსაჯები კოჯრის ტყეში რომ არ გაეტაცებინათ. ასეთი დაუნდობელი "ბრძოლა" იყო გაჩაღებული მაშინ ჩემპიონობისთვის. ვინ იცის, მაშინ იმერლებს რომ ეზეიმათ ჩემპიონობა, იქნებ, ფულის დაბანდების მსურველები ისევ გამოჩენილიყვნენ.**

**ასეა თუ ისე, მას შემდეგ სამტრედიაში ფეხბურთი უკან-უკან წავიდა. გუნდის პრეზიდენტ ტარიელ ჩაჩუას, თანადგომის ნაცვლად, სარმები დაუდეს და ბოლოს გუნდი უფულობამ ჩაყლაპა.**

**მხოლოდ წლეულს შეინიშნება გამოცოცხლება. სამტრედიის გამგეობამ გუნდის დაფინანსება გადაწყვიტა და ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა.**

**თამაზ ახობაძე, "სამტრედიის" პრეზიდენტი:**

- მიხარია, რომ სამტრედიაში ფეხბურთის აღორძინება დაიწყო. სეზონამდე სტადიონზე 1500 ინდივიდუალური სკამი დამონტაჟდა, ზაფხულში ერთი ამდენიც დაგვემატება. ამასთანავე, სტადიონის გვერდით თანამედროვე სპორტული კომპლექსები აშენდა აუზით, სპორტული დარბაზით, ფიტნესკლუბით. უძრაობის პერიოდის შემდეგ ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯია. პირველ ლიგაში ასეთი ინფრასტრუქტურით ვერც ერთი გუნდი ვერ დაიკვეხნის. მართალია, 27 ქულით მხოლოდ მეთორმეტე ადგილზე ვიმყოფებით, მაგრამ ძირითადად, ადგილობრივ ახალგაზრდებს და სხვა გუნდებში მიმოფანტულ სამტრედიელებს დავეყრდენით. ერთ წელიწადში გრანდის ჩამოყალიბების ილუზია არც გვქონია. მთავარია, რომ საფუძველი ჩავყარეთ, რომელიც შედეგს აუცილებლად მოიტანს. რაიონში ბევრი ნიჭიერი ბავშვია და რომელიმე მათგანი რომ არ დავკარგოთ, 1991, 1992 და 1993-წლიანთა სამტრედიის ნაკრები ჩამოვაყალიბეთ, რომელსაც კლუბი შეინახავს. ეს გუნდები შესაბამისი ასაკის ტურნირში ითამაშებენ.



ვალერიან ჩხარტიშვილი

სხვათა შორის, ჩვენ ის მოვახერხეთ, რაც ტარიელ ჩაჩუამ ვერ შეძლო - გუნდის მთავარ მწვრთნელობაზე ცნობილი სპეციალისტი ვალერიან ჩხარტიშვილი დავითანხმეთ. ის ძალიან კარგი მწვრთნელია და მისი მოსვლა გუნდს უკვე დაეტყო. ლიდერებში ჯერ არ ვართ, მაგრამ ბავშვები დღიდან დღემდე იზრდებიან, გუნდი სწორი მიმართულებით ვითარდება და ხვალ თუ ზეგ სამტრედია უმაღლეს ლიგაში ადგილს მაინც დაიბრუნებს.

**- უმაღლესში გადასვლას დიდი თანხა სჭირდება, "სამტრედიას" კი დიდი ბიუჯეტი არ უნდა ჰქონდეს.**

- როდესაც სტადიონს სტანდარტებში მოვაქცევთ, მერე უმაღლესში გადასვლაზეც ვიფიქრებთ.

**- სტადიონის სტანდარტებში მოქცევა და უმაღლესში გადასვლა ერთმანეთთან რა კავშირშია?**

- პროფესიული ფეხბურთის ლიგის კომისიამ სტადიონი შეგვიმოწმა და გვითხრა, რომ უმაღლესში სათამაშოთ გარკვეული მოთხოვნები უნდა დავაკმაყოფილოთ. 3000 მაყურებელზე ნაკლები ტრიბუნით სტადიონი უმაღლესის მატჩებს ვერ უმასპინძლებს. მთავარი ჩვენთვის ისაა, ეს სეზონი გუნდის ჩამოყალიბებისთვის გამოვიყენოთ. მერე სტადიონიც საბოლოო სახეს მიიღებს და უმაღლესში გადასვლაზეც ვიფიქრებთ.

**- ინფრასტრუქტურის მოწესრიგება კარგია, მაგრამ ბიუჯეტი გაიზრდება?**

- ჩვენ რაც გვაქვს, იმას ყაირათიანად ვხარჯავთ და შემოსავლის გაზრდის სხვა გზაც მოვძებნეთ. ასე მაგალითად, წლეულს ბიუჯეტიდან 98 ათასი ლარი გამოგვიყვეს. ამას გარდა, 1200 აბონემენტი 12 ათას ლარად გავყიდეთ. დიდი თანხა არაა, მაგრამ მთავარი სხვაა - აბონემენტების სისტემა პირველ ლიგაში თუ მუშაობს, უმაღლესში გადასვლის შემთხვევაში გაცილებით მეტი თანხა შემოგვივა.

**- გამოდის, სტადიონზე ხალხი დადის?**

- ვერ ვიტყვი, რომ სტადიონზე ჭედვაა, მაგრამ პირველი ლიგის კვალობაზე, საკმაოდ ბევრი გულშემატკივარი გამოჩნდა. მათი თანადგომა აშკარაა, ზოგიერთი ძველი საფეხბურთო გულშემატკივრისა კი რა მოგახსენოთ. არის ხალხი, ვისაც ჰგონია, რომ კლუბის საქმიანობას მაინც და მაინც ისინი უნდა წარმართავდნენ, თუმცა ჩვენ სწორ გზას დავადექით და ამ გზიდან გადახვევას არ ვაპირებთ.

**მერაბ მამულაშვილი**



საქართველო-თურქეთი. ეს მატჩი მეორე ნაკრებს უნდა ეთამაშა

მოსაზრება

# სადაა მეორე ნაკრები და მწვრთნელთა საბჭო?!

საზოგადოებისა და მედიის მკაცრი კონტროლი ნებისმიერ სფეროზე დადებით გავლენას ახდენს და ეს არაა აღმოჩენა - მას მეოთხე ხელისუფლება ამიტომაც ჰქვია. მედია ხელისუფლების, ანუ ჩვენს შემთხვევაში, ფეხბურთის ფედერაციის მტერი არაა, რეალურად, პარტნიორია, თუნდაც კრიტიკის დროს.

ეს წერილი ფედერაციის თვითმიზნურ კრიტიკას არ ემსახურება. დაწერა კი ბოლო დროს მომხდარმა ფაქტებმა განაპირობა.

გაზეთ "ლელოსთან" გაერთიანებამდე, "სპორტმა" მეორე ნაკრების თემა წამოსწია და მაშინდელი შედეგი აბსოლუტურად მისაღები აღმოჩნდა მედიისთვის, ფედერაციისა და გუნდებისთვის: ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელებმა, ნაკრების მთავარ მწვრთნელ **კლაუს ტოპმიოლერთან** თათბირის შემდეგ, მეორე ნაკრების შექმნა გამოაცხადეს.

გვეგონა, კონკრეტული შედეგი მივიღეთ - "მომავლის ნაკრების" ჩამოყალიბება ოფიციალურად გამოცხადდა და მას თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან 7 თებერვალს უნდა ეთამაშა.

7 თებერვალს შეხვედრა მართლაც შედგა, ოღონდ თურქების წინააღმდეგ ჩვენმა ახალგაზრდულმა ითამაშა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **რალფ მინგემ** მეორე ნაკრებზე კითხვა "ლელოსგან" იუცხოვა კიდეც, რა მეორე და ალტერნატიული ნაკრები, თავიდანვე ახალგაზრდულებზე იყო შეთანხმებაო.

მას შემდეგ უკვე ორი თვე გავიდა და ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჩვენი მოლოდინი უშედეგო აღმოჩნდა. შეპირებული მეორე ნაკრები არ ჩამოყალიბდა. რეალურად, გუნდი უნდა დაკომპლექტებულიყო იმ მოთამაშეებისგან, რომლებიც ახალგაზრდული ნაკრების ასაკიდან გამოვიდნენ და ჯერ ეროვნულში ვერ ხვდებიან. მაგალითად, ამერელი **ბოლქვაძე** და **დოლიძე**, ოლიმპელები - **აფციაური, მერლანი, ონიანი, სეთურიძე, ქებაძე**, დინამოელები **იაშვილი, დილმელაშვილი, ოდიკაძე, ფეიქრიშვილი, მერებაშვილი**, "ზესტაფონიდან" **ღონღაძე, საჯაია, ფიფია.** სხვებიც მრავლად არიან, თუმცა ახლა ყველას ჩამოთვლას აზრი არ აქვს. ვიმეორებთ, ახალგაზრდულის წევრებს შეგნებულად არ ვეხებით.

სიის გაგრძელებაც შეიძლება და შეკვეცაც, დავა-კამათიც, მაგრამ ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანიც არ გვეგულება, რომელიც იტყვის, რომ ჩამოთვლილი ფეხბურთელებიდან ეროვნულ ნაკრებს ერთი მაინც არ გამოადგება.

მეორე ნაკრების დანიშნულება ისაა, რომ საჭირო დროს ეროვნულ ნაკრებს თუნდაც ერთი მოთამაშით შეეშველოს. საჭიროება კი ბოლო დროს თვალსაჩინოა - ტრავმირებული და უთამაშებელი ფეხბურთელების სიმრავლის გამო ტოპმიოლერი, ფაქტობრივად, მეორე ნაკრებს ათამაშებს და კადრების დეფიციტი აშკარაა.

კიდევ ერთი საკითხი, რატომ არ ჩამოყალიბდა მწვრთნელთა საბჭო, რომელიც ტოპმიოლერს საქართველოში მოთამაშეებზე ობიექტურ და გაფილტრულ ინფორმაციას მიაწვდის და ლობირებული ფეხბურთელების მინუსებს დაანახვებს? ეს იდეაც დაიჩრდილა.

იმედს ვიტოვებთ, რომ ტოპმიოლერის დანაპირები ახდება და ზემოაღნიშნული პროექტები ზაფხულში მაინც დაიძვრება ადგილიდან.

**მერაბ მამულაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ლეგიონერები

# იაშვილის ბუნდესლიგური იმედი



"ფრაიბურგის" ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში **ალექსანდრე იაშვილმა** იმედი გამოთქვა, რომ მიმდინარე სეზონი მისთვის და მისი კლუბისთვის წარმატებით დასრულდება: *"პირველი წრის შემდეგ, ვერავინ იფიქრებდა, რომ ასეთი შედეგიანი სერია გვექნებოდა. საახალწლოდ ხომ ჩვენი მთავარი მიზანი მეორე ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება იყო. პირველ ბუნდესლიგაში აღზევება საკმაოდ რეალურია, მაგრამ ამისთვის მაქსიმალური მობილიზებით თამაშია საჭირო. იმედი მაქვს, ჩვენს გულშემატკივრებს "აუგსბურგთან" გამარჯვებითაც გავახარებთ".*

მან პირად წარმატებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პირველ წრესთან შედარებით, გაცილებით უკეთეს ფორმაშია. იაშვილმა იქვე ისიც დაამატა, რომ ეს უპირველეს ყოვლისა, ზამთრის ნაყოფიერი მოსამზადებელი შეკრების დამსახურებაა, რომლის შედეგადაც, ის და მისი თანაგუნდელები გაცილებით უკეთ გამოიყურებიან.

საუბარი "ფრაიბურგის" მთავარი მწვრთნელის თემასაც შეეხო. როგორც იცით, ახალი სეზონიდან იაშვილისა და **ხიზანეიშვილის** გუნდს **რობინ დუტი** გაწვრთნის. არადა, როცა "ფრაიბურგის" ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება მიიღო, გუნდი ცხრილის ქვედა ნაწილში ყურყუტებდა.

*"მე და ჩემი თანაგუნდელები, უპირველეს ყოვლისა, ფინკესთვის ვთამაშობთ. ყველა ჩვენგანის სურვილი იყო, მას ამ თანამდებობაზე მუშაობა გაეგრძელებინა, მაგრამ ხელმძღვანელობამ სხვაგვარად გადაწყვიტა. მჯერა, "ფრაიბურგი" დუტთან ერთადაც წარმატებული გუნდი იქნება"*, - იმედოვნებს იაშვილი.

საუბრის ბოლოს, მას სამომავლო გეგმებზე ჰკითხეს. იაშვილის საუბრიდან ირკვევა, რომ მას ჯერ არ გადაუწყვეტია, ამჟამინდელ გუნდში დარჩება თუ კარიერას სხვაგან გააგრძელებს, მხოლოდ ზოგადად აღნიშნა, რომ პირველ ბუნდესლიგაში სურს თამაში.

ბოლო მატჩებში წარმატებული ასპარეზობის წყალობით, "ფრაიბურგმა" კიდევ უფრო გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა და დღეისათვის პირველ ბუნდესლიგაში გადამსვლელ სამეულს მხოლოდ ერთი ქულითღა ჩამორჩება. ხვალ **ფოლკერ ფინკე** და მისი შეგირდები სატურნირო ცხრილის "ოქროს შუალედის" ბინადარ "აუგსბურგს" მასპინძლობენ და ბუნებრივია, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ზურაბ მენთეშაშვილი

# ვუგულშემატკივროთ თორმეტ ქართველს

შაბათს სტარტს აიღებს ლატვიის მორიგი ჩემპიონატი ფეხბურთში. ვირსლიგაში, ასე უწოდებენ ლატვიელები უმაღლეს დივიზიონს, რვა კლუბი მონაწილეობს. პირველ დღეს ქვეყნის საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანი "სკონტო" "ოლიმპსს" მასპინძლობს, ჩემპიონი "ვენტსპილსი" კი "რიგას" სტუმრობს. ტურში კიდევ ორი მატჩია: "იურმალა"-"დინაბურგი" და "მეტალურგსი"-"დაუგავა". შეგახსენებთ, რომ ლატვიაში, ისევე როგორც ლიტვაში, საფეხბურთო სეზონი უკვე დაიწყო, ბალტიის ლიგის გათამაშებით, ახლა ჯერი ეროვნულ პირველობებზეა.

რვიდან სამ ლატვიურ გუნდში ქართველი ფეხბურთელი ითამაშებს. სულ ვირსლიგაში კი შვიდი ჩვენებური იქნება. ყველაზე ქართული კლუბი "დინაბურგია", სადაც ორ ქართველ ფეხბურთელთან ერთად, მოთამაშემწვრთნელი **თამაზ პერტიაა**. ამ კლუბში ითამაშებენ 17 წლის **ბაქარ გიორგაძე** და 20 წლის **როლანდ სვანიძე**. ჩემპიონ "ვენტსპილსში" ორი ქართველი ლეგიონერია: 19 წლის **ლევან ჯღარკავა** და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **ზურაბ მენთეშაშვილი.** ასევე ორი ჩვენებურია ჩემპიონობის მოცილე "სკონტოში": 24 წლის **დავით გამეზარდაშვილი** და ახლახან ნაკრებში დამკვიდრებული 22 წლის **ზაალ ელიავა**. კიდევ ერთი ქართველია "იურმალაში" - 19 წლის **ოთარ გოგბერაშვილი**, თუმცა ის რუსეთის მოქალაქეა და შარშან მეორე დივიზიონის ვლადიმირის "ტორპედოში" თამაშობდა. ისე, გოგბერაშივილი ქუთაისური ფეხბურთის აღზრდილია.

ლიტვურ A ლიგაში 10 გუნდია, ჩემპიონატი ხვალ პირველი ტურის ხუთი მატჩით იწყება. ჩემპიონი "კაუნასი" ტიტულის დაცვას "ინტერასთან" გასვლითი შეხვედრით იწყებს. "კაუნასში" ორი ქართველი ითამაშებს ამ სეზონშიც, ორივე გუნდის ნახევარდაცვის ლიდერია - 21 წლის **ნუკრი მანჩხავა** და 27 წლის **გივი კვარაცხელია**. "შილუტეში" ითამაშებს "კაუნასის" მცველი **აკაკი ხუბუტია**, რომელიც ჩემპიონთა ხელმძღვანელობამ "შილუტეში" გაანათხოვრა. ჩვენთვის საინტერესო კლუბია "სუდოვაც", თასის მფლობელთა რიგებში ორი ძმაა, 25 წლის **ბესიკ ჭილაძე** და 23 წლის **დავით ჭილაძე**. ლიტვაში სულ ხუთი ქართველი ლეგიონერია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# შოთამ ვეღარ გაიტანა

წუხელ **შოთა არველაძის** "ალკმაარი" უეფას თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ბრემენის "ვერდერს" მასპინძლობდა. **ლუის ვან გაალის** გუნდის სტადიონზე შეკრებილი 17 ათასი გულშემატკივრის მთავარი იმედი სწორედ შოთა იყო, რომელსაც წლევანდელ უეფას თასზე 9 მატჩში 7 გოლი ჰქონდა გატანილი. ჰოლანდიელთა კაპიტანმა ცდა არ დააკლო, მაგრამ გერმანელთა დაცვის რიგები სერიოზულად ვერ შეარყია, მას ერთხელ შეექმნა თითქოს საგოლე მომენტი, თუმცა თანამსაჯმა საეჭვო ოფსაიდი დააფიქსირა. ერთხელაც პირველი ტაიმის ბოლოსკენ შოთას თავური ვიზეს კარს აცდა. ამ მომენტში მან საჰაერო ორთაბრძოლა ბრემენელ ვომეს მოუგო. საბოლოოდ მეტოქეებმა ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს (0:0). საპასუხო მატჩის წინ კი წყვილში ფავორიტი "ვერდერია". შოთას მომენტებზე ვთქვით და საერთოდ მატჩში სულ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა ორივე კართან, ისიც გოლკიპერებმა იოლად გააუვნებელყვეს. არადა ვან გაალმა "ვერდერის" წინააღმდეგაც შემტევი შემადგენლობა დააყენა.



შოთა არველაძე



დავით სირაძე

# სირაძის 10 წუთი

გუშინ მეორე ბუნდესლიგის კალენდარულ მატჩში "აუემ" "კიოლნს" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. **დავით სირაძე** თამაშში მე-80 წუთზეღა ჩაერთო და შეტევაში რაიმე ხეირიანის შექმნა ვერ მოასწრო. სტუმრებმა გამარჯვების გოლი 74-ე წუთზე გაიტანეს და სამი ქულა დამსახურებულად მოიპოვეს.

სეზონის დარჩენილ შეხვედრებს არასტაბილურად მოასპარეზე "აუესთვის" განსაკუთრებული მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონდეს. გუნდი 42 ქულით მე-8 ადგილზეა და ბუნდესლიგაში აღზევების თეორიული შანსიღა დარჩა. რეგიონალლიგაში დაქვეითების საფრთხე კი ქართველ თავდამსხმელსა და მის თანაგუნდელებს მით უმეტეს არ აქვთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

იკითხეთ "ტონუსი", იყავით ტონუსში...

ტონუსი

მსუბუქი გაზეთი ყველა თაობისათვის ფასი 30 თეთრი

## დისკვალიფიკაცია ძალაშია



დენის დობროვოლსკი

ამერელ **დენის დობროვოლსკის** "დინამოსთან" მატჩში გაძევებისთვის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. გუშინ სააპელაციო კომიტეტის სხდომა გაიმართა, სადაც "ამერის" განცხადება განიხილეს. კლუბი ფეხბურთელისთვის სასჯელის შემსუბუქებას ითხოვდა, მაგრამ მოსარჩელე მხარის არგუმენტების განხილვისა და ვიდეოფირის ნახვის შემდეგ, 20 მარტს გამოტანილი დისკვალიფიკაციის ხანგრძლივობა ძალაში დარჩა. შესაბამისად, ორი შეხვედრის გამოტოვების შემდეგ, დობროვოლსკი "ამერს" ხვალაც ვერ დაეხმარება. გლდანელები ქუთაისში "ტორპედოს" ეთამაშებიან.

## 10 ახალი მსაჯი

4 აპრილს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მსაჯთა აკადემიის მეორე გამოშვების კურსდამთავრებულთათვის დიპლომებისა და მსაჯის ლიცენზიების გადაცემის ცერემონიალი გაიმართა, რომელსაც აკადემიაში მომავალი სასწავლო წლისთვის ჩარიცხული ახალგაზრდებიც დაესწრნენ.

კურსდამთავრებულებს დიპლომები და ლიცენზიები ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** გადასცა. მსაჯის ლიცენზიას 10 ახალგაზრდა დაეუფლა.

2007-2008 სასწავლო წლისთვის მსაჯთა აკადემიაში 26 მსმენელი ჩაირიცხა. აქამდე კურსებს უეფა აფინანსებდა, ამიერიდან კი ყველა ხარჯს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გაიღებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

# დიდი გამარჯვება და უმტკივნეულო მარცხი

## მოურინიომ ჩელსი ფეხებზე დაიკიდა?

**რომა–მანჩესტერი 2:1**

**რომა:** დონი, კასეტი, მექსე, კივუ, პანუჩი, ვილჰელმსონი (62. ვუჩინიჩი), ტადეი (82. როზი), პეროტა, დე როსი, მანსინი, ტოტი.

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ო'ში, ბრაუნი, ფერდინანდი, ჰაინცე, ქერიკი, სქოულზი, გიგზი (77. საა), კრისტიანო რონალდო, რუნი, სოლსკიაერი (72. ფლეტჩერი).

**გოლები:** 1:0 ტადეი (44), 1:1 რუნი (60), 2:1 ვუჩინიჩი (66)

**გაძევება:** სქოულზი (34. მანჩესტერი)

**მაყურებელი:** 67 688

**არბიტრი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

მარადიული ქალაქი განცხრომაშია. არ უნდა, იფიქროს, რა იქნება ერთი კვირის შემდეგ, გავა თუ არა მათი საყვარელი "რომა" ნახევარფინალში. მარადიული ქალაქი ამ გამარჯვებით ტკბება - ჩვენ ხომ ბებერი რაინდის, სერ ალექსის მითიური "მანჩესტერ იუნაიტედი" დავამარცხეთო. გუნდისთვის, რომელიც ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალზე 1984 წლის შემდეგ ოცნებობდა, ეს გმირობის ტოლფასი გამარჯვებაა, დამსახურებული, უკეთესი თამაშით მიღწეული. თუმცა დიდ სიხარულს დიდი სინანულიც თან ახლავს– ის, რომ "რომამ" არაჩვეულებრივი შანსი გაუშვა ხელიდან, ნახევარფინალის საკითხი პირველივე თამაშში გადაეწყვიტა. ერთსაათიანი რიცხობრივი უპირატესობა "ჯალოროსიმ" მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენა. არადა, 35-ე წუთზე მოედნიდან **სქოულზი** გააძევეს და არა ვილაც რიგითი. როცა ფორტუნა ასეთ შანსს გაძლევს, მაქსიმალურად უნდა გამოიყენო, თორემ... ვინ და რა გააჩერებს ახლა **კრისტიანო რონალდოს** "ოლდ ტრაფორდზე", როცა "ოლიმპიკოზე" ძლივს აჩერებ, ისიც სანახევროდ. მანჩესტერში, სადაც არ იქნებიან სქოულზი და **პეროტა**, "რომას" ის ერთი გოლი ექნება დასაცავი და აქედანვე ცხადია, რამხელა ტანჯვის ფასად. საგულისხმოა **ფერგიუსონის** შეფასება – უმტკივნეულო მარცხი იყოო.

დისკვლიფიცირებული **პისაროსა** და დაშავებული **აკუილანის** არყოფნაში, "რომამ" 4-1-4-1 გაიხსენა, რომელსაც სეზონის დასაწყისში იყენებდა და მერე სამუდამოდ მიივიწყა. **დე როსი** დაცვის წინ, რომელსაც პირველივე წუთიდან ლანდივით აეკიდა **სოლსკიაერი** და ოთხკაციანი ნახევარდაცვის ხაზი **ვილჰელმსონი-პეროტა-ტადეი-მანსინი ტოტის** ზურგს უკან. რომაელი კაპიტანი იმუქრებოდა, ფერგიუსონს ვაჩვენებ, ვინ ვარო... ცუდი თამაში არ უჩვენებია, მაგრამ დიდი ვერაფერი. ტოტი ცენტრფორვარდი იყო, მაგრამ სულ უკან იხევდა, **ფერდინანდისა** და **ბრაუნის** კლანჭებიდან რომ განთავისუფლებულიყო. პეროტას დაევალა სტუმართა ნახევარდაცვის ლიდერის, სქოულზის განეიტრალება. მაგრამ თავიდანვე გამოჩნდა, რომ ასეთი სქემით განლაგებულმა "რომამ" ცოტათი დაკარგა თავისი ბუნებრივი თვისებები და ბალანსი რგოლებს შორის. **პანუჩისა** და **კასეტის** ძალიან მძიმე პასუხისმგებლობა დაეკისრათ – **გიგზისა** (უელსელს არანაირი კვალი არ დაუტოვებია) და კრისტიანო რონალდოს შეჩერება, თან ისე, რომ არც შეტევებში ჩართვაზე ეთქვათ უარი.

"რომამ" პირველი წუთიდანვე აგრესიული შეტევებით დაიწყო, რამაც ინგლისელთა რიგებში საკმაო დაბნეულობა შეიტანა, თუმცა რეალურად მასპინძლები მხოლოდ ერთ საჯარიმოს გამორჩნენ, რომლის შესრულებაც **კივუმ** ითავა და კარს სულ ოდნავ ააცილა. ყრუ დაცვაში ჩამდგარი "წითელი ეშმაკები" თითქოს თვითონ ეპატიჟებოდნენ "რომას" შეტევაში, კონტრშეტევების დაწყებას კი ცოტა უცნაური გზით ცდილობდნენ: მეკარე **ვან დარ სარი** ბურთს მეტოქის ნახევარზე, ოღონდ ყოველთვის ფლანგზე ისროდა, სადაც რუნი, გიგზი ან მუდამ სახიფათო კრისტიანო რონალდო უნდა ყოფილიყვნენ, ამათ კი თავიანთი დრიბლინგისა და სისწრაფის ხარჯზე ელვისებურად უნდა მიეტანათ ბურთი საჯარიმოში. ტაიმის შუაში სქულზმა, სრულიად უწყინარ სიტუაციაში, ვილჰელმსონს უკნიდან ვარდნაში ჩაარტყა და პირველი გაფრთხილება მიიღო. გადის რვა წუთი და წითურა ინგლისელი, ტოტის წინააღმდეგ ანალოგიური დარღვევისთვის, არბიტრ **ფანდელისგან** წითელ ბარათს იღებს. დარჩენილი ერთი საათი რიცხობრივ უპირატესობაში "რომასთვის" უნიკალურ შანსს ნიშნავდა. ყველაზე ადრე ამას ტადეი მიხვდა, თუმცა მანამდე პეროტა საჯარიმოში საკუთარი ინიციატივით დაეცა და სიმულაციისთვის გაფრთხილება მიიღო, რითაც "ოლდ ტრაფორდზე" თამაშის შანსი მოისპო. ტადეიმ პირველად აიძულა ვან დერ სარი, რომ საქმეში სერიოზულად ჩართულიყო, ერთ წუთში კი ბრაზილიელმა ანგარიშიც გახსნა: ტოტიმ ეფექტურად დაუგორა მანსინის, იმან ლამაზი ფინტით ჩამოიშორა **ო'ში** და კარის გასწვრივ ჩააწოდა, ტადეიმ შეუჩერებლად დაჰკრა, ბურთი ბრაუნს მოხვდა და რიკოშეტით კარში შევარდა, 1:0. მეორე ტაიმის დასაწყისში **სპალეტიმ** შემადგენლობა უცვლელი დატოვა ("გაძეტა დელო სპორტმა" მწვრთნელს ეს შეცდომად ჩაუთვალა – ჯობდა, ვილჰელმსონის მაგივრად **ფერარი** გამოეყვანა, კივუ დე როსის გვერდით აეწია და ასე დაებრუნებინა "რომასთვის" ტრადიციული სქემაო), ფერგიუსონმა კი კრისტიანო რონალდო ფორვარდის პოზიციაზე ასწია და პორტუგალიელმაც სულ აიწყვიტა. სწორედ მან დაიწყო ის უსწრაფესი კონტრშეტევა, რომელიც ქრესტომათიული სილამაზის კომბინაციად გადაიქცა და რუნის ბრწყინვალე გოლით დასრულდა: პორტუგალიელმა ბურთი საკუთარ ნახევარზე მიიღო, სტუმრების დაცვა ფინტების კასკადით შუაზე გაკვეთა და გარღვევაზე გაიყვანა სოლსკიაერი, რომელმაც ერთი შეხებით ჩაუწოდა რუნის. ინგლისელმა ბურთის მკერდზე მიღებით დე როსიც ჩამოიშორა და დონის აუღებელი დაურტყა, 1:1. აქ კი სპალეტი მიხვდა, რომ ცვლილებების დრო იყო. გამოდის **ვუჩინიჩი**, გადის ვილჰელმსონი, რომელმაც ძალიან ბევრი კი ირბინა, მაგრამ უსარგებლოდ. ეს ფეხბურთელი ასეთი დონის თამაშებისთვის მზად არ არისო, წერდა იტალიური პრესა. სერბმა ფორვარდმა კი მოედანზე გამოსვლიდან სამ წუთში გამარჯვების გოლი გაიტანა: მანსინიმ ტყვიასავით გაისროლა, ვან დერ სარმა მუშტებით მოიგერია, მაგრამ ასხლეტილ ბურთს ვუჩინიჩმა დაშვებაც არ აცადა, ვარდნაში შეუჩერებლად დაჰკრა და "რომა" მეორედ დააწინაურა. წინ კიდევ 25 წუთი იყო და რომაელებმა შეტევები განაგრძეს, მაგრამ "მანჩესტერი" დაცვაში დიდი ძალებით ჩადგა და მასპინძელთა შეტევებს სიმწვავე ცოტათი მოაკლდა. ყველაზე მეტად ბოლო წუთებში ტოტი აქტიურობდა. კაპიტანმა კარისკენ ოთხჯერ დაარტყა, აქედან ორჯერ ძალზე სახიფათოდ, მაგრამ ერთ შემთხვევაში არ გაუმართლა, ერთხელ კი ვან დერ სარმა მოუგერია. გოლის გატანის ყველაზე ხელსაყრელი მომენტი მაინც პეროტას ჰქონდა, როცა პრაქტიკულად, მეკარის პირისპირ დარჩა, მაგრამ იჩქარა და ბურთის გაჩერების მაგივრად, მახვილი კუთხიდან დაუშვებლად დაარტყა და კარს ზემოდან გადააცილა. ბოლო ათ წუთში სპალეტიმ კიდევ ფორვარდი, ახალგაზრდა **როზი** ათამაშა, მაგრამ შედეგი არც ამ მცდელობას მოჰყოლია, ანგარიში უცვლელი დარჩა, 2:1.

**ჩელსი–ვალენსია 1:1**

**ჩელსი:** ჩეხი, დიარა, რიკარდო კარვალიო, ტერი, ე. კოული, ობი მიკელი (75. ჯ. კოული), ბალაკი, ლემპარდი, კალუ (75. რაიტ-ფილიპსი), დროგბა, შევჩენკო.

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, აიალა, მორეტი, დელ ორნო, ხოაკინი (87. უგო ვიანა), ალბელდა, ალბიოლი, ვისენტე (58. ანგულო), სილვა, ვილია (90. ხორხე ლოპესი).

**გოლები:** 0:1 სილვა (30), 1:1 დროგბა (53)

**მაყურებელი:** 41 035

**არბიტრი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)



ვალენსია-ჩელსი. შევჩენკოს ეფექტურმა დარტყმამ მიზანს არ მიაღწია

"სტემფორდ ბრიჯზე" მიღწეული ყაიმით აღფრთოვანებულმა ესპანელმა ჟურნალისტებმა ფრიად საინტერესო სტატისტიკა გამოქექეს. მათ საზოგადოებას შეახსენეს, რომ **ჟოზე მოურინიოს** დანიშვნის შემდეგ "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდებში მხოლოდ იმ ორ გუნდთან დამარცხდა, რომელთაც იმ სეზონებში თასის მოპოვება შეძლეს. მათი სახელები "ლივერპული" და "ბარსელონაა". შესაძლოა, გაგიკვირდეთ, პირველი შეხვედრის შემდეგ ისტორიის გახსენება რაში დასჭირდათო... საქმე ის არის, რომ ლონდონში მიღწეულმა შედეგმა ესპანური მედია უაღრესად ოპტიმისტურად განაწყო. მათ იმედი აქვთ და სჯერათ, "ვალენსია" განმეორებით პაექრობას მისთვის სასურველად დაასრულებს და მაისში "მესტალიაზე" თასსაც ჩაიტანს. საპასუხო მატჩის წინ მათ ოპტიმიზმს ბრიტანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია უძლიერებს. დაიწერა, რომ მოურინიომ ერთ-ერთი ნახევარფინალის გამართვის დღეს შვილებთან ერთად რესლინგის ტურნირზე წასვლა დაგეგმა. ჟურნალისტები დარწმუნებით აცხადებენ, რომ პორტუგალიელმა სპეციალისტმა "ჩელსი" ფეხებზე დაიკიდა. ალბათ, ამის გამო გავრცელდა ხმები "სტემფორდ ბრიჯზე" **ხუანდე რამოსის** შესაძლო მისვლის თაობაზე. წამყვანი ინგლისური გაზეთების ცნობით, "არისტოკრატთა" დირექტორატი "სევილიის" დამრიგებელთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. თუ მოურინიომ ლონდონურ კოლექტივზე მართლაც გული აიცრუა, "ვალენსიის" შანსები, რა თქმა უნდა, ერთი-ორად გაიზრდება.

ოთხშაბათის შეხვედრა კი საკმაოდ საინტერესო და სანახაობრივი გამოდგა. ბევრისთვის მოულოდნელად, სტუმრები ისე გრძნობდნენ თავს, როგორც თევზი წყალში. აღმოჩნდა, რომ **კიკე სანჩეს ფლორესი** არ ხუმრობდა, როცა ლონდონში ღირსეულ ასპარეზობასა და გამარჯვების შესაძლებლობაზე საუბრობდა. მართალია, "ღამურები" ფრეს დასჯერდნენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ისინი მოედანზე ყაიმისთვის არ გასულან. "ვალენსიამ" თამაში მაღალ ტემპში დაიწყო. შეხვედრის სადებიუტო ნაწილი სწორედ მათი უდავო უპირატესობით აღინიშნა. **დავიდ ვილიასა** და **სილვას** ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობები ჰქონდათ. ყველაზე რეალური მომენტი კი სილვას შეექმნა. **ხოაკინის** დარტყმის შემდეგ ის **პეტერ ჩეხთან** ერთი ერთზე დარჩა. ესპანელი ფორვარდი შეშინდა, გვერდითა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა არ დააფიქსიროსო და ნაჩქარევად დაარტყა. არადა, იმ ეპიზოდში თამაშგარეზე საუბარიც არ იყო. სილვამ ბურთი მცირე მანძილით აცილა კარს. ასეთი მომენტის გამოუყენებლობა სტუმრება მეტისმეტად განიცადეს, თუმცა განწყობის გაუარესება თამაშის ხარისხზე არ ასახულა. პირიქით, მათ ტემპს მოუმატეს და მალე შესანიშნავი შედეგიც მოიმკეს. წინა ეპიზოდის ანტიგმირმა ჩეხის კარის დალაშქვრა შეძლო. სილვამ შორეული ულამაზესი დარტყმით გაიტანა. ხელოვნების ამ ნიმუშის შემხედვარე ლონდონელი გულშემატკივრები შოკში აღმოჩნდნენ. არანაირი პირობა არ არსებობდა იმისთვის, რომ ფანებს ოპტიმიზმი არ განელებოდათ. "ვალენსია" მართლაც საუცხოოდ გამოიყურებოდა. მასპინძლები რამდენიმე წუთში გონს მოეგნენ და შეტევა გააძლიერეს. ისინი დიდი ძალებით წავიდნენ წინ, თუმცა მესტალიელთა მწყობრ დაცვას ვერაფერი მოუხერხეს.

მეორე ტაიმის დებიუტში მოურინიოსა და მის შეგირდებს წარმოუდგენლად გაუმართლათ. **დიდიე დროგბამ** წონასწორობა აღადგინა. აღსანიშნავია, რომ აფრიკელი ფორვარდის გოლი ბრიტანელთა კომბინაციური ფეხბურთის პროდუქტი სულაც არ გახლდათ. ფორვარდმა სტუმრების მიუტევებელი შეცდომით ისარგებლა. **ეშლი კოულის** გრძელი პასისა და **რობერტო ფაბიან აიალას** გაუგებარი მოქმედების წყალობით, დროგბა **სანტიაგო კანისარესთან** პირისპირ გავიდა. აღსანიშნავია, რომ მეკარესაც არასწორი პოზიცია ჰქონდა შერჩეული. "ჩელსის" მრისხანე თავდამსხმელი ასეთ შეცდომებს იშვიათად თუ ვინმეს პატიობს. მან ეპიზოდი წამის მეათედში სწორად შეაფასა და კანისარესს ბურთი თავზე გადაუგდო. ეს ყველაფერი 52-ე წუთზე მოხდა. "ღამურებს" მეტი პასუხისმგებლობა რომ გამოეჩინათ, ძნელი სათქმელი იქნებოდა, შეძლებდნენ თუ არა, "ჩელსის" ვარსკვლავები ანგარიშის გათანაბრებას. მოგვიანებით, მოურინიომ ფლანგების გაძლიერების მიზნით, თამაშში **ჯო კოული** და **შონ რაით ფილიპსი** ჩართო. მათ გუნდს ახალი ძალა შთაბერეს, მაგრამ ესპანელებმა გამოცდას გაუძლეს და განმეორებითი დაპირისპირების წინ მშვენიერ შედეგს მიაღწიეს.

საფინალო სასტვენის შემდეგ მოვლენებმა საპრესკონფერენციო დარბაზში გადაინაცვლა. მოურინიოს დაუდევრობის გამო, ჟურნალისტებთან შეხვედრა დაგვიანებით დაიწყო. მასმედიის წინაშე თავდაპირველად კიკე ფლორესი წარსდგა: *"ვფიქრობ, ძალიან კარგად ვითამაშეთ. ცხადია, ცალკეულ ეპიზოდებში წუნიც გვქონდა, მაგრამ სხვაგვარად ვერც იქნებოდა. ჩვენი მეტოქე ხომ თვით "ჩელსი" იყო. მოწინააღმდეგის მოედანზე გოლის გატანა, რა თქმა უნდა, სასიხარულოა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამით ჩვენი შანსები არ გაზრდილა. დიახ, არ ვაჭარბებ. ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე განვაცხადე, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლის 50-პროცენტიან შანსს ვფლობდით. პროცენტულობა არ გაზრდილა. ყველა კითხვას "მესტალიაზე" გაეცემა პასუხი. იმედია, ვალენსიაში კიდევ უფრო კარგად ვითამაშებთ და ნახევარფინალში გავალთ."*

მოურინიომ კი ასეთი რამ განაცხადა: *"დღევანდელი შეხვედრის პერიპეტიების გათვალისწინებით, შემიძლია მოგახსენოთ, რომ ფრეს სამართლიან და ლოგიკურ შედეგად მივიჩნევ. მართალია, ჩვენ უფრო მეტს ვუტევდით და მომენტებსაც უფრო ხშირად ვქმნიდით, მაგრამ მთლიანობაში ორივე გუნდი მაქსიმალურად დაიხარჯა. სილვამ ფანტასტიკური დარტყმით გაგვაოცა. დასანანია, რომ "ვალენსიამ" მაშინ გაიტანა, როცა უპირატესობას ვფლობდით. შესვენებაზე წამსაც არ ვკარგავ ხოლმე და უმალ საჭირო ცვლილებებს ვახორციელებ, თუმცა ამჯერად პრობლემები შემექმნა. ჩემს განკარგულებაში ძირითადად მცველები და დაცვითი ყაიდის შუახაზელები იყვნენ. მჯეროდა, რომ არ წავაგებდით, თუმცა ამით ვერ ვკმაყოფილდებოდი. რა თქმა უნდა, გამარჯვება მინდოდა. სამომავლო საკითხებს რაც შეეხება, ვფიქრობ, "ჩელსის" ჩინებული შანსი აქვს იმისთვის, რომ ნახევარფინალის საგზური დაისაკუთროს. ეს სიტუაცია იმ დროს მახსენებს, როცა "პორტუში" ვმუშაობდი. შინ ფრედ ვითამაშეთ, მაგრამ განმეორებით დაპირისპირებაში ვაჯობეთ. ასე რომ, "მესტალიაზე" დაწყებულ საქმეს დავასრულებთ."*

დასასრულს, იმასაც გეტყვით, რომ გუშინ "ვალენსიისა" და "ჩელსის" მეორე მეოთხედფინალური დაპირისპირების უკანასკნელი ბილეთი გაიყიდა. ასე რომ, "მესტალიაზე" ანშლაგი შედგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომა VS მანჩესტერი. გამოხმაურება

# კრისტიანოსა და ტოტის დუელი

## პორტუგალიელმა გარემარბმა 22 დრიბლინგი შეასრულა

"რომა"-"მანჩესტერის" დუელი **ტოტი-კრისტიანო რონალდოს** დუელადაც იყო მიჩნეული. შედგა თუ არა ეს დუელი და როგორი იყო ის, ამის შესახებ "გაძეტა დელო სპორტის" მიერ სპეციალურად ამ ორი ფეხბურთელისთვის მიძღვნილი სტატიიდან გავიგებთ. მანამდე კი ამ ორი ლიდერის სტატისტიკურ მონაცემებს გავეცნოთ.

ტოტი: 5 დრიბლინგი, 2 ზუსტი დარტყმა კარში, 2 სახიფათო პასი, 3 წართმეული ბურთი, 24 პასი, 15 დაკარგული ბურთი, 2 მოპოვებული ჯარიმა

რონალდო: 22 დრიბლინგი, 2 ზუსტი დარტმა კარში, 2 სახიფათო პასი, 3 წართმეული ბურთი, 12 ზუსტი პასი, 15 დაკარგული ბურთი, 5 მოპოვებული ჯარიმა.

"კარში დარტყმები ფინტების წინაალმდეგ. ასე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ტოტი და კრისტიანო რონალდო: დუელი უნდა ყოფილიყო და დუელი იყო კიდეც. ვინ მოიგო? ძნელია სათქმელია, დასასრული ისეთი გამოვიდა, როგორც ამერიკულ ვესტერნებშია – რევოლვერებს ბოლი გასდის, მაგრამ დუელანტები ფეხზე დგანან. გოლები არ გაუტანიათ, მაგრამ თამაშის ყველაზე დაძაბული ეპიზოდების გმირები იყვნენ. კრისტიანო რონალდომ რუნის გოლი შექმნა და ამ თვალსაზრისით, დუელში გამარჯვებულად შეიძლება, სწორედ ის ჩაითვალოს. "რომასთვის" ეს გოლი შეიძლება, საბედისწერო გამოდგეს. პორტუგალიელმა თავის სტილში დაიწყო: აჩქარება და სლალომი, რომაული დაცვა შუაზე გადახსნა და რამდენიმე წამში რუნის გოლიც გავიდა. "მანიუს" ლივერპულელ ფორვარდს საერთაშორისო თამაშებში 2703 წუთის განმავლობაში ვერ გაეტანა.

რომაული დებიუტი. კრისტიანო რონალდო რომში პირველად იყო. რომაელმა ხალხმა, როგორც იქნა, ცოცხლად იხილა, და აღმოაჩინა სუპერფეხბურთელი. ადგილობრივი პუბლიკის წინაშე მადეირელი ბიჭი თავის სტილში წარდგა: ორი დრიბლინგი და პირველი ჯარიმა "მანჩესტერის" სასარგებლოდ. ყველაზე შთამბეჭდავი ის სიმარტივეა, რომლითაც დრიბლინგები გამოსდის. ყოველთვის ატყუებს კაცს და ასე იწყებს, მხოლოდ ერთხელ შეძლო **პანუჩიმ** და ერთხელ **კასეტიმ** მისი შეჩერება. მოძრაობის სიმსუბუქით მოცეკვავეს მოგაგონებს. ის არის თანამედროვე ფეხბურთის ყველაზე დიდი მოცეკვავე. გრძელი მარშრუტების გავლისას ერთი-ორჯერ ტოტისაც გასცდა: ისე, შემთხვევით გადაეყარნენ ერთმანეთს. ტოტიმ და კრისტიანო რონალდომ, გარკვეული გაგებით, როლებიც გაცვალეს. ტოტიმ ცენტრფორვარდად დაიწყო და გამთამაშებლად დაასრულა. პორტუგალიელმა გარემარბად დაიწყო და **სქოულზის** გაძევების შემდეგ თავდასხმის ცენტრში გადავიდა.

რომანისტას მცდელობები. ტოტი უფრო მეტად ცდილობდა გატანას. სულ ექვსჯერ დაარტყა, სამჯერ პირველ ტაიმში, სამჯერ მეორეში. თამაშში ისიც დრიბლინგით და **ვილჰელმსონისთვის** გაკეთებული გრძელი პასით შევიდა. შემდეგ **ვან დერ სარის** ძებნა დაიწყო. პირველი მცდელობა მე-14 წუთზე ჰქონდა, ჯარიმით, რომელზეც ჰოლანდიელ კიპერს წარბიც არ შეუხრია, ისე აილო. მომდევნო მცდელობა 23-ე წუთით თარიღდება და ამჯერად ვან დერ სარს მინაზე გადახტომა მოუწია. 32-ეზე კაპიტანმა მესამედ გაისროლა და ინგლისელების საჯარიმოს ცივმა ყრუანტელმა დაუარა. მაგრამ დარტყმა, რომელმაც მთელი "ოლიმპიკო" სკამებიდან წამოჰყარა, უკანასკნელი იყო. უკანასკნელი ტოტისთვისაც და "რომასთვისაც": 20 მეტრიდან მძლავრად მოქნეული მარჯვენა და ბოლო მომენტში ბურთი ხმელი ფოთოლივით გაკანკალდა, ოღონდ იქ არ წავიდა, სადაც კაპიტანს უნდოდა. შეხვედრა ტოტიმ საზარდულის ტკივილით დაასრულა, მაისურა ჯერ **ფერდინანდს** გაუცვალა და მერე, გასახდელთან, **კრისტიანო რონალდოს**. *"გაშვებული გოლი ჩვენს სიტუაციას ართულებს, მაგრამ თუ მანჩესტერშიც ისე ვითამაშებთ, როგორც ლიონში, წარმატების მიღწევა ისევ შეგვეძლება. ჩვენ ნახევარფინალში გასვლის ძალიან გვჯერა"* – ასეთი იყო ფრანჩესკოს ბოლოსიტყვაობა.

ყველაზე მძიმე მომენტებში "მანჩესტერი" რომ არ წაიქცა, ამისთვის მადლობა კრისტიანო რონალდოს უნდა უთხრას. სწორედ პორტუგალიელი იყო მანჩესტერელთა თამაშის დირიჟორიც და სულის ჩამდგმელიც. მისმა აქტივობამ საბოლოოდ **რუნიც** აიყოლია. შთაგონებული **ვუჩინიჩის** სახით, რაღაც მომენტში ტოტიმაც იპოვნა ის ფეხბურთელი, ვისთანაც უშუალო დიალოგი ექნებოდა. მონტენეგროს ნაკრების ახალგაზრდა კაპიტანმა ჩემპიონთა ლიგაში პირველად გაიტანა და თქვა: *"მნიშვნელოვანი გოლია, მაგრამ ამის დრო მანჩესტერშიც მაქვს. პანუჩი სულ ასეთ რამეს მეუბნება: "მიეცი დროს დრო". როგორც იქნა, ეს დროც დადგა. მადლობა მანსინის იმ დარტყმისთვის, რომელსაც ჩემი გოლი მოჰყვა. ტრავმების შემდეგ ძალიან მოვუმატე. მე თამაში მინდა, მნიშვნელობა არ აქვს, რომელ პოზიციაზე. გოლის აღნიშვნა? არც ვიცოდი რას ვაკეთებდი, რას ვიძახდი, გადარეულივით გავრბოდი"*.

ლოგიკური დასკვნა ისაა, რომ კრისტიანო რონალდოს დრიბლინგებმა და ტოტის ძალამ გამომაცოცხლებელი ეფექტი იქონიეს თავიანთ თანაგუნდელებზე, სული შთაბერეს ტალანტებს, რუნისა და ვუჩინიჩს, და მათთან ერთად ისეთ პატიოსან მშრომელებსაც, როგორებიც არიან კასეტი და ირლანდიელი **ო'ში**. ახლა, "ოლდ ტრეფორდის" მატჩი რევანშის მატჩია. კიდევ ერთი, საპასუხო დუელი, და ვინც ამ დუელს მოიგებს, ალბათ, თავის გუნდს ნახევრფინალის საგზურსაც აჩუქებს. ამჯერად, ამ ორიდან ერთი უნდა წაიქცეს. ვინ?

**გოგა ახალაძე**



ფრანჩესკო ტოტი გაბრიელ ჰაინცეს წინაალმდეგ



კრისტიანო რონალდომ კრისტიან პანუჩის სისხლი გაუშრო

# ფეხბურთელია თუ ვალენტინო როსი?

## კრისტიანომ პანუჩი გააოცა, სპალეტი იმედიანადაა, ფერგიუსონი უფრო მეტად...

თამაშის შემდეგ ფეხზე წამომდგარი "ოლიმპიკო" "რომას" მქუხარე ტაშით აცილებდა. სტაჟიანი რომანისტები ამბობენ, რომ ასეთი ემოციები დიდი 80-იანი წლების შემდეგ აღარ გამოუცდიათ. კიოლნი, გიოტებორგი, დანდი, მოკლედ, "ჯალოროსის" ძველი საგმირო საქმეები ("რომამ" ჩემპიონთა თასის ფინალი "ლივერპულთან" წააგო)... 23 წლის შემდეგ "მანჩესტერიც" დამარცხებულია და თან ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. ოღონდ, ამჯერად საქმე მხოლოდ პირველ შეხვედრას ეხება. **რუნიმ**, რომელსაც ამ ჩემპიონთა ლიგაში ჯერ არ გაეტანა, მანჩესტერული ვოიაჟის წინ რომაელებს საქმე ძალიან გაურთულა.

თამაშის შემდეგ **ლუჩანო სპალეტი** **ალექს ფერგიუსონს** გადაეხვია, თავის ფეხბურთელებს კი კომპლიმენტები უძღვნა: *"მანჩესტერელებს თანასწორად ვეთამაშეთ, მშვენიერი შეხვედრა ჩავატარეთ, მთავარი ესაა. გული კი მწყდება იმ გოლის გამო. კონტრშეტევა გაგვეპარა, თუმცა ამას გაპარვაც არ ჰქვია, ყველაფერი რონალდომ გააკეთა თავისი საოცარი დრიბლინგით. მაგრამ ჩვენს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ გავტყდით და ძალიან მალე ისევ წინ გავედით. ამის შემდეგაც არაერთი შანსი გვქონდა, რომ ანგარიში 3:1 გაგვეხადა. გულდასაწყვეტია ისიც, რომ პეროტა დაგვაკლდება. სიმონეს ძალიან უნდოდა ამ შეხვედრაში მონაწილეობა (პეროტა ინგლისშია დაბადებული და ოჯახთან ერთად ჰქონდა დაგეგმილი მანჩესტერში გამგზავრება), მძიმე დანაკლისი იქნება. თუმცა მისი გაფრთხილება სამართლიანი იყო, და ასევე სამართლიანი იქნებოდა, მანსინის წაქცევისთვის 11-მეტრიანის დანიშვნა. მანჩესტერში იმედიანად მივდივართ, ეს ანგარიში ინგლისელებს აიძულებთ, რომ განმეორებითი თამაში მათ წაიყვანონ, აკონტროლონ, რაც ჩვენ გარკვეულ შანსს გვაძლევს. შანსები ისევ 50 50-ზეა, ისე როგორც "ლიონთან" პირველი შეხვედრის შემდეგ იყო. ვუჩინიჩი? ამიერიდან მას უფრო ხშირად ვათამაშებთ"*. **ტოტი-რონალდოს** დუელზე სპალეტი ასეთი აზრის იყო: *"ფრანჩესკოს არ გაუმართლა, სამჯერ უნაკლოდ დაარტყა, მაგრამ ბურთი კარს ოდნავ ასცდა. პორტუგალიელი უძლიერესია, მაგრამ სხვაც ბევრია მასავით ძლიერი და ერთი მათგანი სწორედ ტოტია"*. პორტუგალიელი ვარსკვლავის დრიბლინგებით გაოცებულმა **კრისტიან პანუჩიმ** მის დასახასიათებლად ასეთი შედარება მოიყვანა: *"კრისტიანო რონალდოს ისეთი აჩქარებები აქვს, როგორც ვალენტინო როსის"*. შვედი **ვილჰელმსონი** ძალიან ოპტიმისტურად არის განწყობილი: *"მე ყოველთვის "ლივერპულის" ფანი ვიყავი და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია "მანჩესტერის" გაგდება. "ოლდ ტრეფორდზე" ისეთ შეხვედრას ჩავატარებთ, სიბერეში შვილიშვილებს რომ მოვუყვებით"*.

ინგლისელებს გოლი უნდოდათ და გაიტანეს კიდეც. ეს საკმარისი იმისთვის, რომ "მანჩესტერს" ახლა ნახევარფინალში გასვლის სჯეროდეს. ალექს ფერგიუსონი კმაყოფილებას არ მალავდა: *"მთავარ მიზანს მივაღწიეთ, გოლი გავიტანეთ. მსაჯობა არ მომეწონა: არბიტრს კივუ უნდა გაეძევებინა და არა სქოულზი. კივუ მსაჯს გამუდმებით არწმუნებდა, რომ ყვითელი ბარათი ამოეღო, ეს არაკორექტულია. თუმცა არა უშავს, ეს საკმაოდ უმტკივნეულო მარცხია. 1:2-ის გაბათილება შესაძლებელია"*.

# შეტაკებები ოლიმპიკოზე

## უეფა გამოძიებას იწყებს, 18 დაშავებულიდან 15 ინგლისელია...

იტალიაში გამგზავრების წინ "მანჩესტერ იუნაიტედი" თავის გულშემატკივარს აფრთხილებდა, რომ რომის გარკვეულ ადგილებს მორიდებოდნენ. მართალია, რომის მერიასა და პოლიციას ეს სასაცილოდ არ ეყოთ, მაგრამ კლუბის შიშები მთლად უსაფუძვლო არ ყოფილა. თამაშის დაწყებამდე და მისი მიმდინარეობისას ორი კლუბის გულშემატკივრებს შორის რამდენიმე შეტაკება მოხდა. პოლიციას ხელჯოხებისა და ცრემლსადენი გაზის გამოყენება მოუხდა მთვრალი ინგლისელი ფანების დასაშოშმინებლად. სხეულის სხვადასხვა დაზიანებით ჰოსპიტალში 18 ფანატი აღმოჩნდა, 3 იტალიელი და 15 ინგლისელი (მათგან სამი მძიმედ დაჭრილი). ამასთან პოლიციამ რამდენიმე ინგლისელი ფანიც დააკავა.

ბი-ბი-სი-ს ცნობით, უახლოეს დღეებში უეფა, მატჩის დელეგატისგან მიღებულ მოხსენებაზე დაყრდნობით, გამოძიებას დაიწყებს. ორივე კლუბს მძიმე სანქციები ემუქრება. "რომა" შეიძლება, იმისთვის დაისაჯოს, რომ სტადიონზე უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო, "მანჩესტერს" კი კიდევ უფრო მკაცრი სანქციები ელის, თუკი დადასტურდა, რომ შეტაკებები ადგილობრივ ტიფოზებსა და პოლიციასთან მანჩესტერელი გულშემატკივრების მიერ იყო პროვოცირებული. ინგლისური პრესა კი განსხვავებულ სურათს ხატავს. ბრიტანული გაზეთების თანახმად, მანჩესტერელი ფანები რომაელი ტიფოზებისა და პოლიციის ძალადობის მსხვერპლად იქცნენ. "თაიმსი" წერდა: *"იმისგან დამოუკიდებლად, რა პრობლემებიც "მანჩესტერს" მოედანზე ჰქონდა, კლუბის პირველი სტუმრობა "ოლიმპიკოზე" კიდევ ორი რამით იქნება დასამახსოვრებელი: იმ აგრესიისთვის, რომლითაც ადგილობრივი ტიფოზები მანჩესტერელ ქომაგებს სტადიონის გარეთ გაუმასპინძლდნენ და იმ ძალადობისთვის, რომელიც პოლიციამ ტრიბუნებზე გამოიყენა, რითაც დაზარალებულ ინგლისელთა რიცხვი კიდევ უფრო გაზარდა"*.



არეულობა ოლიმპიკოს ტრიბუნაზე

ბაიერნი

# ტიტანის ძეგლს ბზარი გაუჩნდა

## ჯობია თუ არა კანი რეზერვისტ რენზინგს?



ოლივერ კანს სერიოზული კონკურენტი ჰყავს

**სამშაბათს მიხაელ რენზინგს თავისი შესაძლებლობების დამტკიცების შანსი მიეცა, შანსი, რომელიც „ბაიერნის“ 22 წლის მეკარემ შესანიშნავად გამოიყენა. იმდენად შესანიშნავად, რომ ნამატჩევს გერმანიაში ერთგვარი დისკუსიაც კი გაჩაღდა, მაინც რითი ჯობია ოლივერ კანი რენზინგსო. გულშემატკივრების გარკვეული ნაწილი უკვე მიიჩნევს, რომ დროა, ახალგაზრდა მეკარეს უფრო ხშირად მიეცეს ასეთი შანსები, რადგან ერთადერთი, რაც მას კანისგან ძალიან განასხვავებს, გამოცდილება გახლავთ.**

*„რა დასამალია, რომ თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ,“* – უთხრა **რენზინგმა** ჩვენს გერმანელ კოლეგებს მიუნხენში დაბრუნების შემდეგ. არცაა გასაკვირი: მიუხედავად იმისა, რომ „სან სიროზე“ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და „ბაიერნი“ პირველ ტაიმში გაშვებული გოლისგან ორჯერ იხსნა, შაბათს, როცა რეკორდმაისტერი „ჰანოვერს“ დაუპირისპირდება, რენზინგი ისევ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლებს, „ბაიერნის“ კარში კი კვლავ **კანი** ჩადგება.

*„მიხაელმა „მილანთან“ მართლაც გრანდიოზული თამაში აჩვენა და ორი ისეთი ისეთი ბურთი აილო, დღემდე რომ არ მინახავს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მეორე მეკარე უმაღლესი კლასისაა. ეს კი სასიხარულო ფაქტია, რადგან შეგვიძლია, მშვიდად ვიყოთ - როცა ოლის თამაში არ შეუძლია, მას ღირსეული შემცვლელი ჰყავს,“* - აცხადებს **ოტმარ ჰიტცფელდი**.

მაგრამ რენზინგს ასეთი სიტყვების მოსმენა უკვე მობეზრებული აქვს. 22 წლისაა და მას მერე, რაც „ბაიერნში“ ირიცხება, მუდმივად ერთი და იგივე ესმის – „კანის ღირსეული შემცვლელი“, კარგი სათადარიგო მეკარე“, „შეგვიძლია, მშვიდად ვიყოთ“ და ა.შ. მას უკვე აღარ აკმაყოფილებს სათადარიგო ფეხბურთელის სტატუსი. ცოტა ხნის წინ რეკორდმაისტერის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** კანს კონტრაქტის გაგრძელებისკენ მოუწოდა, რის გამოც რენზინგმა მაშინვე ყვირილი მორთო, თქვენ მე ვინ გგონივართო და მხოლოდ მაშინღა დამშვიდდა, როცა ოლიმ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ მომდევნო სეზონის ბოლოს პენსიაზე გადის და რომ ეს მისი საბოლოო გადაწყვეტილებაა.

*„ვერაფერს შევცვლი. დიდი ხანია, ასეთ მდგომარეობაში ვარ და როგორც ხედავთ, დღემდე ვითმენ. ეს სიტუაცია ჩემთვის უცხო არაა. „მილანთან“ წინა სეზონშიც ვითამაშე, მერე კი ისევ რეგიონალლიგაში გადავინაცვლე, „ბაიერნის.“ მოყვარულების მაისურა მოვირგე და 150 ფანის თვალწინ ვიასპარეზე,“* – აცხადებს რეზერვისტი რენზინგი და იქვე ამატებს, - *„სადაც ამდენ ხანს ვითმინე, ერთ წელსაც მოვითმენ. სამაგიეროდ, მერე „ბაიერნის“ პირველი გოლკიპერი გავხდები და უკვე სხვებს მოუწევთ ლოდინი.“*

„ბაიერნის“ მენეჯერი **ული ჰიონესი** რენზინგის კარგი თამაში არ უკვირს. *„დიახ, მილანში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერია – მიხაელი საკმაოდ დიდ ხელფასს იღებს და საჭიროების შემთხვევაში კანის ღირსეულად შეცვლა მისი პირდაპირი მოვალეობაა. რენზინგი „ბაიერნში“ მნიშვნელოვანი ფიგურაა, კანი სწორედ მან უნდა შეცვალოს,“* – ტრადიციულად ენამწარობს ჰიონესი.

მოკლედ, რენზინგი ჯერჯერობით ისევ სათადარიგო ვარიანტად რჩება, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგები ოთხშაბათის შემდეგ ერთ კითხვას სვამენ: არის თუ არა სამართლიანი ის, რომ ჰიტცფელდისთვის კანი შეუცვლელი ფიგურაა? აი, რას ამბობს თვითონ „გენერალი“: *„როცა იქნება, რენზინგი კიდევ მიიღებს თავის შანსს, ჯერჯერობით მოთმინება მართებს. არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში ის სულ უფრო და უფრო ხშირად ვათამაშო ხოლმე, რათა გამოცდილება შეიძინოს. ერთი სიტყვით, ვნახოთ... ცხადია, რომ კანი პირველ ნომრად რჩება!“*

...არადა, ოლი ბოლო დროს არასტაბილურია. მართალია, თამაშის დროს შეცდომებს არ უშვებს, სამაგიეროდ, მოედანს მიღმა ნერვებს ვერ თოკავს. გაიხსენეთ თუნდაც შარდის სკანდალი, რომელიც სულ ახლახან მოხდა და რის გამოც კანი „მილანთან“ შეხვედრისთვის დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ან გაიხსენეთ მისი არასპორტული საქციელი „შალკესთან“ მატჩის დროს, **ლარსენს** რომ ჩაარტყა. მოედანზე რენზინგიც ძალიან სტაბილურია. მეტიც, მიმომხილველების აზრით, ეს გოლკიპერი უკვე მზად არის, „ბაიერნის“ კარი დაიცვას. მისი ერთადერთი ნაკლი გამოცდილების არქონაა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მიხაელი გამოცდილებას სკამის ხეხვით ან რეგიონალლიგაში თამაშით ვერ მიიღებს.

22 წლის რენზინგი ალბათ შურით უყურებს „ლევერკუზენსა“ და „შალკეს“, კლუბებს, სადაც ამ სეზონში სათადარიგო მეკარეებმა ძირითადები სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდეს. „შალკეში“ 21 წლის **მანუელ ნოიერმა ფრანკ როსტს** აჯობა და 33 წლის გამოცდილი კიპერი „ჰამბურგში“ გადახვეწა, „ლევერკუზენში“ კი 22 წლის **რენე ადლერმა** 32 წლის **ჰანს-იორგ ბუტი** მიაჯაჭვა სკამს. *„რა თქმა უნდა, ცოტათი მშურს კიდეც. ვხვდები, რომ „ბაიერნში“ ასეთი რამ გამორიცხულია. აქ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს. „ბაიერნში“ სპონტანურად არაფერი ხდება ხოლმე და მეც ამას უნდა შევეგუო,“* – ამბობს რენზინგი.

თუმცა მთლად ასეც არ არის საქმე. როგორც იცით, კანს „შალკესთან“ ჩადენილი „დანაშაულის“ გამო თვით **ფრანც ბეკენბაუერიც** კი მისდგა. *„არ ვიცი და ვერ გამიგია, რა ხდება ოლის თავს, რატომ არის ის ბოლო დროს ასეთი ანერვიულებული. რუმენიგესა და ჰიონესს უნდა გამოვარკვევინო, პრობლემები ხომ არ აქვს. ჩემთვის ფეხბურთელის ასეთი ქცევა, ვინც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის მიუღებელია!“* – ამბობდა კაიზერი კვირას. მაგრამ ჰიონესი მეკარეების თემის წამოჭრას ამრეზით უყურებს: *„ეს ფრანცის მოსაზრებაა. ყველას თავისი აზრი აქვს. მე ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც კანსა და რენზინგს შორის კონკურენციაზე უნდა ვისაუბროთ და ვთქვათ, რომ ოლის ძირითად შემადგენლობაში ადგილი განაღდებული არ უნდა ჰქონდეს.“* – ამბობს ული.

ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: „მილანთან“ მატჩის შემდეგ „ტიტანის“ ძეგლს ბზარი გაუჩნდა. ისე, სხვათა შორის, მილანური მატჩის ერთ-ერთ გმირ რენზინგს შეუძლია იოცნებოს – კანს ნათქვამი აქვს, თუ ჩემპიონთა ლიგას მოვიგებთ, მომდევნო სეზონს აღარ დაველოდები, ბუცებს ლურსმანზე წელსვე დავკიდებო...

**გოტფრიდ ლენცი**



მიხაელ რენზინგი თავის შანსს ელოდება

## ახალი ამბები

### ოლი კალცის რეკორდს უმიზნებს

#### სანიოლი ლაზარეთში ოთხ თვეს გაატარებს

**ბუნდესლიგის** მომდევნო ტურში „ბაიერნი“ „ჰანოვერს“ სტუმრობს და თუ მიუნხენელები ამ შეხვედრაში გაიმარჯვებენ, მათი კაპიტანი ოლივერ კანი „ჰამბურგის“ ლეგენდარული კაპიტნის, მანფრედ კალტცის რეკორდს გაიმეორებს. რეკორდმაისტერის გოლკიპერს ბუნდესლიგაში 290 თამაში აქვს მოგებული, კალტცის რეკორდი კი 291 მოგებული შეხვედრაა. ასე რომ, ჰანოვერში გამარჯვების შემთხვევაში, ოლი კალცს გაუთანაბრდება და აღსანიშნავია, რომ ამისათვის კანს კალტცზე 54 თამაშით ნაკლები დასჭირდება.

ამასობაში, „ბაიერნის“ პრესმდივანმა მარკუს ჰიორვიკმა გვაუწყა, რომ ვილი სანიოლის ტრავმა, რომელიც ფეხბურთელმა მილანური მატჩისას მიიღო, მოსალოდნელზე გაცილებით მძიმეა. 30 წლის სანიოლი მოედანს ოთხი თვე ვერ დაუბრუნდება. ვილიმ სამშაბათს, კაკასთან ორთაბრძოლისას, ფეხი იღრძო და შესაცვლელი გახდა. ექიმები თავიდან ფიქრობდნენ, რომ ფრანგი 6-8 კვირას დაისვენებდა, მაგრამ მერე გაირკვა, რომ ოპერაცია სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავარიული გიგანტის ვიცე-კაპიტანი ლაზარეთში ოთხ თვეს გაატარებს. იმთავითვე ნათელი იყო, რომ სანიოლი „ბაიერნს“ ამ სეზონში ველარ დაეხმარებოდა. მისი შეცვლა ანდრეას გიორლიტცსა და კრისტიან ლელს შეუძლიათ. „მილანთან“ პირველი მეოთხედფინალური მატჩი სწორედ ამ უკანასკნელმა ჩაამთავრა.

### შტუტგარტი ბაშთურქს უმიზნებს

„შტუტგარტის“ გენერალურმა მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** ჩვენს გერმანელ კოლეგებს დაუდასტურა, რომ შვაბურ კლუბს ბერლინის „ჰერტას“ თურქი ფლეიმეიქერის, **ილდირაი ბაშთურქის** გადაბირება სურს. *„მზად ვართ, ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ ბაშთურქმა მომდევნო სეზონში „შტუტგარტის“ მაისურა მოირგოს. ამ ფეხბურთელით სერიოზულად ვართ დაინტერესებულები,“* – განაცხადა ჰელდტმა.

ამასთან ერთად, შვაბთა ყოფილმა ფეხბურთელმა, ჟურნალისტებს კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია ამცნო: **თომას ჰიტცლშპერგერი** „შტუტგარტთან“ კონტრაქტს 2010 წლამდე აგრძელებს. ნახევარმცველს, რომელსაც გერმანიის ნაკრებში რეგულარულად იძახებენ, ხელშეკრულების ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურებოდა. 25 წლის ჰიტცლშპერგერი „შტუტგარტის“ ერთ-ერთი ლიდერი გახლავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განაჩენი

### შეღავათი კატანიას

#### ფანები სტადიონზე დაბრუნდებიან, მაგრამ კლუბი საკუთარ არენაზე ვერა

“კატანიის” გულშემატკივრებს სტადიონზე დაბრუნების ნება დართეს. ოთხშაბათს, კატანიის ადმინისტრაციულმა სასამართლომ გააუქმა აკრძალვა, რომელიც 2 თებერვლის სისხლიანი სიცილიური დერბის შემდეგ მოქმედებდა. შეგახსენებთ, ორი თვის წინ, “კატანია”-”პალერმოს” მატჩის შემდეგ, ქალაქი ქაოსმა მოიცვა. სტადიონის მისადგომებთან ტიფოზებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა, რასაც ერთი პოლიციელის, **ფილიპო რაჩიტის** სიცოცხლე შეეწირა. იმ დღის მერე კატანიელ ქომაგებს სეზონის ბოლომდე აუკრძალეს თამაშებზე დასწრება. მათ კლუბს კი საშინაო მატჩების გამართვა ნეიტრალურ არენაზე დააკისრეს. შაბათს, “კატანია” “რომას” უმასპინძლებს, მაგრამ ეს მატჩიც ნეიტრალურ სტადიონზე, ლეჩეში გაიმართება. სიცილიელთა არენა, “ანჯელო მასიმინო”, უსაფრთხოების ახალ ნორმებს ვერ აკმაყოფილებს. კლუბისთვის შეღავათი ის იქნება, რომ წინა ორი თვისაგან განსხვავებით, კატანიელ ქომაგებს თამაშზე დასწრება შეეძლებათ.

ბარსელონა

### სარაგოსის გავლით კამპ ნოუზე

#### ექსრეალელ კარლოს დიოგოს კატალონიაში უხმეს, ბარსამ, შეიძლება, არგენტინელი მეკარეც აიყვანოს...

“ბარსელონა” ურუგვაელი მარჯვენა მცველით, **კარლოს დიოგოთი** დაინტერესდა. ფეხბურთელი “სარაგოსაში” თამაშობს. არაგონელებმა ის მადრიდის “რეალისაგან” დაკლებულ ფასში, სულ რაღაც 2 მილიონ ევროდ გამოისყიდეს. რაც შეეხება ფეხბურთელის კატალონიურ პერსპექტივას, “რეალისთვის” იმთავითვე ცნობილი იყო, რომ დიოგოს შეძენა მის მოსისხლე მტერს სურდა. ამიტომ “სარაგოსასთან” შეთანხმებაში ჩაიდო პუნქტი, რომ თუ კარლოსს უახლოესი ერთი წლით განმავლობაში რომელიმე წამყვან ესპანურ კლუბში გაყიდიან, მადრიდელებმა დამატებით 1 მილიონი ევრო უნდა მიიღონ. ეს თანხა ისევ “ბარსელონის” ბიუჯეტს დააწვება. დიოგოს ახალი ფასის განსაზღვრისას, “სარაგოსის” ხელმძღვანელობა 1 მილიონს აუცილებლად გაითვალისწინებს.

“ბარსელონიდან” მიღებული კიდევ ერთი ინფორმაცია არგენტინელ მეკარე **ოსკარ უსტარის** ეხება. კატალონიელები “ინდეპენდიენტესთან” მოლაპარაკებებს გამართავენ. გაისად ახალგაზრდა გოლკიპერი, შეიძლება, “კამპ ნოუზე” ვიხილოთ. აი, რას ამბობს უსტარი: *“მიუხედავად იმისა, რომ მეკარე ვარ, ჩემი კერპები ყოველთვის მინდვრის მოთამაშეები იყვნენ. ასეა დღესაც. მიმაჩნია, რომ რონალდინიო ნამდვილი ფენომენია და ვიამაყებ, თუკი ოდესმე მის გუნდში მომიწევს თამაში. ლეო მესისთან არაერთხელ მიხუმრია, რას იტყვი, ერთ მშვენიერ დღეს მეც “ბარსელონაში” რომ ამიყვანონო. “ბარსა” დიდი გუნდია. დარწმუნებული ვარ, იქაურობას უპრობლემოდ შევეჩვევი.”*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა. ახალი ამბები

# ბედნიერი დღე კატალონიელი ინჩასებისთვის

## რონალდინიომ საგანგებო პრესკონფერენციაზე კამპ ნოუზე დარჩენის სურვილი გამოთქვა, გამორიცხული არ არის, მომავალი სეზონიდან მას ტიერი ანრი შეუწყვილდეს

რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, რომ **რონალდინიოს** "მილანში" გადასვლა ფაქტობრივად, გამოირიცხა. ფეხბურთელის ძმამ და მენეჯერმა **რობერტო დე ასისმა** "ბარსელონის" შეფებთან შეხვედრის შემდეგ კატალონიელებს სასიხარულო ინფორმაცია მიაწოდა. მხარეები კონტრაქტის პირობების გაუმჯობესებაზე და მისი ვადის გახანგრძლივებაზე სიტყვიერად შეთანხმდნენ. ალსანიშნავია, რომ მთელი ამ პროცესის მიმდინარეობისას თავად რონალდინიოს კონკრეტული არაფერი უთქვამს. ის მხოლოდ იმას ამბობდა, რომ სატრანსფერო საკითხებს მისი ძმა განაგებდა. ამჯერად გაუჩომ პრესკონფერენცია მოიწვია და ინჩასები მეტისმეტად გააბედნიერა: *"ვნებათაღელვა უნდა დასრულდეს. ძალიან დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ აქ კიდევ მრავალ წელს გავატარებ. ბარსელონაში წარმოუდგენლად ბედნიერად ვგრძნობ თავს. "მილანს" არასოდეს დავლაპარაკებივარ. "ბარსაში" ყველა მაფასებს და ყველას ვუყვარვარ. ასე რომ, მხოლოდ და მხოლოდ გამიხარდება, თუ კონტრაქტს გამიხანგრძლივებენ."*

ამასობაში, კატალონიის დედაქალაქში სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა. საქმე **ტიერი ანრის** "კამპ ნოუზე" შესაძლო გადაბარგებას ეხება. "დიარიო სპორტი" მთელი სერიოზულობით იუწყება, რომ ფრანგ ვარსკვლავს მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ტრანსფერზე დააყენებენ. ამის მიზეზი ანრისა და **არსენ ვენგერის** ურთიერთობების გაფუჭებაა. ტიერის მენეჯერმა **ლერომ ანდერსონმა** კატალონიელ ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ მისი კლიენტი ლონდონური კლუბის მიერ წარმოებული სატრანსფერო პოლიტიკით უაღრესად უკმაყოფილოა. ანრის იმედი ჰქონდა, რომ ვენგერი ხელმძღვანელობას ახალი ფეხბურთელების შეძენის აუცილებლობაში დაარწმუნებდა. "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა კი გადაწყვიტა, დიდი მიზნებისთვის ძველი შემადგენლობით ებრძოლა. არადა, ფრანგ ფორვარდს "მეთოფეებთან" ერთად პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება სურდა. მოგეხსენებათ, "არსენალი" ევროტურნირს გამოეთიშა, ინგლისის ჩემპიონატში გამარჯვების პრაქტიკული შანსი კი დიდი ხნის წინ დაკარგა. როგორც ამბობენ, მან ტრანსფერზე დაყენება მოითხოვა.

გემახსოვრებათ, გასულ წელს ტიერის გადაბირების სურვილი "ბარსელონას" ჰქონდა. საქმე თითქმის მოგვარებული იყო, მაგრამ "კამპ ნოუზე" წასვლა თავად ფეხბურთელმა არ ისურვა. "არსენალის" სუპერვარსკვლავს სჯეროდა, რომ მისი გუნდი ახალ სეზონში ღირსეულად იასპარეზებდა...

მოკლედ, დიდ მოთამაშეს იმედები გაუცრუვდა და ახლა წასვლას, ალბათ, ველარაფერი გადაათქმევინებს. "ბარსელონას" ანრისადმი ინტერესი არ განელებია. ბუნებრივია, **ჩიკი ბეგირისტაინმა** არ დაახანა და მოქმედებას შეუდგა. ის უკვე დაუკავშირდა ლონდონელ კოლეგებს და განუცხადა, თუ საჭიროა, თქვენთან ხვალვე გამოვფრინდებიო. "არსენალის" დირექტორატიდან ბეგირისტაინმა შეიტყო, რომ ანრის შეძენის წინადადებით მათ "ინტერის" შეფებმა რამდენიმე დღით ადრე მიმართეს. თითქოს "ნერაძური" გარკვეულ უპირატესობას დაეუფლა, თუმცა, სჯობს, დასკვნების გამოტანა არ ვიჩქაროთ. საქმე ის არის, რომ თავად ტიერი ანრის ბეგირისტაინისთვის სიტყვა აქვს მიცემული, თუ "არსენალიდან" წასვლას გადავწყვეტ, პირველ რიგში, თქვენი წინადადების განხილვას შევუდგებიო. ბეგირისტაინს, რა თქმა უნდა, ეს კარგად ახსოვს და საოცრად იმედიანადაა განწყობილი. გენერალურმა დირექტორმა სატრანსფერო დაინტერესების შესახებ ესპანელ ჟურნალისტებს გულწრფელად მოახსენა: *"ტიერი ანრი ჩვენი უპირველესი სამიზნეა. მიმაჩნია, რომ ფრანგი ლეგიონერის გადმობირების ფანტასტიკური შესაძლებლობა გვაქვს. თანამედროვე ფეხბურთში ასეთი დონის მოთამაშის ხელში ჩაგდება უდიდეს სირთულეებთანაა დაკავშირებული. ცხადია, გარკვეულ ბარიერებს ჩვენც გადავეყრებით, მაგრამ მჯერა, რომ მოლაპარაკებები შარშანდელზე მარტივი და რაც მთავარია, წარმატებული იქნება."*

ნიშანდობლივია, რომ "არსენალის" პრესსამსახურმა კატალონიური გიგანტის ინტერესი ოფიციალურად დაადასტურა.



რონალდინიო

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲘ. ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲘ

# ანრი ისევ ეჭვებმა შეიპყრო

## ვინ მოხვდა ვენგერის სიაში? ინტერი როსიცკის 14 მილიონად შეიძენსო...

ესპანური გაზეთის, "ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, **ტიერი ანრი არსენ ვენგერს** შეხვდა. ფეხბურთელი საზაფხულო გეგმებით დაინტერესდა. მწვრთნელმა მას იმ ფეხბურთელთა სია გააცნო, რომელთა შეძენას აგვისტოში აპირებს. გვარებმა ანრიზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ტიერი ძლიერი ფეხბურთელების ტრანსფერებს ითხოვს. მას არ სურს საშუალო დონის კლუბში თამაში, რომელიც "ჩელსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედთან" ვერაფერს გააწყობს. "ელ მუნდოს" სტატიას თუ დავუჯერებთ, ანრიმ ისევ აბარგებაზე დაიწყო ფიქრი. ეს ინფორმაცია აუცილებლად დააინტერესებს "ინტერის" პრეზიდენტ **მასიმო მორატის**. გუნდის საუკუნოვანი იუბილეს ალსანიშნავად, მას ერთი ხმაურიანი ტრანსფერის განხორციელება სურს.

დავუბრუნდეთ "არსენალს". საინტერესოა, ვინ მოხვდა ვენგერის სიაში? "მეთოფეების" ბოსი გვარების გამხელას არ ჩქარობს. ინგლისური ტაბლოიდები კი საკუთარ ვერსიებს გვთავაზობენ. "მირორი" დარწმუნებულია, რომ "არსენალი" სევილიელი **დანიელ ალვეშის** ხელში ჩაგდებას ეცდება. ბრაზილიელ მცველს "ლივერპულიც" ეპატიჟება. თავდაპირველად მერსისაიდელები მის სანაცვლოდ მოთხოვნილმა 12 მილიონმა გირვანქამ შეაფერხა, მაგრამ მას მერე, რაც ამერიკელმა მეპატრონემ, **ჯორჯ ჯილეტმა** 40 მილიონი გირვანქა გამოყო, **რაფა ბენიტესს** ეჭვი აღარ ეპარება, რომ ალვეში "ენფილდზე" ითამაშებს. "არსენალი" უბრძოლველად დანებებას არ აპირებს. მას მარჯვენა მცველი და მარჯვენა ნახევარმცველი სჭირდება. ალვეშს კი ორივე პოზიციის გაძლიერება შეუძლია. მირორი იხსენებს, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში "არსენალმა" "ლივერპულის" ორი სატრანსფერო ბრძოლა მოუგო: თებერვლის მიწურულს "მეთოფეებმა" "შატორუს" 16 წლის თავდამსხმელი **ჟილ სუნუ** დაიბევეს, ხოლო გასულ უქმეებზე "ვალენსიის" 19 წლის მცველი **იაგო ფერნანდესიც** მათ დარჩათ.

გრძელდება სპეკულაციები **ტომაშ როსიცკის** "ინტერში" ტრანსფერის თაობაზე. მორატის ბანაკი მას **ლუიშ ფიგუს** შემცვლელად მოიაზრებს. მილანელთა ერთ-ერთმა მალალჩინოსანმა დაადასტურა, რომ როსიცკის შეძენა სურთ. გასულ ზაფხულს "არსენალმა" დორტმუნდის "ბორუსიას" 6.9 მილიონი გირვანქა მიუთვალა. "ინტერი" მზადაა, 14 მილიონი გადაიხადოს. ტომაშმა "მეთოფეების" შემადგენლობაში 27 მატჩი ჩაატარა და ოთხი გოლი შეაგდო.

"ინტერი" კიდევ ერთ არსენალელს აკვირდება. შესაძლოა, **მატიო ფლამინიც** "ნერაძურიში" ალმოჩნდეს. მილანელებს ემპოლელი **სერჟიო ალმირონის** შეძენა სურდათ, მაგრამ მან "იუვენტუსი" აირჩია. ფლამინი ალმირონის მაგივრობას უპრობლემოდ გასწევს. მატიოს ლონდონიდან წასვლა იმიტომ უნდა, რომ რეგულარულად არ ათამაშებენ. ძირითადში მოხვედრის გარანტიას მას "ინტერშიც" ვერავინ მისცემს.

და კიდევ, საყოველთაო ყურადღების ცენტრშია "არსენალის" დანიელი თავდამსხმელი **ნიკლას ბენდტნერი**. "მეთოფეებს" ის ქვედა დივიზიონის "ბირმინგემში" ჰყავთ გაშვებული. ნიკლასი სათამაშო პრაქტიკას იღებს და ინგლისურ ფეხბურთს ეჩვევა. მისი შეძენა შოტლანდიურმა გრანდებმა, "რეინჯერსმა" და "სელტიკმა" მოისურვეს. ბენდტნერით დაინტერესებას რამდენიმე ევროპული გრანდიც გამოთქვამს.




ტიერი ანრი

### მეტცელდერი მადრიდში 20 მაისს ჩავა

"დიარიო ასის" ცნობით, "რეალმა" **კრისტოფ მეტცელდერს** კონტრაქტი გაუფორმა, თუმცა გარიგების შესახებ ოფიციალურად მხოლოდ მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც ბუნდესლიგის წლევანდელი სეზონი დასრულდება. მადრიდული გაზეთი გვარწმუნებს, რომ გერმანელი მცველის პრეზენტაცია 20 მაისს მოეწყობა.

შეგახსენებთ, მეტცელდერს დორტმუნდის "ბორუსიასთან" კონტრაქტი მიმდინარე წლის 30 ივნისს ეწურება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამეფო კლუბს ერთი ცენტის გადახდაც კი არ მოუწევს. ამ ეტაპზე გარიგების სხვა დეტალები არ ხმაურდება.

### ბერლუსკონი დიდას წინააღმდეგ

**ნელსონ დიდას** მილანური კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "ბაიერნთან" მისმა სუსტმა თამაშმა და განსაკუთრებით, **დანიელ ვან ბუიტენის** მეორე გოლმა **სილვიო ბერლუსკონის** მოთმინების ფიალა აუვსო. თვითმხილველთა თქმით, ანგარიშის გათანაბრებისას ის **ადრიანო გალიანის** მიუბრუნდა და უთხრა, როგორ შეიძლება, მეკარეს, რომელიც ასეთ შეცდომებს უშვებს, წელიწადში 2.5 მილიონი ვუხადოთო. "გაძეტა" იუწყება, რომ დიდას "იუვენტუსს" შესთავაზებენ, კიდევ რამდენიმე მილიონ ევროს დაუმატებენ და **ჯანლუიჯი ბუფონს** იყიდიან. "მილანში" ტრანსფერს უწინასწარმეტყველებენ "სელტიკის" მეკარე **არტურ ბორუცსაც**.

ალიარება

# ბასკაკოვი: პენალტი არ ყოფილა

## რუსმა მსაჯმა აღიარა, რომ ბავარიელები უსამართლოდ დასაჯა...

რუსმა არბიტრმა **იური ბასკაკოვმა** აღიარა, რომ "მილანი"-"ბაიერნის" მატჩისას სტუმართა კარში პენალტი არ უნდა დაენიშნა. "სოვეტსკი სპორტისათვის" მიცემულ ინტერვიუში მან გაწეული სამუშაო ასე შეფასა: *"ვფიქრობ, ცუდად ამ მიმსაჯია. ეს შეფასება არ გულისხმობს იმ ეპიზოდს, როცა მეორე ტაიმის მიწურულს, კაკასა და ლუსიოს შეჯახებისას პენალტი დავნიშნე. მივილე ის გადაწყვეტილება, რომელიც იმ წამს სამართლიანად მომეჩვენა. ერთი წამითაც კი არ შემპარვია ეჭვი, რომ ლუსიომ ჯერ კაკას მისცხო ფეხი და მხოლოდ ამის შემდეგ გადააგდო ბურთი კუთხურზე. ვიმეორებ, დარწმუნებული ვიყავი, რომ პენალტი სამართლიანი იყო, მაშინაც კი, როცა მიუნხენელები გარს შემომერტყნენ. ეპიზოდი განმეორებით სასტუმროში ვნახე. თამაშის შემდეგ უეფას დელეგატმა, ინგლისელმა დევიდ ელერიმ მითხრა, რომ პენალტის ეპიზოდში არ მეთანხმებოდა. შემდეგ უეფას სამსაჯო კომიტეტის წევრ ნიკოლაი ლევნიკოვსაც გავესაუბრე. მანაც ელერის მოსაზრება გაიზიარა. ნიკოლაი ვლადისლავოვიჩმა მითხრა, რომ იმ ერთი ეპიზოდის გამოკლებით, ჩემი მუშაობით კმაყოფილი დარჩა. დღეს მე თვითონაც ვაღიარებ, რომ 11-მეტრიანი არ უნდა დამენიშნა. მომხდარის გამო მთელ პასუხისმგებლობას მე ვკისრულობ."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე

# სლომკა: ნახევარმცველებო, აზრზე მოდით!

## მწვრთნელი ყველაზე მეტს კობიაშვილის რგოლისაგან ითხოვს...

**კევინ კურანი** პირდაპირ ამბობს, რომ „ბაიერნთან" განცდილი მარცხის შემდეგ, „შალკეს" გასახდელში, შესაძლოა, ბევრისთვის მეტად არასასიამოვნო, მაგრამ ძალიან საჭირო საუბარი შედგა. თავდამსხმელი აცხადებს, რომ გელზენკირხენული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** და მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** „მძიმე სიტყვებით" ილაპარაკეს. ეს ისეთი მარცხი იყო, რომელსაც ვერაფერი გავუგეთ და ასეთი საუბრის გამართვა ამიტომაც გახდა საჭირო, ამბობს მიულერი და თავისივე ნათქვამს ხსნის: *„მეორე გოლის შემდეგ ფეხბურთელები თითქოს დანებდნენ, ეს კი ძალიან არ მომეწონა. ბოლომდე უნდა ებრძოლათ!"* მოკლედ, მიულერმა და სლომკამ შეგირდებს კარგი ლექცია წაუკითხეს.

მწვრთნელი გაბრაზებული გახლდათ იმის გამო, რომ მისმა გუნდმა, რომელიც ჩემპიონობისთვის იბრძვის, ბოლო დროს შესამჩნევად მოუკლო. სლომკა აღშფოთებულია არა მხოლოდ იმის გამო, რომ მისმა სამწყსომ მიუნხენში ამაზრზენი შთაბეჭდილება დატოვა, არამედ პირველ რიგში იმ ბალანსის გამო, რაც „შალკეს" ბოლო თვენახევარში აქვს: მხოლოდ ერთი მოგება ბოლო 6 თამაშში. ამასთან, „ხუმარებმა" უკანასკნელ 5 შეხვედრაში სულ რაღაც 2 გოლის გატანა მოახერხეს და მეორე წრის ცხრილში მე-6 ადგილზე იმყოფებიან. ანუ, რომ არა პირველი წრის დამსახურებები, „შალკე" ლიდერი არ იქნებოდა.

ის, რომ **ლევან კობიაშვილის** გუნდი ჯერ კიდევ ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის სათავეშია, პირველყოვლისა, ფორტუნის დამსახურება გახლავთ – კონკურენტებიც სცოდავენ. სწორედ ამიტომ, სლომკა შეგირდებს მაქსიმალური კონცენტრაციისკენ მოუწოდებს, რადგან თუ შაბათს, მიონხენგლადბახის „ბორუსიასთანაც" წაიფორხილეს, ეჭვი არავის ეპარება, რომ გელზენკირხენელები ლიდერობას გამოემშვიდობებიან. თანაც, „გლადბახი" ბოლო ადგილზეა, ანუ, ვისთან უნდა მოიპოვოს „შალკემ" 3 ქულა, თუ არა აუტსაიდერთან?

გუშინწინდელ ვარჯიშზე სლომკამ ბიჭები სწრაფ ტემპზე ავარჯიშა. მირკოს აზრით, მთავარი ისაა, რომ გუნდმა უფრო აქტიურად ითამაშოს. აქტიურობა, პირველ რიგში, ნახევარმცველებს მოეთხოვებათ და მერე რა, რომ **ლინკოლნის** გარეშე აქტიური „შალკე" ცოტათი უფრო რთულად წარმოსადგენია (ბრაზილიელს სწორედ „გლადბახთან" მატჩის შემდეგ გასდის დისკვალიფიკაციის ვადა). *„შუა ხაზი უფრო აგრესიული უნდა გახდეს, შეტევები სწრაფად უნდა განვავითაროთ, ბურთი დაცვიდან თავდასხმამდე ძალიან სწრაფად უნდა მიდიოდეს. ეს ეხება როგორც ნახევარდაცვის შუა ხაზს, ასევე ფლანგებსაც."* – ამბობს სლომკა და იქვე ამატებს, - *„იმისათვის, რომ გერმანიის ჩემპიონები გავხდეთ, უბრალოდ, უფრო კარგი ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ! თითოეული ფეხბურთელისგან 100 პროცენტიან კონცენტრაციას ვითხოვ, ეს განსაკუთრებით ნახევარმცველებს ეხებათ."* სლომკამ, სხვებთან ერთად, კობიაშვილიც იგულისხმა.

„გლადბახთან" ვერ ითამაშებს **ფაბიან ერნსტი** (დისკვალიფიცირებულია), ასე რომ, ნახევარდაცვა სხვაგვარად უნდა დაკომპლექტდეს. დიდი შანსია, რომ სლომკამ ორი საყრდენით თამაში გადაწყვიტოს და ამ ეს პოზიციები კობისა და **ზლატან ბაირამოვიჩს** ჩააბაროს, მათ წინ კი, ლინკოლნის ადგილზე, შესაძლოა, ახალგაზრდა **მესუთ იოზილი** ვიხილოთ, რომელიც ბოლო დროს ძალიან კარგად ათამაშდა და სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრაზე პრეტენზიას აცხადებს, სხვათა შორის, არცთუ უსაფუძვლოდ.

*„არაფრისდიდებით არ უნდა დაგვაწყნაროს იმ ფაქტმა, რომ ჯერ კიდევ ლიდერები ვართ. ასეთი ფილოსოფიით „ვერცხლის სინს" ვერ შევწვდებით. ჩვენ უნდა გავალვიძოთ ჩვენში ის ოცნება, რომელსაც დიდი ხანია, ფრთები შევასხით და შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ,"* – ეს კურანის სიტყვებია, ფორვარდისა, რომელსაც ბუნდესლიგაში ასევე მცირე კრიზისი უდგას: აგერ უკვე 500-ზე მეტი წუთია, გოლი არ გაუტანია.

„გლადბახთან" მატჩის გარდა, „შალკეს" ბოსები სამომავლო გეგმებზეც სერიოზულად მუშაობენ. მიულერმა უკვე დაიწყო ზრუნვა იმაზე, რომ როსტოკის „ჰანზადან" მეკარე **მათიას შობერი** გადაიბიროს. ეს უკანასკნელი 30 წლის გახლავთ და წარმოშობით გელზენკირხენთან ახლოს მდებარე სოფლიდანაა. შობერს „ჰანზასთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ის „შალკესთვის" უფასოა, მაგრამ თანხმობა ჯერ არ უთქვამს. მიულერის თქმით, გუნდს **მანუელ ნოიერთან** (21 წლის) და **რალფ ფერმანთან** (18) ერთად, გამოცდილი გოლკიპერიც სჭირდება, რომელიც ჭაბუკებს წნეხში მოაქცევს.



ვან ბომელის ბაიერნმა ერნისტის შალკე დააჩოქა

*„შობერი იმისთვის კი არ გვინდა, რომ აქ მორიგი სამეკარეო თეატრი გაიმართოს, არამედ იმიტომ, რომ გამოცდილი მეკარე გვჭირდება. ხოლო, პირველი კიპერი გახდება, მეორე თუ მესამე, ეს მერე გამოჩნდება,"* – ამბობს „შალკეს" შეფი და იქვე კომენტარს აკეთებს სპეკულაციების თაობაზე, რის თანახმადაც, „შალკე" გლადბახელებს, **მარსელ იანსენსა** და **ოიგენ პოლანსკის** უმიზნებს - *„კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ არცერთი მათგანი არ გვჭირდება. იანსენის პოზიციაზე როდრიგესი და პანდერი გვყავს, პოლანსკის პოზიციაზე კი ერნსტი, ბაირამოვიჩი და კობიაშვილი..."*

**გოტფრიდ ლენცი**

ლივერპული

# დიარიო სპორტი: რაული იაფად

## ეტოოს ინგლისი ძალიან მოსწონს, მაგრამ...

**რაფა ბენიტესს** რაულ გონსალესის შეძენა ძალიან იაფად შეუძლიაო, ამტკიცებს "დიარიო სპორტი". ესპანური ტაბლოიდის მტკიცებით, "რეალის" პრეზიდენტ **რამონ კალდერონსა** და სპორტულ დირექტორ **პედია მიატოვიჩს** კაპიტანთან გამოთხოვება სურთ. იანვრის ტრანსფერებისას სამეფო კლუბმა **გონსალო იგუაინი**, **ფერნანდო გახო** და **მარსელო** შეიძინა. მადრიდელები გაახალგაზრდავების პოლიტიკას ირჩევენ და ამ პოლიტიკას შეიძლება, კიდევ ერთი გალაქტიკო შეეწიროს. რაულს კონტრაქტში სამი წელი აქვს დარჩენილი. რამდენიმე თვის წინ გონსალესმა დაუფარავად განაცხადა, მადრიდში იმდენ ხანს დავრჩები, სანამ კლუბის ხელმძღვანელობა ჩათვლის საჭიროდო. კალდერონმა იცის, რომ რაულის საკითხი უმტკივნეულოდ უნდა გადაჭრას. ამიტომ კომპენსაციის სახით, სიმბოლურ თანხას მოითხოვსო, წერს "დიარიო სპორტი". "ლივერპულში" **რაფა ბენიტესის** დანიშვნის შემდეგ 29 წლის თავდამსხმელი არაერთხელ უნახავთ "ენფილდის" ტრიბუნებზე. თავდაპირველად ძველ მეგობარს, **ფერნანდო მორიენტესს** სტუმრობდა ხოლმე, მაგრამ ერთი-ორჯერ მოროს აბარგების მერეც იყო. ბენიტესი "რეალის" სათადარიგო გუნდის ყოფილი მწვრთნელია. ის გონსალეს ბლანკოს თინეიჯერობიდან იცნობს. მისთვის ძნელი იქნება ესპანელ ვარსკვლავზე უარის თქმა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მადრიდელები შემცირებულ თანხას მოითხოვენ.

გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ "ლივერპულში" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ კიდევ ერთ ვარსკვლავს, **სამუელ ეტოოს**. რა თქმა უნდა, მერსისაიდელები რაულსა და ეტოოს ერთად არ იყიდიან, მაგრამ საჭიროდ ჩავთვალეთ, შემოგთავაზოთ კამერუნელის კომენტარი, რომელიც მან "ლივერპულის" შესახებ გააკეთა: *"მათში ყველაზე მეტად სიმამაცეს ვაფასებ. ჩვენც ამის ხარჯზე მოგვიგეს. ჯერარდი საუკეთესო ინგლისელი ფეხბურთელია. არა, ინგლისელი კი არა, ინგლისში მოთამაშე საუკეთესო ფეხბურთელი... პრემიერლიგას ხშირად ვუყურებ ხოლმე. შესანიშნავი ფანები ჰყავთ. მომწონს, ტრიბუნები ასე ახლოს რომაა მინდორთან და პირთამდე ივსება. "ენფილდის" ხმაური ეხლაც ყურში ჩამესმის. ინგლისელები ფეხბურთს მთელი გულით ქომაგობენ."*



რაულ გონსალეს ბლანკო

ვალენსია

# უბედური ვისენტე

## ღამურების ნახევარმცველი გუნდს გასულ შაბათს დაუბრუნდა, თუმცა მომდევნო თვეს კვლავ ლაზარეთში გაატარებს

"ჩელსისა" და "ვალენსიის" 55-ე წუთი **ვისენტესთვის** ავბედითი აღმოჩნდა. ესპანელ ნახევარმცველს კუნთი გაუწყდა და **მიგელ ანხელ ანგულოს** დაუთმო ადგილი. **კიკე სანჩეს ფლორესმა** ერთ-ერთი საუკეთესო შეგირდის ტრავმა მეტისმეტად მტკივნეულად აღიქვა: *"შეშფოთებული გახლავართ. ვისენტეს უპრინციპულეს შეხვედრებში ვერ გამოვიყენებთ. არადა, ჩემპიონთა ლიგასა და პრიმერა დივიზიონში კვანძი უახლოეს ერთ თვეში გაიხსნება. ვისენტეს მკურნალობისთვის სწორედ ეს დრო სჭირდება. არ დაგიმალავთ, რომ სასოწარკვეთილი ვარ. ისლა დამრჩენია, ბედს შევეგუო, ვისენტე გავამხნევო და იმედი ვიქონიო, რომ მისი ტრავმა გუნდს დაღს არ დაასვამს. კოლეგებმა ის ღირსეულად უნდა შეცვალონ."*

სალამოს ჟურნალისტებს თავად ვისენტეც გაესაუბრა: *"გულდაწყვეტილი დავრჩი. დასანანი და სამწუხაროა, რომ ბიჭებს პრინციპულ ბატალიებში ვერ დავეხმარები. მირჩევნია, ტრავმაზე ბევრი აღარ ვიფიქრო. წელს ისედაც ძალიან დავიტანჯე. გამოჯანმრთელებას ვერ ვასწრებ, რომ ისევ ლაზარეთში ვბრუნდები."*

მართლაც, ვისენტე ერთ-ერთი ყველაზე უიღბლო ფეხბურთელია. თავად განსაჯეთ, ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ გუნდს ის მხოლოდ გასულ შაბათს "ესპანიოლთან" მატჩში დაუბრუნდა. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ვალენსიელს მიმდინარე სეზონში ზედიზედ ოთხი მატჩის ჩატარების საშუალება ერთხელაც არ მისცემია. ვისენტე ყოველი მეორე ან მესამე ორთაბრძოლის შემდეგ კვლავ ტრავმას იღებდა და ლაზარეთში ბრუნდებოდა.

### ნევილი სამი წლით

**გარი ნევილი** "მანჩესტერ იუნაიტედთან" ახალ სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. 32 წლის მცველს ხელშეკრულება 2008 წელს უმთავრდება, მაგრამ მისი გადახედვის შემდეგ, კლუბში 2010 წლამდე დარჩება და კვირაში 70 ათას გირვანქას მიიღებს. რამდენიმე დღის წინ კონტრაქტი გააგრძელა **რაიან გიგზმა**. დღის წესრიგში დგას **პოლ სქოულზისა** და **ოლე გურან სოლსკიაერის** საკითხებიც. სხვა ევროპული გრანდებისაგან განსხვავებით, "იუნაიტედი" ვეტერანებთან გამოთხოვებას არ ჩქარობს. **სერ ალექს ფერგიუსონი** მათგან კიდევ ბევრ სარგებელს ელის.

### სანტა კრუსი ბაიერნიდან მიდის

**როკე სანტა კრუსმა** განაცხადა, რომ "ბაიერნის" თადარიგში ყოფნა ყელში ამოუვიდა და ახალი სამსახურის მოძებნა სურს: *"მიუნხენიდან წასვლას ვაპირებ. სიამოვნებით ვითამაშებდი იტალიაში ან ესპანეთში."* მისი განცხადება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. პარაგვაელი თავდამსხმელით "სევილია" დაინტერესდა, რომელსაც შთამბეჭდავი სეზონის შემდეგ რამდენიმე ნამყვან ფეხბურთელთან გამოთხოვება ელის.

### სად ითამაშებს სისე?

**ჯიბრილ სისე** "მარსელში" იჯარით იმყოფება. მისი სატრანსფერო უფლებები "ლივერპულის" ხელშია. ფრანგებს თავდამსხმელის გამოსყიდვა სურთ. ამისთვის 12 მილიონი ევროა საჭირო. "ლე პარიზიენის" ცნობით, "ოლიმპიკს" ერთ ფეხბურთელში დასახარჯი ამხელა ფული არ აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მერსისაიდელები სისეს დაბრუნებას არ მოისურვებენ, ფეხბურთელს ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. ჯიბრილი მარსელში თავს კომფორტულად ვერ გრძნობს. მას სეზონის დასაწყისი გაუცდა, რის გამოც მხოლოდ 19 მატჩი ჩაატარა, ცხრა გოლი შეაგდო და სამი საგოლე პასი მიითვალა.

### ახალი ინგლისური ტელეგარიგება

**ბრიტანეთის** უდიდესმა კომერციულმა მაუწყებელმა ITV-მ და ირლანდიურმა ტელეკომპანია "სეტანტა სპორტსმა" ინგლისის საფეხბურთო ასოციაციასთან კონტრაქტი გააფორმეს. 2008 წლის აგვისტოდან ოთხი წლის განმავლობაში ისინი პირდაპირ ეთერში გადასცემენ ინგლისის ნაკრების საშინაო მატჩებს, აგრეთვე ასოციაციის თასის რეპორტაჟებს. ასოციაცია კი 425 მილიონ გირვანქას გააკეთებს. აქამდე ეს უფლება BBC-ს და BSkyB-ს ჰქონდათ. ასოციაცია კმაყოფილებით აცხადებს, რომ ახალი გარიგებასაშუალებას მისცემს, უფრო მეტი ინვესტიცია განახორციელოს საფეხბურთო ინფრასტრუქტურაში მთელი ინგლისის გარშემო.

### ნიუკასლის ახალი პროექტი

**ორი** დღის წინ "ნიუკასლის" ხელმძღვანელობამ საზოგადოებას ახალი პროექტი წარუდგინა. ის 300 მილიონ გირვანქადაა შეფასებული და "სენტ ჯეიმს პარკსა" და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სასტუმროებისა და საკონფერენციო ცენტრის განვითარებას ითვალისწინებს. კლუბის მესვეურები ამბობენ, რომ პროექტზე სხვადასხვა არხით მოზიდული ინვესტიციები დაიხარჯება. ამიტომ ის საკლუბო ბიუჯეტს ტვირთად არ დააწვება. სხვათა შორის, გათვალისწინებულია სტადიონის ტევადობის გაზრდაც დღევანდელი 52 400-დან 60 ათასამდე, რითაც "ნიუკასლის" არენა მოცულობით "არსენალის" "ემირიტსს" გაუთანაბრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

ევროპის ჩემპიონატი

# ლიდერებს ჩამოვრჩით



ნანა ძაგნიძე

მესამე ტურის შემდეგ ქართველები ლიდერთა პირველ რიგებს ოდნავ ჩამორჩნენ. კაცთა შორის რომ არავინ სამქულიანი არ გვეყოლებოდა, ისედაც ცხადი იყო, მაგრამ ქალთა შორის კი დიდი იმედი გვქონდა - **ქეთევან არახამია** და **ლელა ჯავახიშვილი** ორი ქულით ლიდერთა შორის იყვნენ. სამწუხაროდ, ორივემ ყაიმით ითამაშა, თუმცა ასეთ შედეგს ხელმოცარვას ვერ დავარქმევთ...

ხელმოცარული ქართველთა მთავარი იმედი **ბაადურ ჯობავა** გახდა - შავებით უკრაინელ, 17 წლის **იური კუზუბოვს** ხვდებოდა და დებიუტშივე რალაც ვერ გათვალა. შემდეგ ბევრი ეცადა და თითქოს ცუდი პოზიცია გამოასწორა, მაგრამ რატომღაც მისი ორი მხედარი მეტოქის ერთი ეტლის წინაალმდეგ უძლური გახდა და დამარცხდა.

მომგებიანი ქულა, ჩვენებურთაგან მხოლოდ ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფებმა ჩაიწერეს - აქამდე უქულო **ზურაბ აზმაიფარაშვილმა** და **დავით შენგელიამ** იმარჯვეს; **მიხეილ მჭედლიშვილმა, თორნიკე სანიკიძემ, დავით არუთინიანმა, დავით ლობჟანიძემ** ყაიმი ითამაშეს; წააგო **გიგა ყაჭეიშვილმა**.

ქალებშიც მოგება ძირითადად ტურნირის ქვედა ნაწილში მყოფებმა მოახერხეს: **მაია ლომინეიშვილმა** თეთრებით ელენა ჩერედნიჩენკო დაამარცხა, **სოფიკო გურამიშვილმა** ვერენა ნაგელს აჯობა, **მარიამ დანელიამ** კი სოფი ზეებერს გააჩერებინა საათი და პირველი ქულა მოიპოვა ტურნირზე; მოიგო **ნანა ძაგნიძემაც** - მისი მეტოქე ძლიერი პოლონელი დიდოსტატი იოანა დვორაკოვსკა იყო. ძაგნიძე 2.5 ქულიანთა რიგებს შეუერთდა. სამწუხაროდ, შავებით წააგო **სოფიკო ხუხაშვილმა** - მისი მეტოქე რუსეთის შარშანდელი ჩემპიონი ეკატერინა კორბუტი იყო. ქეთევან არახამიამ, ლელა ჯავახიშვილმა, ნინო ხურციძემ და სოფიო გვეტაძემ ყაიმები ითამაშეს.

სამი ტური ბევრი არ არის და როცა წინ კიდევ 8 ტურია დარჩენილი, ყველაზე თამამი ოცნების უფლება გაქვს. სამქულიანები ჯერაც საკმაოდ არიან. კაცებში ასეთი ხუთია. 2.5-ქულიანი 56-ია, და, სამწუხაროდ, მათ შორის ერთი ქართველიც არ არის. ქალბატონებში შვიდი მოჭადრაკე ლიდერობს. მათ შორის არიან შარშანდელი ევროპის ჩემპიონი, თურქი **ეკატერინა ათალიქი** და მსოფლიოს ექსჩემპიონ, ბულგარელი **ანტუანეტა სტეფანოვა**. ესენი დღეს ერთმანეთს ხვდებიან. 2.5 ქულიანთა რიცხვი აქ ნაკლებია - 15, თუმცა კაცებისგან განსხვავებით ქართველებს საკმაოდ ვხვდებით - ჯავახიშვილს, არახამიას და ძაგნიძეს.

დაბოლოს, ვერ ავცდით ქართულ დერბის: **სალომე მელიას** დღეს **სოფიკო გურამიშვილი** დაუპირისპირდება. ორივეს 1,5 ქულა აქვს და ამ ეტაპზე მათი გზების გადაკვეთა არცთუ კარგი იყო, მაგრამ წილისყრა ბრმააა...

**ზვიად შათირიშვილი**

### მესამე ტური

ქალები: ირინა ვასილევიჩი-**ქეთევან არახამია-გრანტი** 0.5:0.5, მარტა მიხნა-**ლელა ჯავახიშვილი** 0.5:0.5, სვეტლანა ვასილკოვა-**ნინო ხურციძე** 0.5:0.5, კატარინა ლაჰნო-**სალომე მელია (1.5) 1:0, ნანა ძაგნიძე**-იოანა დვორაკოვსკა 1:0, ეკატერინა კორბუტი-**სოფიკო ხუხაშვილი 1:0, სოფიო გვეტაძე** -მარია მუზიჩუკი 0.5:0.5, **მაია ლომინეიშვილი**-ელენა ჩერედნიჩენკო 1:0, **სოფიკო გურამიშვილი**-ვერენა ნაგელი 1:0, **მარიამ დანელია**-სოფი ზეებერი 1:0

ვაჟები: იური კუზუბოვი-**ბაადურ ჯობავა 1:0, დავით არუთინიანი** -ვლადისლავ ტკაჩევი 0.5:0.5, **მიხეილ მჭედლიშვილი**-თომას პეტრიკი 0.5:0.5, **თორნიკე სანიკიძე**- კარენ ასრიანი 0.5:0.5, ალინ არდელეანუ-**გიგა ყაჭეიშვილი 1:0**, პაველ პოტაპოვი-**კონსტანტინე შანავა** 0.5:0.5, აირიდას სვიცკასი-**დავით შენგელია** 0:1, **დავით ლობჟანიძე**-ბიორნ ბენტე 0.5:0.5, ბერნდ სალევსკი- **ზურაბ აზმაიფარაშვილი** 0:1

### მეოთხე ტური:

ქალები: **ქეთევან არახამია-გრანტი (2.5)-** მარტა მიხნა (2.5), სილვია კოლასი (2.5)-**ნანა ძაგნიძე (2.5), ლელა ჯავახიშვილი** (2.5)-ვერა იურგენსი (2.5), **ნინო ხურციძე** (2)-ილაჰა კადიმოვა (2), ანა რუდოლფი (2)-**სოფიო გვეტაძე** (2), მარინა მაკროპულო (1.5)-**მაია ლომინეიშვილი** (1.5), **სალომე მელია (1.5)-სოფიკო გურამიშვილი (1.5), სოფიკო ხუხაშვილი (1.5)**-დეიმანტე დაულიტე (1.5), ალექსანდრა შტირი(1)-**მარიამ დანელია (1)**

ვაჟები: **დავით შენგელია (2)**-ვიქტორ ბოლოგანი, სებასტიან მაზე (2)-**მიხეილ მჭედლიშვილი (2)**, ალექსანდერ გაშტოფერი (2)-**დავით არუთინიანი (2), ბაადურ ჯობავა (1.5)**-კონსტანტინოს კლოკასი (2), თომას ლუთერი (1.5)-**თორნიკე სანიკიძე (1.5)**, გიუნტერ შპისი (1.5)-**კონსტანტინე შანავა** (1.5), **გიგა ყაჭეიშვილი (1)**-ლეანდერ ფინკი (1), **ზურაბ აზმაიფარაშვილი** (1)-სტეფან ბუშელი (1), გერალდ ლიოვი (1)-**დავით ლობჟანიძე (1)**

საქართველოს ჩემპიონატი. U-16

# ქეთიმ გაინაღდა

ერთი ტურით ადრე გოგონებში საქართველოს ჩემპიონი ცნობილი გახდა - **ქეთი ნანალაშვილს** პირველ ადგილს ვერავინ შეეცილება. მართალია, მერვე ტურში ნანალაშვილმა ველარ გაიმარჯვა, მაგრამ ნახევარი ქულაც ეყო, ამ საქმეში კი უახლოესი მდევრის - **თინათინ ბერიძის** მარცხმაც შეუწყო ხელი. ბერიძე თეთრებით დამარცხდა **სალომე ხაჟომიასთან**. ბოლო ტურის წინ ხაჟომიას 6.5 ქულა აქვს (ნანალაშვილს 7.5) და თეორიულად ლიდერთან გათანაბრება შეუძლია, მაგრამ თანაბარი ქულების შემთხვევაში პროგრესიის კოეფიციენტი მიიღება მხედველობაში, რომელიც, ქეთის ბევრად უკეთესი აქვს - ზედიზედ შვიდ პარტიაში გამარჯვებაა ამის წინაპირობა.

მესამე ადგილზე ბერიძეა 6 ქულით, 5.5 კი **მერი არაბიძემ, ნათია ჯალაბაძემ** და **ელისაბედ ზარქუამ** დააგროვეს.

ჭაბუკებში კვლავ დაძაბული სიტუაციაა. ლიდერებიდან მხოლოდ **ლუკა პაიჭაძემ** წაიფორხილა - **ირაკლი ჯანიაშვილთან** თეთრებით ყაიმს გამორჩა. თანაც, შეიძლება ითქვას, წაგებული ჰქონდა, მაგრამ როგორც წინა ტურში, ამჯერადაც კბილებით დაიცვა პოზიცია და მეტოქეს შეცდომაც დააშვებინა. პაიჭაძეს 6 ქულა აქვს და მეორე ადგილზე გასვლის მცირე შანსი, პირველს კი ველარაფრით შეწვდება - **დავით ბენიძემ** თეთრებით **ზურაბ ჯავახაძეს** მოუგო, 7 ქულა აქვს და კოეფიციენტითაც უსწრებს პაიჭაძეს. მიუხედავად შესანიშნავი თამაშისა და დიდოსტატური მარაგისა (8-დან 7) ბენიძეს ბოლო ტურში ყაიმი ჩემპიონობის გარანტიას არ აძლევს - **დავით ლომსაძეს** 6.5 ქულა აქვს და ბენიძეზე უკეთესი კოეფიციენტი. ორივე შავებით თამაშობს და მეტოქეებად ამბიციური მოჭადრაკეები ჰყავთ - ბენიძეს **ნოდარ დავარაშვილთან** უწევს თამაში, ლომსაძეს - ირაკლი ჯანიაშვილთან.

მეორე ადგილზე გასვლის თეორიული შანსი ოთხ ექვსქულიანს შერჩა - დავარაშვილს, ჯანიაშვილს, პაიჭაძეს და **დიმიტრი კვარაცხელიას**. სხვები საპრიზო ადგილებს ველარ შესწვდებიან.

**ზვიად შათირიშვილი**

ბოლო ტურში. გოგონები: **ელისაბედ ზარქუა (5) - ქეთი ნანალაშვილი (7,5); სალომე ხაჟომია (6,5) - მერი არაბიძე (5,5); ნათია ჯალაბაძე (5,5) - თინათინ ბერიძე (6); ანა გალდავაძე (5) - ფატი რიჟამაძე (5,5).**

ჭაბუკები: **ნოდარ დავარაშვილი (6) - დავით ბენიძე (7); ირაკლი ჯანიაშვილი (6) - დავით ლომსაძე (6,5); დიმიტრი კვარაცხელია (6) - ლუკა პაიჭაძე (6); ზურაბ ჯავახაძე (5,5) - ბექა ნემსაძე (5,5).**

## პროფესიული კრივი

საერეიტინგო ორთაბრძოლები

# პირსახოცი მეცხრე რაუნდში

საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაციამ გუშინ მორიგი სარეიტინგო ორთაბრძოლები გამართა. გუშინვე გათამაშდა მორიგი, რიგით მეოთხე ქამარი - ამჯერად, 54 კილოგრამში.

54 კილოგრამში, **ხვიჩა პაპიაშვილმა** პირველსავე რაუნდში დაასისხლიანა **გიორგი ყველაშვილი** და არბიტრებმა ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება მიანიჭეს.

62 კილოგრამში, **ნოდარ ცხოვრებაძემ, ნიკა ავეტისიანთან** ბრძოლის მთელი 6 რაუნდი საკმაოდ ჭკვიანურად გალია. მართალია, აქ ნოკაუტამდე საქმე არ მისულა, მაგრამ თავიდან ბოლომდე იგრძნობიდა ცხოვრებაძის უფრო მაღალი კლასი და გამძლეობა. საბოლოოდ, გამარჯვებაც სწორედ მას დარჩა.

დაძაბულად წარიმართა **დავით ფალევანიანისა** და **გიორგი გოგებაშვილის** (66 კგ) შეხვედრა. ოთხი რაუნდის შემდეგ, ალმოჩნდა, რომ ორივე მოკრივეს თანაბარი ქულა ჰქონდა. შესაბამისად, დაფიქსირდა ფრე.

არანაკლებ დაძაბული და ემოციური იყო **მიხეილ ხუციშვილ - გიორგი ზალკალიანის** (72 კგ) ექვსრაუნდიანი დაპირისპირება. მთელი შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. თუმცა, ქულების დათვლაზე რომ მიდგა საქმე, ალმოჩნდა, რომ ხუციშვილს ერთით მეტი ზუსტი დარტყმა ჰქონდა.

რაც შეეხება დღის კულმინაციას, ანუ საქართველოს ქამარზე ჩხუბს, აქ რინგზე ვიხილეთ **ნიკოლოზ ბერკაცაშვილი** და **კახა ტოკლიკიშვილი**. საბედნიეროდ, წინა ხუთშაბათს მომხდარის მსგავსი ინციდენტი ალარ მომხდარა და მოკრივეებმა ბოლომდე ვაჟკაცურად იჩხუბეს. ტოკლიკიშვილი მთელი რვა რაუნდი არ ეპუებოდა მეტოქეს, რომელიც უპირატესობას ფლობდა. თუმცა მეცხრე რაუნდში, ბერკაცასვილმა ნოკდაუნში გაუშვა მეტოქე და ტოკლიკიშვილის სეკუნდანტმაც დანებების მანიშნებელი პირსახოცი ისროლა.

რიგით მეხუთე ქამარი სარეიტინგო ორთაბრძოლებთან ერთად, შემდეგ ხუთშაბათს გაიმართება.

**კობა ხატისაშვილი**



# პარადოქსი...

## წყალხტომის აუზს ქვიშით ამოავსებენ

"პარადოქსი" - ბერძნული სიტყვაა და განმარტებული ასეა უცხო სიტყვათა ლექსიკონში: "არაჩვეულებრივი, მოულოდნელი, უცნაური... განსხვავდება საყოველთაოდ ალიარებულისგან, ეწინააღმდეგება საღ აზრს". ახლა, რასაც ქვემოთ შეიტყობთ, ერთდროულად არაჩვეულებრივიცაა, მოულოდნელიც, უცნაურიც და სალი აზრისგან განსხვავებული-საწინააღმდეგოც. თავად განსაჯეთ:

თბილისში, "ლაგუნა-ვერეს" წყალხტომის აუზს... ფუნქციის შეცვლას უპირებენ. მიზეზი? აუზში, სპორტის ხსენებულ სახეობაში ალარავინ ვარჯიშობს, სილრმის გამო კი ცურვისთვის გამოუსადეგარია. ასეც არ იყოს, წყალი და გაზი ისე გაძვირდა, ამსილრმე აუზის გავსება და გათბობა ზედმეტი ხარჯია, რაც დაგვეთანხმებით, სასურველი სულაც არ არის კერძო სტრუქტურისთვის. თხოვნით ყველა ინსტანციას მიმართა კომპლექსის ადმინისტრაციამ, რამენაირი შელავათი გაეწიათ ხარჯებში, რათა შენარჩუნებულიყო სახტომი აუზი თავისი დანიშნულებით, მაგრამ "არსაიდან ხმა"... რაკი სხვა გამოსავალი ალარ დარჩა, საწყლოსნო კომპლექსის მეპატრონეებმა მორალურად მძიმედ განსაცდელი გადაწყვეტილება მიიღეს - ქვიშას ჩაყრიან აუზში და სილრმეს 2 მეტრამდე დაიყვანენ. ამას მოითხოვს ცურვის მოყვარულთა უსაფრთხოება.

აი, ასე. მეტი პარადოქსი რა გინდათ, თანაც საგინესო! სად, რომელ თავმოყვარე ქვეყანაში, მით უფრო თუ ამ ქვეყანას სპორტული იმიჯის დაცვა-შენარჩუნების პრეტენზია აქვს, ასე ხელალებით მოაშთობენ სპორტის ამ ულამაზესი და ოლიმპიური სახეობის ალიარებულ კერას?

მაგრამ ჩვენ ხომ პარადოქსების მაძიებლები ვართ!

## თარიღი



**ვაჟა გვანცელაძე.** დაიბადა 06.04.1932, თბილისი. კალათბურთი. თამაშობდა თბილისის "დინამოში" (1951-59). სსრ კავშირის ჩემპიონი (1953, 1954) და მეორე პრიზიორი (1952). სოცქვეყნების დინამოადის ჩემპიონი. სხვადასხვა ტურნირებში გამარჯვებული. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. ღირსების ორდენის კავალერი.



**მაია აზარაშვილი.** დაიბადა 06.04.1964, თბილისი. მძლეოსნობა, სპრინტი. 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (ესტაფეტა, 4X100 მ) და ფინალური გარბენის მონაწილე (200 მ, VI ადგილი), 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (ფინალურ გარბენში ვერ მოხვდა). სსრკ ჩემპიონი და კეთილი ნების თამაშების მეორე პრიზიორი 200 მ რბენაში (1986), სსრკ თასის მფლობელი (1988). საუკეთესო პირადი შედეგი: 100 მ - 11,08 წმ, 200 მ - 22,24 წმ (ორივე შედეგი ნაჩვენებია 1988 წელს კიევში და დღემდე საქართველოს რეკორდია). საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი (1996-იდან).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველები NBA-ში

# ზედიზედ მეშვიდე ნაგება



ფაჩულია ნიუ ჯერსისთან მატჩში

**ზ**აზა ფაჩულიას "ჰოქსი" დაახლოებით იმ დონის კალათბურთს თამაშობს, როგორც შარშანდელი რეგულარულის დასაწყისში, როდესაც ზელიგის წარმომადგენელს ალბათ, რომელიმე უნივერსიტეტის გუნდიც მოუგებდა. ჯორჯიაში, სადაც კალათბურთის ფანებმა რამდენიმე დღის წინ, გული საკოლეჯო (NCAA) სუპერფინალით იჯერეს, უკვე ღიად ითხოვენ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან **მაიკ ვუდსონის** გადაყენებას. ტრავმიანობის ეპიდემიის მიუხედავად, ვუდსონი არ არის ის კაცი, ვინც ნიჭიერი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ გუნდს საფლეიოფო პროგრესის გზაზე დააყენებს. მორიგ მატჩში "ატლანტა" გასვლაზე "ნიუ ჯერსისთან" შერცხვა. ეს გუნდის მიჯრით მეშვიდე მარცხი გახლდათ.

ფაჩულიამ პირადი სტატისტიკა წინა მატჩთან შედარებით კი გააუმჯობესა, მაგრამ ზაზას თამაშში მაინც ბევრია წუნი, რაც შეცდომებსა და დაცვაში ნაჩქარევ გადაწყვეტილებებში აისახება. რამდენადაც არ უნდა გვიმძიმდეს ამის აღიარება, საქართველოს ნაკრების ლიდერს დაცვაში კლასიანად თამაში ჯერაც უჭირს.

ფაჩულიამ თამაშიდან სროლების 50 პროცენტი (14-7) კი გამოიყენა, მაგრამ ოპონენტის რიგებში მძიმე ფორვარდებად და ცენტრებად არავინაა ისეთი, ვის წინააღმდეგაც ჩვენმა თანამემამულემ უფრო სოლიდური მონაგრის მოპოვება ვერ უნდა მოახერხოს.

**ჯეისონ კოლინზი** შეტევაში თითქმის ნულია, **მიკი მური** თავისი ქულების მოპოვებას მხოლოდ და მხოლოდ **ჯეისონ კიდისა** და **ვინს კარტერის** უნივერსალიზმისა და გამოცდილების ხარჯზე ახერხებს, ხოლო ბებერი **კლიფორდ რობინსონის** ერთადერთი მოტივაცია კი კარიერაში 20 000 ქულის დაგროვებაა. მას ამ გროსმეისტერულ მაჩვენებლამდე სადღაც 400 ქულა აკლია.

"ჰოქსს" მომენტებში არა უშავდა, მაგრამ როგორც ეს ამ სეზონში არაერთხელ მომხდარა, გუნდმა ჩააგდო პირველი ნახევრის ბოლო მონაკვეთი, როდესაც მეტოქეს 20:2 გაქცევა გააკეთებინა და შეხვედრაც, პრაქტიკულად, ამით ჩამთავრდა.

ფაჩულიას აქტიურობით სტუმრები მეორე მეოთხედში ერთი პირობა 5 ქულითაც კი დაწინაურდნენ, მაგრამ კარტერმა, **მარკუს უილიამსმა** და კიდმა 4 წუთში აოტეს ჯორჯიელთა დაცვა და დიდი შესვენების მერე დარჩენილი დრო ფორმალობად იქცა.

"ნიუ ჯერსის" რიგებში კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა **ბოსჩან ნახბარმა** ჩაატარა, რომელმაც 7 ზუსტი სამქულიანით (10 მცდელობიდან) პირადი რეკორდი დაამყარა. სლოვენიმელი 31 წუთში 26 ქულით გამოირჩა და ამ სოლიდურ დროში სულ რაღაც 1 შეცდომა დაუშვა.

"ნეთსმა" ბოლო 5 მატჩში მეოთხე გამარჯვება მოიპოვა, "ჰოქსს" კი იმის იმედიღა თუ აქვს, რომ რაც შეიძლება ცუდად დაასრულოს რეგულარული, რათა დამდეგ დრაფტზე ვეებერთელა ფორვარდ-ცენტრი **გრეგ ოდენი** ან კიდევ ერთი სუპერახალგაზრდა **კევინ დიურანი** დაიმატოს.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ნიუ ჯერსი-ატლანტა 101:86**

27:22, 25:17, 26:21, 23:26

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (36 წთ. 24 ქ. 8 პ. 4 მ. 1 დ), მ. მური (31 წთ. 14 ქ. 9 მ. 2 დ. 1 პ), კიდი (27 წთ. 9 ქ. 10 პ. 6 მ. 2 ჩ), რ. ჯეფერსონი (31 წთ. 9 ქ. 1 მ. 1 პ), ჯეისონ კოლინზი (12 წთ. უქულოდ, 3 მ. 1 დ) - ნახბარი (31 წთ. 26 ქ. 2 მ. 2 პ. 1 დ), ბუნი (24 წთ. 13 ქ. 8 მ. 1 ჩ), მარკუს უილიამსი (24 წთ. 4 ქ. 7 მ. 6 პ. 1 ჩ), აქ. ლაიტი (14 წთ. 2 ქ. 1 მ), კ. რობინსონი (18 წთ. უქულოდ, 2 მ. 1 დ), ჰ. ადამსი.

**ატლანტა: ზაზა ფაჩულია (31 წუთი, 18 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა, 1 დაფარება, 5 შეცდომა, 4 ფოლი),** ჯოშ სმიტი (39 წთ. 15 ქ. 8 მ. 3 დ. 2 პ. 1 ჩ), მერვინ უილიამსი (40 წთ. 7 ქ. 6 მ. 1 პ. 1 დ), ს. ჯოუნსი (15 წთ. 3 ქ. 4 მ. 1 დ), ე. ჯონსონი (13 წთ. 2 ქ. 2 მ. 2 პ. 1 ჩ) - ს. სტაუდმაიერი (28 წთ. 19 ქ. 2 მ. 2 პ. 1 ჩ), შელდენ უილიამსი (31 წთ. 9 ქ. 14 მ. 2 პ. 2 ჩ), ლიუ (33 წთ. 7 ქ. 5 პ. 3 მ. 2 ჩ), ლ. რაიტი (5 წთ. 4 ქ. 2 მ), აივი (1 წთ. 2 ქ).

| | |
|---|---|
| **I მეოთხედი** | |
| 11:22 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 10:22 | პასი: 1 (ს. ჯოუნსი, 2 ქ. 4:5) |
| 09:54 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 07:57 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (9:11) |
| 04:39 | პასი: 2 (ჯოშ სმიტი, 2 ქ. 14:19) |
| 03:02 | ფოლი: 1 (მურზე დაჯარიმდა) |
| 02:51 | ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა |
| **II მეოთხედი** | |
| 09:06 | ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა |
| 08:57 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (26:32) |
| 08:57 | ფაჩულიაზე კ. რობინსონი დაჯარიმდა |
| 08:57 | საჯარიმო: 5 ქ (27:32) |
| 08:37 | დაფარება: 1 (მ. უილიამსს დაუფარა) |
| 08:35 | მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1) |
| 07:00 | ჩაჭრა: 1 (კიდს ჩაუჭრა) |
| 06:43 | ორქულიანი ტყორცნა: 7 ქ (31:32) |
| 05:31 | პასი: 3 (ს. სტაუდმაიერი, 2 ქ. 35:32) |
| 04:52 | ფაჩულიაზე მური დაჯარიმდა |
| 04:52 | საჯარიმოები: 2/2 (9 ქ. 37:32) |
| 03:26 | შეცდომა: 1 (არაზუსტი პასი) |
| 01:30 | ორქულიანი ტყორცნა: 11 ქ (39:46) |
| 00:51 | ფოლი: 2 (თავდასხმაში) |
| 00:51 | შეცდომა: 2 (ფოლი თავდასხმაში) |
| **III მეოთხედი** | |
| 11:12 | ორქულიანი ტყორცნა: 13 ქ (41:52) |
| 11:12 | ფაჩულიაზე ჯ. კოლინზი დაჯარიმდა |
| 11:12 | საჯარიმო: არაზუსტი |
| 09:40 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 08:47 | ორქულიანი ტყორცნა: 15 ქ (46:57) |
| 07:47 | მოხსნა: 2 (შეტ: 0, დაც: 2) |
| 07:01 | შეცდომა: 3 (კიდმა ჩაუჭრა) |
| 06:23 | ორქულიანი: მურმა დაუფარა |
| 06:02 | ფოლი: 3 (თავდასხმაში) |
| 06:02 | შეცდომა: 4 (ფოლი თავდასხმაში) |
| 04:00 | ჩაჭრა: 2 (ნახბარს ჩაუჭრა) |
| 02:56 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 00:50 | შეცდომა: 5 (ბუნმა ჩაუჭრა) |
| 00:48 | ჩაჭრა: 3 (ვ. კარტერს ჩაუჭრა) |
| 00:46 | პასი: 4 (მ. უილიამსი, 2 ქ. 58:74) |
| **IV მეოთხედი** | |
| 12:00 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |
| 08:34 | ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა |
| 07:59 | ორქულიანი ტყორცნა: 17 ქ (68:89) |
| 07:40 | ფოლი: 4 (ბუნზე დაჯარიმდა) |
| 07:23 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 07:22 | მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2) |
| 07:21 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 07:20 | მოხსნა: 4 (შეტ: 2, დაც: 2) |
| 07:19 | ფაჩულიაზე ჯეფერსონი დაჯარიმდა |
| 07:19 | საჯარიმოები: 2/1 (18 ქ. 69:90) |
| 07:18 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |

მომდევნო მატჩი: ატლანტა-მილუოკი (6 აპრილი).



ელექტრა-ოლიმპია

ინტერვიუ მანუჩარ მარკოიშვილთან

# ჩატენვისას ამომხტარი

სლოვენიის ჩემპიონატში "ოლიმპია" მეორე ეტაპიდან ჩაერთო და დღემდე სამი მატჩი ჩაატარა. როგორ დაამარცხა "ლოკა" და "სლოვანი" უკვე გითხარით. დღეს კი "ელექტრასთან" სტუმრად გამართულ შეხვედრაზე შევჩერდებით, რომელიც მანუჩარ მარკოიშვილის თანაგუნდელებმა დამაჯერებლად მოიგეს - 81:64. მატჩის ბედი მესამე პერიოდში გადაწყდა და მწვრთნელმა გასპერ ოკორნმა მეოთხე ათწუთეულში მანუ დაასვენა. მანამდე ქართველ ფორვარდს მოედანზე 24 წუთი ჰქონდა გატარებული, 8 ქულა (4-დან 3 ორქულიანი, 5-დან 3 საჯარიმო) და 3-3 მოხსნა-პასი შესრულებული...

მარკოიშვილი ქულათა გრაფაში ორნიშნა რიცხვის ჩაწერასთანაც ახლოს იყო, მაგრამ...

**-მანუჩარ, "ელექტრასთან" მატჩის ერთ-ერთ ფოტოზე შენი ჩატენვის ეპიზოდია დაფიქსირებული, მაგრამ ბურთი არსად ჩანს...**

- ვნახე ეგ ფოტო. იმ ეპიზოდში თანაგუნდელის მიერ ნატყორცნი ჰაერში მოვხსენი, ჩატენვა ვცადე, მაგრამ ბურთი კალათიდან ამომიხტა. არადა რომ ჩამეტენა, შეხვედრას 10 ქულით დავასრულებდი.

**- გაცილებით უკეთ გამოგივიდა "სლოვანთან" მატჩში, 20 ქულა ჩააგდე.**

- იმ შეხვედრისთვის კარგად მოვემზადეთ, რადგან ვიცოდით, რომ "სლოვანი" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩვენი უშუალო მეტოქეა. მოედანზე მობილიზებულები გავედით და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ. ჩვენს მეტოქეს ამჟამად რამდენიმე ტრავმირებული ჰყავს და ამიტომაც ჩანს შარშანდელზე სუსტად. არავინ იცის დასკვნით ეტაპზე "სლოვანი" რა გუნდი იქნება.

**- რა გუნდი იქნება "ოლიმპია"?**

- ქვეყნის ჩემპიონობას გვთხოვენ და ამისთვის ჩვენც მაქსიმალურად ვემზადებით.

**- "სლოვანის" გარდა, ღირსეულ კონკურენციას ვისგან ელით?**

- რეგულარულ ჩემპიონატში არ გვითამაშია "ჰელიოსთან" და "ზლატოროგთან". სუსტი მოწინააღმდეგენი არც ისინი არიან.

**- ადრიატიკისა და ევროლიგაზე "ოლიმპიას" გამოსვლა როგორ შეფასდა?**

- ამ ტურნირების დაწყებამდე ჩვენი მიზანი პირველი ეტაპის ბარიერის გადალახვა იყო, მაგრამ ეს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შევძელით. თუმცა, ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა - ფინანსურად გაგვიჭირდა, კლუბი რამდენიმე კალათბურთელმა დატოვა...

**- მსგავსი ცვლილებები შენს თამაშზეც ხომ არ მოქმედებდა?**

- ხელფასებს დროულად გვპირდებოდნენ, მაგრამ ვერ ვიღებდით. რაც უნდა ეცადო, ეს ნებისმიერ კალათბურთელზე უარყოფითად მოქმედებს. ისევე, როგორც შუა სეზონში შემადგენლობის რამდენჯერმე შეცვლა. თუმცა, ვცდილობ, რომ მთავარი ყურადღება სათამაშო მხარეს დავუთმო.

**- ევროლიგა-ადრიატიკაზე საკუთარი თამაშით რამდენად კმაყოფილი ხარ?**

- ფეხის სერიოზული ტრავმის შემდეგ ძველ კონდიციებს ნელ-ნელა ვილდგენ. აქედან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რომ ცუდი სეზონი მქონდა, მაგრამ არც გადასარევი იყო. მთავარი კი ისაა, რომ ვგრძნობ - მომატება კიდევ შემიძლია.

**- ჩემი აზრით, რამდენიმე მატჩი "გადასარევად" ჩაატარე...**

- გეთანხმები. მაგრამ ასეთი თითოოროლა იყო. მაგალითად "ცრვენა ზვეზდასთან" 27 ქულა ჩავაგდე. მაგრამ ალბათ, იმაშიც დამეთანხმები, რომ ისეთი შეხვედრებიც იყო, "განსაკუთრებით" ცუდად რომ ვითამაშე. ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ სტაბილურად გამოვიყურებოდე.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. ბელგრადი. 6-8 აპრილი

## შოთა ხაბარელი წარმოგიდგენთ

# ხერგიანიდან გუჯეჯიანამდე



დღეს ბელგრადის სპორტდარბაზ "არენაში" ევროპის ჩემპიონატი იწყება. ამით სათავეს იღებს ერთწლიანი ოლიმპიური სალიცენზიო მარათონი, რომელიც გაისად, ასევე ევროპის პირველობაზე დამთავრდება - 11-13 აპრილს ლისაბონში. შუალედში კი სალიცენზიო ტურნირთა მთელი ჯაჭვია - 6 მსოფლიო თასი წლეულს და 5 - გაისად, რასაც სექტემბერში ბრაზილიაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატიც ემატება. პლანეტის პირველობაზე ყოველი წონის 6-6 საუკეთესო ფალავანი პეკინის ოლიმპიადის საგზურს მიიღებს, მსოფლიო თასები კი მხოლოდ ჩასათვლელ ქულებს იძლევიან. ამ მონაცემებით შედგება წონების რეიტინგები და 8 საუკეთესო ასევე ოლიმპიადაზე იჭიდავებს, თუმცა საგზური შესაძლოა, ამ ოქტეტის გარეთ დარჩენილებმაც მოიპოვონ.

ადრე სალიცენზიო სტატუსი მხოლოდ ოლიმპიადის სეზონში გამართულ ევროპირველობას გააჩნდა - ჩემპიონს ლიცენზიაც ერგებოდა, მაგრამ ეს წესი შეიცვალა და გაისად კონტინენტის გამარჯვებული მხოლოდ ქულებს მიიღებს. ერთი კია - ევროპის პირველობა ერთბაშად 100 ქულას იძლევა, სუპერთასებზე მეტსაც კი, სადაც მაქსიმალური შეფასება 90 ქულაა.

მეორე წელიწადია, ევროჩემპიონატზე ქართველ ვაჟებთან ერთად ქალებიც გამოდიან. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ვაჟთა ნაკრებში **ნესტორ ხერგიანი** (60), **ზაზა კედელაშვილი** (66), **დავით ქევხიშვილი** (73), **გიორგი ბაინდურაშვილი** (81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე) იჭიდავებენ, ქალებში - **ნათია ვეშაგური** (48), **მაია ტარუაშვილი** (52), **დუსკა ქერიმოვა** (57), **ანა ძაძამია** (63) და **ირინა ლეონიძე** (+78).

ბუნებრივია, ჩვენმა გუნდებმა მზადების განსხვავებული გზა გაიარეს - ქალები ტრადიციულად ბოლნისში ემზადებოდნენ, ვაჟებმა კი ასევე ტრადიციულად ბორჯომი აირჩიეს. ქალთა ნაკრებიდან ტარუაშვილმა და ქერიმოვამ წინა კვირაში სიენაშიც იჭიდავეს ახალგაზრდების დიდ საერთაშორისო ტურნირში და ქერიმოვა ჩემპიონიც გახდა, ხოლო ვაჟებმა საკონტროლო შეხვედრები ჩაატარეს.

**სწორედ ბორჯომში გავესაუბრეთ ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელს, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის წინ საკუთარი შეგირდები სათითაოდ დაახასიათა. სიტყვას ხაბარელს ვუთმობთ.**

### ნესტორ ხერგიანი



- ჩვენი გუნდის ყველაზე გამოცდილი და ტიტულოვანი წევრია, კოლექციაშიც ყველა რანგის ტურნირის მედალი მოიპოვება - ევროპის ორგზის ჩემპიონია, ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი. ნესტორის დადებითი მხარეებია შრომისმოყვარეობა და შეუპოვრობა, მაქსიმალურად ავლენს საკუთარ შესაძლებლობებს, მუდამ ბოლომდე იხარჯება, მოსაგებ შეხვედრას არასოდეს წააგებს. მართალია, ასაკში შევიდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი არ უნდა გვეიმედებოდეს ან ამ ევროპაზე, ან მსოფლიოსა და ოლიმპიადაზე. ამ აზრს ბევრი არ იზიარებს, მაგრამ მე მჯერა მისი. ხერგიანის წარმატებისა დიდად არც ათენის ოლიმპიადის წინ სჯეროდათ, თუმცა ვერცხლის მედალი მოიპოვა. ნესტორზე დიდადაა დამოკიდებული გუნდის ფსიქოლოგიური განწყობაც - როგორც უმჩატესი წონის წარმომადგენელი, ჩვენგან ის მუდამ პირველი ჭიდაობს და წარმატების შემთხვევაში გუნდშიც ამაღლებული განწყობა შემოაქვს, სტიმულს აძლევს სხვებს, ან - პირიქით.

ხერგიანმა ეს მოსამზადებელი ციკლიც კარგად გაიარა. მართალია, თავიდან მთლად კარგად ვერ დაიწყო, მაგრამ მერე და მერე ბევრად მოუმატა. საერთოდ, მასზე ძალიან კარგად მოქმედებს ერთობლივი ვარჯიშები პარიზის ტურნირის შემდეგ და ასე მოხდა ახლაც - იმის შემდეგ სულ სხვანაირია. ასაკის მიუხედავად, ვარჯიში არც ახლა ეზარება. პირიქით - მისი შეჩერება და დასვენებაც კი გვიწევს. ფიზიკურად ახლაც მშვენივრადაა მომზადებული. ამ წლების განმავლობაში მან საკუთარი ორგანიზმის მართვის უნარიც გამოიმუშავა და თვითკონტროლი არ უჭირს. ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით, ნესტორი ახლაც ერთ-ერთი საუკეთესოა გუნდში.

### ზაზა კედელაშვილი



- მასზეც დაახლოებით იმავეს ვიტყვი, რაც ხერგიანზე საუბრის დასასრულს, ოღონდ ზაზას ცოტა შეჯიბრებები დააკლდა. უფრო სწორად, პოლონეთში ადრევე გავარდა, რამაც სატურნირო პრაქტიკა დააკლო, მაგრამ ეს მისთვის არაა იმდენად დიდი დანაკლისი. სამაგიეროდ, კარგად ივარჯიშა პარიზში, მერე ბრწყინვალედ გაიარა ბაკურიანის შეკრება და ახლაც ასევე თავდაუზოგავად ემზადებოდა. პოლონეთის ტურნირის ჩაგდების გარდა, მოსამზადებელ ციკლში მასთან სხვა პრეტენზია არ მაქვს. ზაზას ძლიერი მხარეა შემტევი სტილი, კარგი ფიზიკური მომზადება და მდიდარი ტექნიკური არსენალი. ერთადერთი, ის მაფიქრებს, რომ ჩავლებას დიდხანს უნდება და ფანდის ჩატარებას აგვიანებს. ფიზიკურად იმდენად კარგადაა მომზადებული, პირველი ჩავლება არასოდეს უჭირს, მაგრამ მერე სწრაფად ვერ მოქმედებს. ახლა ძირითადად ამაზე ვმუშაობთ და ნაკლის გამოსასწორებლად საგანგებოდ ვავარჯიშებთ. იგი ევროპის მოქმედი ჩემპიონია და ახლაც მედალს ველოდები. არ გამოვრიცხავ, უმაღლესი ხარისხისასაც.

### დავით ქევხიშვილი



- მდიდარი ტექნიკური არსენალითა და ჭიდაობის ლამაზი სტილით გამოირჩევა. არაორდინარულად ჭიდაობს და ამიტომ მისი სტილი მომგებიანია. მთლიანობაში, საბრძოლოდ განწყობა არ უჭირს, მაგრამ ამ მხრივ ცოტა არათანაბარი კია - შეიძლება, ძლიერთან მოგებას სუსტთან მარცხი მიაყოლოს, როგორც ეს მსოფლიოს წინა პირველობაზე დაემართა. ეს პრობლემა უნდა მოაგვაროს.

ამ ოლიმპიურ ციკლში დავითს ტურნირებში არ უჭიდავია - მენისკის ოპერაცია გაიკეთა და აქამდე სარეაბილიტაციო პერიოდს გადიოდა. სამაგიეროდ, შეკრებები კარგად გაიარა, თავდაუზოგავად. ცოტა სუნთქვის პრობლემა აწუხებდა, მაჯები ებერებოდა, მაგრამ თანდათან ესეც მოგვარდა. თუმცა ეს მაინც არაა ის ქევხიშვილი, როგორიც ადრე გვახსოვდა. სამწუხაროდ, ამ წონაში საკადრო პრობლემებია და ისევ ქევხიშვილზე შევაჩერეთ არჩევანი.

### გიორგი ბაინდურაშვილი



- გიორგი მიზანმიმართულად, გეგმაზომიერად და მეთოდურად მიიწევდა ლიდერობისკენ. შესაბამისად, თანდათან, გარეშე თვალისთვის შეუმჩნევლად ლამის ყოველდღიურად უმატებდა და უკვე იმ დონეზე მივიდა, რომ დღეს მისგან მედალს ველით. ბრწყინვალედ იჭიდავა თბილისის, პარიზისა და პოლონეთის საერთაშორისო ტურნირებზე. განსაკუთრებით ამ ბოლოს გამოვარჩევ, სადაც დამაჯერებლად დაამარცხა ბრაზილიელი ოლიმპიური პრიზიორი ფლავიო კანტო. ასეთ ძლიერ მეტოქეს საკუთარი ჭიდაობა მოახვია თავზე და შანსიც არ დაუტოვა, ისე მოუგო. იგი ყოველმხრივ ჩამოყალიბებული მოჭიდავეა, თუმცა ცოტა სისწრაფე აკლია. გამოირჩევა ილეთების მრავალფეროვნებითა და კარგი ფიზიკური მომზადებით. ევროპის ჩემპიონატისთვის კარგად მოემზადა, ყველა შეკრება ნაყოფიერად გაიარა. ყოველი ვარჯიშის მერე სპორსტმენების ფიზიკურ მომზადებას ვამოწმებთ და ხდება ხოლმე, როცა ვილაცას დატვირთვებს ვუმცირებთ. ბაინდურაშვილს ეს ერთხელაც არ დასჭირვებია. ფიზიკური მომზადებით გუნდში ერთ-ერთი გამორჩეულია. ერთხელ ვარჯიშზე 150-კილოიანი შტანგა ასწია! ამხელა სიმძიმეს მძიმეწონოსნებიც ვერ სწევენ. თუ ამ ტემპითა და ასე მეთოდურად ვიარეთ წინ, წონაში გამოკვეთილ ლიდერად მოგვევლინება.

### ირაკლი ცირეკიძე



- მესამე და სამართალიო, ეს გამოთქმა ირაკლიმ ახლა უნდა გაამართლოს. იგი მესამედ გამოდის ევროპის პირველობაზე და თამამად შეიძლება ითქვას, წინა ორში, გამოუცდელობით წააგო. მან უკვე საკმარისი გამოცდილება მიიღო, სხვა მხრივაც მოუმატა და დღეს ამ წონაში ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. იგი მედლის ერთ-ერთი კანდიდატია.

ეს წონა ძალიან დატვირთულია - ბერძენი ოიმპიური ჩემპიონი ილიას ილიადისი, ჰოლანდიელი ოლიმპიური ჩემპიონი მარკ ჰუზინგა, ესპანელი ევროპის ჩემპიონი დავიდ ალარსა, რუსი ევროპის ჩემპიონი ივან პერშინი, მაგრამ ცირეკიძე ამ ძლიერებშიც კი გამორჩეულია. პოლონეთის ტურნირის ფინალში პატარა ბავშვივით იოლად მოუგო ბელარუს მსოფლიოს პრიზიორ ანდრეი კაზუსიონაკს. არანაირი შანსი არ დაუტოვა, პირდაპირ გააბითურა, ისე დაამარცხა. საყურადღებოა, რომ ირაკლი ერთი გდებით კი არ იგებს, თითქმის ყოველთვის რამდენიმე ილეთს აკეთებს.

ცირეკიძე სპორტული აღნაგობით ბუნებამაც დააჯილდოვა. თან, გამორჩეულად ლამაზად, ქართულ სტილში ჭიდაობს - თავაწეული, წელგამართული, გადავლებებით... სხვანაირად არ გამიგოთ, მაგრამ ამით ჩემს ჭიდაობასაც მაგონებს. ახასიათებს გამარჯვებისკენ სწრაფვა, შემტევი სტილი, კარგი აზროვნება, მშვენივრად ანაწილებს დროს - შეუძლია ყოველი წამის გათვლა. ჭიდაობისას მუდმივ კონტაქტშია ჩემთან და უკლებლივ ითვალისწინებს ყველა მითითებას, რაც ბევრისთვის პრობლემაა, მაგრამ ზოგჯერ ტატამზე წამიერი გათიშვებიც ახასიათებს. ხშირად სწორედ ამიტომ წაუგია და ამას უნდა მიაქციოს ყურადღება. საერთოდ, ცირეკიძის სუსტ წერტილებს თითქმის არ ვხედავ.

### ლომერ ჟორჟოლიანი



- ბოლო ორ წელიწადში ჟორჟოლიანმა ნაკრების ლიდერობაზე სერიოზული განაცხადები გააკეთა. მან უაღრესად დამაჯერებლად იჭიდავა თბილისშიც, პარიზშიც და პოლონურ სპალაშიც. დიდი დრო არაა გასული, რაც სანაკრებო დონეზე ჭიდაობს, მაგრამ უკვე საკმაოდ სახელოვანი ბიოგრაფიის შექმნა მოასწრო - მას უკვე იცნობენ და ყურადღებას აქცევენ.

რაც ჟორჟოლიანმა პოლონეთში გააკეთა, ჩემთვის მოულოდნელი იყო. გამაოცა, ამ ახალგაზრდამ ისეთ გამოცდილ ფალავნებს ისე დამაჯერებლად მოუგო. თითქოს ყველას აფრთხილებდა, მე მოვდივარ და მერიდეთო, ისე ჭიდაობდა.

დადებითი მხარეებიდან უნდა დავასახელოთ კარგი ფიზიკური მომზადება, შრომისმოყვარეობა და მიზნისკენ სწრაფვა. არ ახასიათებს შიში, იოლად ითვისებს ნასწავლს და ბუნებრივად ძალიან ჯანმრთელი ბიჭია. შრომის მხრივ, ვარჯიშებისადმი მიდგომაში ოდნავაც კი ვერ ვუსაყვედურებ. ცოტა ტექნიკას უნდა მოუმატოს - მეტია სასურველი, თორემ ბევრიც არაფერი უჭირს ამ მხრივ. ცოტა კომბინაციური ჭიდაობაც ანუ ილეთების ერთმანეთზე მიყოლება, უშუალოდ ჭიდაობისას სტილის შეცვლაც უჭირს, თუმცა ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაუღალავად მუშაობს და მჯერა, გამოასწორებს.

### ლაშა გუჯეჯიანი



- გუჯეჯიანი ერთ თვეში რადიკალური გარდაქმნის კლასიკური მაგალითია. სეზონის დასაწყისში ნაკრებში მისი მეორე ნომრობაც ლამის საეჭვო გახდა, მაგრამ დღედალამ მუშაობით დროის ამ მცირე მონაკვეთში წონაც დაიკლო და ორი თავით გაასწრო კონკურენტებს. მძიმეწონოსნის კვალობაზე, მოძრავი ადრეც იყო, ახლა კი კიდევ უფრო სწრაფია. ძალიან შრომისმოყვარეა, კარგად ეწყობა შეხვედრებისთვის, არ ახასიათებს ტიტულოვანი მეტოქის რიდი. ტექნიკურად ნორმალურადაა მომზადებული.

ცირეკიძის არ იყოს, მისი უარყოფითი მხარეებიც ძნელად მაგონდება: ფიზიკურად ცოტა მეტია საჭირო და კიდევ ერთი ბუნებრივი ნაკლი, რომელსაც არაფერი ეშველება - ამ წონისთვის დაბალია. თუმცა ამ ნაკლს სხვა დადებითი თვისებებით აბათილებს და მსოფლიოს ბოლო პირველობაზე ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა. ლაშა ახლაც მედლის მოპოვების კანდიდატია.

**დასასრულ, შეგახსენებთ, რომ დღეს 60, 66, 48, 52 და 57 კილოგრამიანი ფალავნები იჭიდავებენ, ხვალ - 73, 81, 63 და 70, ზეგ კი 90, 100, +100, 78 და +78. ფინალური შეხვედრების პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგთავაზებთ 16 საათიდან.**

**ირაკლი თავაძე**, მისივე ფოტოები

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ვაშინგტონი აუტსაიდერი ხდება

## უიზარდს ბატლერის შემდეგ არენასიც გამოაკლდა

**ბენ უოლასის** დამატებით, "ბულზი" მთლად ჯორდანის ეპოქის უძლეველ გუნდად არ ქცეულა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ოთხიდან 3 მატჩში ილინოისელები ძალიან მაღალი დონის კალათბურთს თამაშობენ და ფლეი ოფშიც დიდი ამბიციებით შედიან. **სკოთ სქაილზის** ბიჭებს აღმოსავლეთში 7-მატჩიანი სერიის ნებისმიერ ოპონენტთან მოგება რომ შეუძლიათ, ეს "ბულზის" მოწინააღმდეგეებმაც მშვენივრად იციან და რაკილა ფლეი ოფამდე თითქმის აღარაფერი დარჩა, "დეტროიტმა", "კლივლენდმა" და "მაიამიმ" სასწრაფოდ უნდა გამოიტანონ სწორი დასკვნები, რათა უყურადღებობა ძვირად არ დაუჯდეთ.

"ჩიკაგო" ბენის ყოფილ საძმოს - "პისტონზს" სტუმრობდა და მატჩის წინ გაკეთებულ მიმოხილვაში, უოლასი არსად არ იყო ნახსენები - თითქოს NBA-ის ოთხგზის საუკეთესო მცველს მატჩი უნდა გამოეტოვებინა. მართლაც, შეხვედრის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, სქაილზმა ბენისგან შეიტყო, რომ ეს უკანასკნელი შეუძლოდ გამხდარა და "დეტროიტთან" მისი თამაშიც გამორიცხული იყო.

მატჩმა გარკვეულწილად დაკარგა ინტრიგა, რადგან "პალასში" შეკრებილ ფანებს, ყველაზე მეტად თავიანთი ყოფილი კერპის ნახვა სურდათ.

ვერ გაამართლა უშუალოდ მატჩმაც, რომელიც ერთმა გუნდმა ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა, ხოლო მისმა მოწინააღმდეგემ კი არაზუსტი, ნაჩქარევი სროლებით თავად მოისპო მოგების შანსი.

თუ პირველ ნახევარში, ასე თუ ისე, თანაბარი თამაში მიდიოდა, დიდი შესვენების მერე "ხარების" ჯოგმა ისე დაუნდობლად გადათელა **კრის უებერი** და კომპანია, რომ ნაღდად ვერ იფიქრებდით, "ბულზი" ცხრილში მასზე ზემოთ მყოფ, კონფერენციის მთავარ ფავორიტს თუ ხვდებოდა.

მესამე მეოთხედის ბოლოს, სტუმრებმა **კირკ ჰაინრიხისა** (6-დან 4 სამიანი გამოიყენა) და შვეიცარიელი ახალბედა - **ტაბო სეფოლოშას** (13-დან 5 ზუსტი სროლა) 4-4 ქულით, ოპონენტს 16:4 აჯობეს და ბოლო 12-წუთეულის წინ, "ბულზის" უპირატესობა უკვე 15 ქულა (84:69) გახლდათ.

ძირითადის დასრულებამდე 9 წუთით ადრე, მატჩი ერთმა ინციდენტმა ოდნავ გააუფერულა. სადავო გდებისას, მასპინძელი **რიჩარდ ჰამილტონი** (17 წუთში 5 ფოლი, 4 შეცდომა და ოდენ 3 ქულა) "ბულზის" ახალგაზრდა ფორვარდ **ტაირუს ტომასს** (13 ქულა მხოლოდ 10 წუთში შეაკოწიწა) ეუხეშა, ხოლო როდესაც ამ უკანასკნელისგან შეურაცხმყოფელი სიტყვები მიიღო, გაგულისდა და ტომასს თავში წამოარტყა. მერე და მერე კი, სუფთა ზანგურძველბიჭური განევ-გამოწევა დაიწყო და მსაჯებმა წესრიგის დამრღვევები ეგრევე გასახდელში მიაბრძანეს, თუმცა დერეფანში შესვლამდე ჰამილტონმა და ტომასმა დარტყმების გაცვლა მაინც მოასწრეს. ლიგა ერთსაც და მეორესაც ულაპარაკოდ დასჯის.

ალსანიშნავია, რომ "ბულზმა" ძალიან კარგად შეასრულა შორეული სროლები და 11 სამქულიანიდან შვიდი გამოიყენა, გუნდის პირველმა მექულე **ბენ გორდონმა** კი, სეზონში ყველაზე სუსტი მატჩი ჩაატარა და "ბულზს" სულ რაღაც 2 ქულით, 3 მოხსნითა და 1 შედეგიანი გადაცემით შეეწია.

■ ■ ■

ძალიან მძიმე დღეში ჩავარდა "ვაშინგტონი", რომელმაც "ბობქეთსთან" მატჩში თავისი ლიდერი - **გილბერტ არენასი** დაკარგა. პირველივე წუთებზე, დედაქალაქელთა საუკეთესო მექულეს "შარლოტის" ფორვარდი **ჯერალდ უოლასი** შეასკდა. არენასმა ამ კონტაქტის შედეგად მარცხენა მუხლი იტკინა.

მიუხედავად იმისა, რომ გილბერტი იმედიანად იყო განწყობილი და ამბობს - ფლეი ოფში მაინც ვითამაშებო, ექიმების აზრით, ამის შანსი თითქმის ნულის ტოლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "უიზარდსი" ნებისმიერ ოპონენტთან სერიაში აუტსაიდერი იქნება. ფლეი ოფის სერიის მოსაგებად მარტო **ანტუან ჯეიმისონი** და **ანტონიო დენიელსი** არ იკმარებს.

შეგახსენებთ, რომ "ვაშინგტონს" უკვე დამტვრეული ჰყავდა კიდევ ერთი ლიდერი - ფორვარდი **კეირონ ბატლერი**, რომელიც უკეთეს შემთხვევაში, ფლეი ოფის მეორე წრისთვის თუ შეუერთდება გუნდს.

რაც შეეხება დენიელსს, 2000 წლის 16 მარტის შემდეგ იგი გახდა პირველი უიზარდსელი, რომელმაც ძირითად დროში 15 და მეტი შედეგიანი გადაცემის ჩამორიგება მოახერხა. მაშინ უნიქიერესმა **როდ სტრიკლენდმა** "ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" ჯახი 16 პასით ჩაამთავრა.

■ ■ ■

გაუმართლა **დონ ნელსონის** "გოლდენ სტეიტს", რომელმაც **იაო მინი** თამაშიდან მთლიანად კი გამოთიშა, მაგრამ შინ ბრწყინვალედ მოთამაშე "როკეტსთან", ალბათ, მაინც ვერ მოიგებდა, მასპინძლებს **ტრეისი მაკგრეიდი** რომ არ დამტვრეოდათ.

ტი-მაკმა პირველი ნახევრის შუაში ზურგი იტკინა და არ არის გამორიცხული, მომდევნო 3 შეხვედრაც გამოტოვოს. "მეომრებმა" 6 ზუსტი სამქულიანით დაასრულეს მატჩი და უკანასკნელ 14 შეხვედრაში მე-11 გამარჯვება მოიპოვეს. "გოლდენ სტეიტი" (36 მოგება, 39 მარცხი) ჯერაც ინარჩუნებს ფლეი ოფში გასვლის შანსს.

**ზურაბ თალაკვაძე**

**ნ. ჯერსი–ატლანტა 101:86**

27:22, 25:17, 26:21, 23:26

**ნიუ ჯერსი:** ნახბარი (26 ქ), ვ. კარტერი (24 ქ. 8 პ. 4 მ), მ. მური (14 ქ. 9 მ. 2 დ), ბუნი (13 ქ. 8 მ), კიდი (9 ქ. 10 პ. 6 მ. 2 ჩ).

**ატლანტა:** ს. სტაუდმაიერი (19 ქ), **ფაჩულია (18 ქ. 4 მ. 4 პ. 3 ჩ)**, ჯოშ სმიტი (15 ქ. 8 მ. 3 დ).

**ჰიუსტონი–გ. სტეიტი 99:110**

24:26, 28:31, 20:27, 27:26

**ჰიუსტონი:** ჰედი (30 ქ. 6 მ), ალსტონი (18 ქ. 3 პ), ბეტიე (17 ქ. 6 მ), მინი (9 ქ. 11 მ).

**გოლდენ სტეიტი:** ჯ. რიჩარდსონი (27 ქ. 9 მ. 3 დ. 2 ჩ), ბ. დევისი (25 ქ. 10 პ. 2 ჩ), ს. ჯექსონი (17 ქ. 6 პ. 3 ჩ), ელ ჰარინგტონი (15 ქ. 6 მ. 3 ჩ), მ. ელისი (14 ქ. 5 მ. 3 ჩ).

**ვაშინგტონი–შარლოტი 100:108**

21:19, 24:25, 34:31, 21:33

**ვაშინგტონი:** ჯეიმისონი (25 ქ. 11 მ), ე. ტომასი (19 ქ. 10 მ. 3 დ), ა. დენიელსი (18 ქ. 17 პ), სტივენსონი (14 ქ. 5 პ. 3 ჩ), ჯ. ჰეიესი (13 ქ).

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (27 ქ. 12 მ. 8 პ. 4 ჩ), ერმანი (20 ქ. 9 მ. 2 ჩ), ფელტონი (19 ქ. 7 პ. 2 ჩ), ოკაფორი (17 ქ. 10 მ), მორისონი (11 ქ. 7 პ).

**ორლანდო–ტორონტო 108:111**

37:24, 20:28, 22:32, 29:27

**ორლანდო:** თურქოღლუ (37 ქ. 5 პ. 4 მ. 3 ჩ), გ. ჰილი (19 ქ. 5 მ. 3 პ. 2 ჩ), დ. ჰოვარდი (18 ქ. 15 მ. 5 პ. 2 დ), ბეტი (13 ქ. 2 ჩ), დულინგი (10 ქ. 2 ჩ).

**ტორონტო:** ბოში (28 ქ. 10 მ. 2 ჩ), ე. პარკერი (20 ქ. 3 ჩ), ჯ. გრემი (19 ქ), ტი. ჯეი. ფორდი (16 ქ. 8 პ).

**დეტროიტი–ჩიკაგო 88:106**

24:26, 29:26, 16:32, 19:22

**დეტროიტი:** ბილაპსი (17 ქ), რ. უოლასი (16 ქ), უებერი (10 ქ. 8 მ), დელფინო (7 ქ. 6 მ).

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (29 ქ. 8 პ), დენგი (22 ქ. 9 მ. 4 პ. 2 ჩ), ტაირუს ტომასი (13 ქ. 8 მ), სეფოლოშა (11 ქ. 10 მ), პი. ჯეი. ბრაუნი (11 ქ. 7 მ. 4 პ. 2 დ).

**ნ. იორკი–ფილადელფია 90:92**

20:26, 19:20, 28:19, 23:27

**ნიუ იორკი:** მარბერი (30 ქ. 7 მ. 6 პ), ბალკმენი (17 ქ. 16 მ. 3 ჩ), კარი (14 ქ. 11 მ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (18 ქ. 5 მ. 3 ჩ), კორვერი (17 ქ), ა. მილერი (14 ქ. 7 პ. 3 ჩ), უ. გრინი (13 ქ. 2 ჩ), ს. ჰანტერი (12 ქ).

**მილუოკი–ბოსტონი 98:89**

25:21, 28:31, 26:20, 19:17

**მილუოკი:** ბოიკინსი (32 ქ. 5 პ), ჩ. ბელი (25 ქ. 3 ჩ), პატერსონი (21 ქ. 12 მ. 3 ჩ), გაძურიჩი (6 ქ. 15 მ. 2 ჩ).

**ბოსტონი:** რონდო (16 ქ. 7 მ), რეი (15 ქ), პინკნი (15 ქ), გომესი (13 ქ. 6 პ. 5 მ), პერკინსი (9 ქ. 10 მ), პოუ (2 ქ. 11 მ).

**ნ. ორლეანი–სიეტლი 101:92 (ო)**

19:21, 29:24, 30:20, 6:19, 17:8

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (18 ქ. 14 მ. 5 პ), ბ. ჯექსონი (18 ქ), რ. ბატლერი (16 ქ. 3 დ), დევინ ბრაუნი (14 ქ), მ. ჯექსონი (13 ქ. 12 მ. 3 პ), პოლი (11 ქ. 11 მ. 9 პ).

**სიეტლი:** რ. ლიუისი (27 ქ. 10 მ), უოტსონი (16 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), უილკინსი (16 ქ), კოლისონი (11 ქ. 6 მ. 2 დ).

**დენვერი–საკრამენტო 120:115**

33:25, 38:25, 24:29, 25:36

**დენვერი:** ენტონი (31 ქ. 8 მ. 4 პ), ნენე (28 ქ. 12 მ), აივერსონი (16 ქ. 10 პ. 5 მ), ჯეი. არ. სმიტი (16 ქ), კემბი (15 ქ. 11 მ. 4 დ. 2 ჩ).

**საკრამენტო:** არტესტი (32 ქ. 4 პ. 2 ჩ), კევინ მარტინი (26 ქ), აბდურ-რაჰიმი (14 ქ. 12 მ. 3 პ), ბიბი (14 ქ. 9 პ. 5 მ), ჯასტინ უილიამსი (8 ქ. 13 მ).

**პორტლენდი–იუტა 94:89**

20:21, 23:24, 27:15, 24:29

**პორტლენდი:** როი (29 ქ. 5 პ. 2 ჩ), ტ. აუთლო (22 ქ. 2 ჩ), ჯეკი (14 ქ. 4 ჩ), ფ. ჯოუნსი (11 ქ), მაგლოირი (7 ქ. 12 მ. 4 დ).

**იუტა:** ბუზერი (21 ქ. 21 მ. 5 პ), დ. უილიამსი (14 ქ. 13 პ), გირიჩეკი (13 ქ. 2 ჩ), ჰარპრინგი (12 ქ. 5 მ), ოქური (11 ქ. 8 მ. 3 პ).

**კლიპერსი–ლეიკერსი 90:82**

28:22, 29:20, 18:27, 15:13

**კლიპერსი:** მაგეტი (22 ქ. 6 მ. 6 პ), მობლი (18 ქ. 7 პ. 5 მ. 2 ჩ. 2 დ), კამანი (17 ქ. 14 მ. 4 დ. 2 ჩ), ჰარტი (14 ქ. 6 მ), ბრენდი (12 ქ. 10 მ. 6 პ. 3 ჩ. 3 დ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (29 ქ. 7 მ. 2 ჩ. 2 დ), ოდომი (21 ქ. 5 მ. 5 პ), უოლტონი (13 ქ. 5 პ. 2 ჩ).



არენასი რეგულარულის ბოლომდე დაეცა





ეროვნული ბიბლიოთეკა

მასკაევი ჯერ პიტერს შეხვდება

ზემძიმე წონა

# კლიჩკოს მოცდა მოუწევს

საბოლოოდ გადაწყდა, რომ WBC-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი ზემძიმე წონაში, რუსი **ოლეგ მასკაევი** თავისი ტიტულის დასაცავად ჯერ სავალდებულო პრეტენდენტს, ნიგერიელ **სემუელ პიტერს** შეხვდება, შემდეგ კი, მათ შორის მოგებულს ტიტულის დასაბრუნებლად WBC-ს საპატიო ჩემპიონის ტიტულის მფლობელი, უკრაინელი **ვიტალი კლიჩკო** დაუპირისპირდება.

კრივის მსოფლიო საბჭომ (WBC) თავად მოკრივეებსა და მათ მენეჯერებს მიანდო იმის გადაწყვეტა, თუ ვინ შეხვდებოდა პირველი მასკაევს. პიტერმა თავისი რიგის დათმობის სანაცვლოდ, კლიჩკოსგან მეტისმეტიად დიდი თანხა - 5 მილიონი დოლარი მოითხოვა. ამასთან, რუსი მოკრივეც უკრაინელის მენეჯერებისგან უზომოდ დიდ ჰონორარს მოითხოვდენ.

ყოველივეს გამო, კლიჩკომ განაცხადა, რომ ორივე მხარესთან მოლაპარაკება ჩაშლის პირას იყო, თუმცა ბოლო მომენტამდე იმედოვნებდა, რომ მასკაევსა და პიტერს დაითანხმებდა. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, არც ერთმა არ დათმო და კლიჩკოსა და მასკაევის ბრძოლაც სამომავლოდ (თუ მასკაევი ტიტულს შეინარჩუნებს) გადაიდო.

გადაწყდა, რომ ჩემპიონმა თავისი ტიტულის დასაცავად სავალდებულო პრეტენდენტთან აგვისტომდე უნდა ჩაატაროს ბრძოლა. ამის შემდეგ, ჩემპიონი ვალდებული იქნება, კლიჩკოს წლის ბოლომდე შეხვდეს. არაა გამორიცხული, რომ ჩემპიონთა შეხვედრამდე უკრაინელმა სხვა მოკრივესთან შეხვედრა (წავარჯიშება) ინებოს.

*"მოლაპარაკებაში სამივე მხარემ მიაღწია საბოლოო შეთანხმებას. კლიჩკო აღარ მოითხოვს ჩემპიონთან დაუყოვნებლივ შეხვედრას. საბჭომ კი ოფიციალურად დანიშნა მასკაევისა და პიტერის შეხვედრა, რომლის გამარჯვებულიც კლიჩკოს შეხვდება"*, - განაცხადა ნიგერიელი მოკრივის პრომოუტერმა **დინო დუვამ**.

მოკლედ, საბჭომ მასკაევისა და პიტერის წარმომდგენლებს სამკვირიანი ვადა მისცა იმისთვის, რომ მათ ბრძოლის ყველა პირობა შეათანხმონ და შეხვედრის დრო და თარიღი დათქვან. წინაალმდეგ შემთხვევაში, საბჭო გამოაცხადებს პრომოუტერთა კონკურსს, რომლის მოგებულსაც ბრძოლის ორგანიზების უფლება მიენიჭება.

*"ჩვენ დაუყოვნებლივ დავუკავშირდებით მასკაევის პრომოუტერ რაპაპორტს. ჩვენ ყველაფერს ვილონებთ, რათა რაც შეიძლება სწრაფად შევათანხმოთ ყველა საკითხი და ბრძოლა დავნიშნოთ. მოლაპარაკება ძალიან გაიწელა და კარგი იქნება, თუ დაკარგულ დროს ავინაზღაურებთ"*, - ამბობს დუვა.

რაც შეეხება მასკაევის ამერიკელ პრომოუტერს, **დენის რაპაპორტი** ამბობს, რომ ჩემპიონს კლიჩკოსთან ბრძოლა ერჩივნა, მაგრამ ახლა ისღა დარჩენია, "ნიგერიელ კოშმარს" დაუპირისპირდეს, ტიტული დაიცვას და უკრაინელს მოგვიანებით შეხვდეს.

■ ■ ■

სხვათა შორის, ჩაშლის პირასაა კიდევ ერთი ბრძოლა, რომელსაც კრივის მოყვარული მოუთმენლად ელის. ოთხ წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **როი ჯონს უმცროსი** 9 ივნისს უნდა შეხვედროდა ამერიკელ ამომავალ ვარსკვლავ **ენტონი ჰენშოს**. ამის თაობაზე ინფორმაცია თავად ჯონსის პრომოუტერმა **ლუ დიბელამ** გაავრცელა, რომელმაც განაცხადა, რომ მოწინააღმდეგე ბანაკთან კონტრაქტის ყველა ასპექტი შეთანხმებულია.

მაგრამ როგორც ირკვევა, თავად ჯონსი უარზეა და ჰენშოსთან საბრძოლველად რინგზე ასვლას არ აპირებს. მას გამოცდილ და ძლიერ მეტოქეებთან ბრძოლა სწყურია. ისეთებთან, როგორებიც არიან **ბერნარდ ჰოპკინსი, ჯო კალძაგე, ჯერმეინ ტეილორი** და **ვინკი რაიტი**. მაგრამ ესენი ჯერ დაკავებულები არიან: ტეილორმა ახლახანს დანიშნა შეხვედრა **კორი სპინქსთან**, ჰოპკინსი რაიტს შეხვდება, კალძაგეს კი **პიტერ მანფრედო-უმცროსთან** ბრძოლა ელის.

ალსანიშნავია, რომ ჯონსს ჰენშოსთან შეხვედრაზე ზეპირი თანხმობა ჰქონდა მიცემული, მაგრამ ახლა, როგორც სჩვევია, გაჭირვეულდა. ყოველივეს მიუხედავად კი, დიბელა იმედოვნებს, რომ საბოლოოდ მაინც დაითანხმებს თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მოკრივეს.

სხვათა შორის, ჰენშოს ბანაკთან შეთანხმებული კონტრაქტით, ჯონსი მხოლოდ ნახევარ მილიონ დოლარს მიიღებს. არადა, მას სამჯერ მეტი აქვს მოთხოვნილი. დიბელა კი ამბობს, რომ ჰენშოსთან ბრძოლის გარეშე, ჯონსთან ბრძოლას არც ერთი გრანდი არ ისურვებს.

ფორმულა 1

## ქვინსლენდში ახალი ავტოდრომი აშენდება

ავსტრალიის ქალაქ ქვინსლენდის მთავრობა ფორმულა 1-ის ტრასის აშენებას აპირებს, რომელიც ღამის რბოლების ჩატარებაზე იქნება გათვლილი. მშენებლობის ორგანიზატორების ეს იდეა ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის - **ბერნი ექლსტოუნის** ჩანაფიქრს უკავშირდება. ამ უკანასკნელს სურს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ერთი ეტაპი ღამის საათებში გაიმართოს. ქვინსლენდის მთავრობას იმედი აქვს, რომ ახალი ავტოდრომის ეს სპეციფიკური სიახლე კონკურენტებზე გამარჯვების წინაპირობა იქნება და ეს ქალაქი ფორმულას ეტაპის მასპინძლობის უფლებას მოიპოვებს.

*"ეს ავტოდრომი თავიდანვე აღიჭურვება ღამის განათების სისტემით. ჩვენ გვსურს იმ იდეის რეალიზება, რომელიც ბერნი ექლსტოუნმა ავსტრალიის წლევანდელი გრან-პრის დროს გაახმოვანა"*, - ამბობს მშენებლობის აღმასრულებელი დირექტორი **რონ ბრაუნი**.

წინასწარი შეფასებით, ახალი ავტოდრომის აშენება 650 მილიონი დოლარი დაჯდება.

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-ვაშინგტონი 2:3**

1:0, 0:3, 1:0

გოლები: 1:0 კოვალჩუკი-40 (მელანბი-24), 1:1 გორდონი-7 (პეტინგერი-16, ემინგერი-16), 1:2 ოვეჩკინი-45 (მუირი-4, პოტიე-25), 1:3 ოვეჩკინი-46 (გორდონი-22), 2:3 სატონი-2 (ვიაჩ. კოზლოვი-51, ტკაჩუკი-29).

**ანაჰაიმი-სან ხოსე 2:3 (ბ)**

2:0, 0:2, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 ე. მაკდონალდი-27 (კუნიტცი-35, პრონგერი-45), 2:0 ს. ნიდერმაიერი-15 (პრონგერი-46, ე. მაკდონალდი-50), 2:1 ჰენანი-4 (გოკი-7, გრირი-17), 2:2 ბერნიე-15 (მაკლარენი-11, გოკი-8).

**ბულიტები გაიტანეს:** გეტცლაფი (ანაჰაიმი), ჩიჩუ (სან ხოსე), ქლოუ (სან ხოსე).

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-ბაფალო | 79 | 51 | 21 | 7 | 109 |
| 2. x-ნიუ ჯერსი* | 80 | 48 | 24 | 8 | 104 |
| 3. x-ატლანტა* | 80 | 41 | 28 | 11 | 93 |
| 4. x-ოტავა | 80 | 47 | 24 | 9 | 103 |
| 5. x-პიტსბურგი | 80 | 45 | 24 | 11 | 101 |
| 6. ტამპა ბეი | 80 | 44 | 32 | 4 | 92 |
| 7. რეინჯერსი | 80 | 41 | 29 | 10 | 92 |
| 8. მონრეალი | 80 | 42 | 32 | 6 | 90 |
| 9. ტორონტო | 80 | 39 | 30 | 11 | 89 |
| 10. აილენდერსი | 79 | 37 | 30 | 12 | 86 |
| 11. კაროლინა | 80 | 39 | 33 | 8 | 86 |
| 12. ფლორიდა | 80 | 34 | 31 | 15 | 83 |
| 13. ბოსტონი | 80 | 35 | 39 | 6 | 76 |
| 14. ვაშინგტონი | 81 | 28 | 39 | 14 | 70 |
| 15. ფილადელფია | 79 | 21 | 46 | 12 | 54 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. x-დეტროიტი* | 80 | 49 | 19 | 12 | 110 |
| 2. x-ანაჰაიმი* | 80 | 47 | 20 | 13 | 107 |
| 3. x-ვანკუვერი* | 79 | 48 | 24 | 7 | 103 |
| 4. x-ნეშვილი | 80 | 49 | 23 | 8 | 106 |
| 5. x-სან ხოსე | 80 | 50 | 26 | 4 | 104 |
| 6. x-დალასი | 79 | 48 | 25 | 6 | 102 |
| 7. x-მინესოტა | 80 | 46 | 26 | 8 | 100 |
| 8. კალგარი | 79 | 43 | 26 | 10 | 96 |
| 9. კოლორადო | 79 | 42 | 30 | 7 | 91 |
| 10. სტ. ლუისი | 80 | 34 | 33 | 13 | 81 |
| 11. კოლამბუსი | 80 | 32 | 41 | 7 | 71 |
| 12. ჩიკაგო | 79 | 30 | 40 | 9 | 69 |
| 13. ედმონტონი | 80 | 31 | 42 | 7 | 69 |
| 14. ლოს ანჯელესი | 80 | 26 | 40 | 14 | 66 |
| 15. ფინიქსი | 79 | 29 | 45 | 5 | 63 |

*შენიშვნა: ოწ - ოვერტაიმში წაგება (დამარცხებულ გუნდს ერთი ქულა ენიჭება); x - გაიძალდა ფლეი ოფის საგზური; z - კონფერენციის ჩემპიონი; * - დივიზიონის ლიდერი*

# ჩოგბურთი

## ტურნირები

**WTA**

**Bausch @ Lomb-ის ჩემპიონატი**

ამელია აილენდი (აშშ). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 600 000 დოლარი

**1/16 ფინალი**

ელენა იანკოვიჩი (სერ, 2)-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:1, 6:2; ვენუს უილიამსი (აშშ)-პატი შნიდერი (შვეიც, 4) 3:6, 6:3, 6:4; ანა ივანოვიჩი (სერ, 6)-შუაი პენგი (ჩინ) 6:4, 6:3; კაროლინა შპრემი (ხორ)-ნა ლი (ჩინ, 7) 6:3, 6:3; ტატიანა გოლოვინი (საფ, 8)-კატალინა კასტანიო (კოლ) 6:0, 6:3; სამანტა სტოსური (ავსტრა, 12)-რომინა ოპრანდი (იტა) 7:6 (6), 6:2; სიბილ ბამერი (ავსტრია, 13)-ვირჟინ რაზანო (საფ) 6:1, 6:1; ალიონა ბონდარენკო (16, უკრ)-იაროსლავა შვედოვა (რუს) 5:7, 6:3, 6:2; მიელინ ტუ (აშშ)-მარტინა მიულერი (17, გერ) 6:3, 6:1; ნატალი დეში (საფ)-ელენი დანილიდუ (საბ) 6:3, 6:4.

**1/8 ფინალში ხვდებიან**

პეტროვა (1)-ჟენგი (15); საფინა (5)-სრებოტნიკი (11); ჰანტუხოვა (3)-ციბულკოვა; ბამერი (13)-შპრემი; გოლოვინი (8)-სტოსური (12); ტუ-უილიამსი; ივანოვიჩი (6)-დეში; იანკოვიჩი (2)-ბონდარენკო.

# სხვადასხვა

**კალათბურთი**

## მემფისი სტუდენტთა მწვრთნელს იწვევს

"მემფის გრიზლისი" ახალ მწვრთნელს ეძებს. რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი მზად არის, მრავალწლიანი კონტრაქტი შესთავაზოს 42 წლის **ბილ დონოვანს**. ეს ის სპეციალისტია, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ, ფლორიდას უნივერსიტეტს ზედიზედ მეორედ მოაგებინა NCAA-ს ჩემპიონატი.

სხვათა შორის, 1991-92 წლების შემდეგ პირველად მოხდა, როცა ერთმა გუნდმა საუნივერსიტეტო ლიგის მოგება ზედიზედ ორჯერ მოახერხა. ბოლოს ანალოგიური წარმატება დიუკის უნივერსიტეტს ჰქონდა.

## უეიდი მაიამის ტურნეში გაჰყვა

როგორც ვიტყობინებოდით, "მაიამი ჰიტის" ლიდერმა **დუეინ უეიდმა** ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლა. ახლა კი, სააგენტო "როიტერი" წერს, რომ გასული წლის ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშე კლუბს ბოსტონსა და კლივლენდში გაჰყვება, სადაც "ჰიტმა" მორიგი ტურის მატჩები უნდა გამართოს. გამორიცხული არ არის, რომ უეიდი რომელიმე ამ შეხვედრაში დაუბრუნდეს მოედანს.

25 წლის კალათბურთელმა წლევანდელ რეგულარულში 46 მატჩი ჩაატარა და თითოში საშუალოდ 28.8 ქულას, 7.9 შედეგიან გადაცემასა და 4.8 მოხსნას აგროვებდა.

## ლოს ანჯელესმა მწვრთნელი გაუშვა

ქალთა NBA-ის კლუბ "ლოს ანჯელესის" ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა **ჯო ბრაიანტი** - "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ვარსკვლავის, **კობი ბრაიანტის** მამა.

ბრაიანტის გათავისუფლების მიზეზი არ სახელდება, სამაგიეროდ ცნობილია, რომ მის ადგილს **მაიკლ კუპერი** დაიკავებს, რომელიც ადრე უკვე მუშაობდა "ლოს ანჯელესში" და ამ კლუბს ორჯერ - 2001 და 2002 წლებში WNBA-ის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა.

**ჰოკეი**

## ხუთი უკვე ცნობილია

კანადის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **სტივ აიზერმანმა** დაასახელა რამდენიმე ჰოკეისტის გვარი, რომელებმაც მოსკოვში გამგზავრებისა და იქ მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის სურვილი გამოთქვეს.

ეს მოთამაშეები არიან: მეკარე **დუეინ როლოსონი** ("ედმონტონ ოილერზი"), მცველი **ერიკ ბრიუერი** ("სენტ ლუის ბლუზი"), ფორვარდები **რიკ ნეში** ("კოლამბუს ბლუ ჯეკეტსი"), **მაიკ კამალერი** ("ლოს ანჯელეს კინგზი") და **შეინ დოუნი** ("ფინიქს კოიოტზი").

დანარჩენი ჰოკეისტების ვინაობა, რომლებმაც სრულად უნდა დააკომპლექტონ კანადის ნაკრების შემადგენლობა, რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

## ბაბჩუკმა უკრაინას უარი უთხრა

მსოფლიო ჩემპიონატზე უკრაინის ნაკრებს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მოთამაშე მცველი **ანტონ ბაბჩუკი** დააკლდება. ეს ჰოკეისტი სტენლის თასის ჯერ კიდევ მოქმედ მფლობელ "კაროლინა ჰარიკეინზის" შემადგენლობაში ირიცხება.

როგორც უკრაინის ნაკრების გენერალური მენეჯერი **ვასილი ფადეევი** ამბობს, თავის დროზე, ბაბჩუკმა წინასწარი თანხმობა განაცხადა მსოფლიო ჩემპიონატში თამაშზე, მაგრამ, ბოლო მომენტში ნაკრების მესვეურები უარით გაისტუმრა.

## პიტსბურგში პრეზიდენტი შეიცვალა

"პიტსბურგ პინგვინზს" ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ეს გახლავთ **დევიდ მურჰაუსი**, რომლის მთავარი მოვალეობა იქნება ახალი სტადიონის მშენებლობის ხელმძღვანელობა და კორპორატიული ურთიერთობების მოგვარება.

გარდა ამისა, მურჰაუსი კონტროლს გაუწევს ბილეთების გაყიდვას, საკლუბო მარკეტინგსა და კომუნიკაციების განყოფილებას.

შეგახსენებთ, რომ წელს "პიტსბურგ პინგვინზს" სხვა ქალაქში გადაბარგების საფრთხე დაემუქრა, მაგრამ ბოლო მომენტში, კლუბის ხელმძღვანელობამ შეძლო პენსილვანიის შტატის მთავრობასთან საერთო ენის გამონახვა და პიტსბურგმა ჰოკეის კლუბი შეინარჩუნა.

**ჩოგბურთი**

## სამპრასი მაისში დაბრუნდება

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კორტს უბრუნდება ლეგენდარული ამერიკელი ჩოგბურთელი **პიტ სამპრასი**. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მონაწილეობას მიიღებს ვეტერანთა ტურის - Champions series-ის ერთ-ერთ ტურნირში, რომელიც მაისის დასაწყისში ბოსტონში გაიმართება.

სააგენტო AP-ის ინფორმაციით, 2-6 მაისს, ბოსტონის კორტზე სამპრასთან ერთად კიდევ ორი ამერიკელი - **ჯონ მაკინროი** და **ჯიმ კურიე** ითამაშებენ. პირველ შეხვედრაში სამპრასი ჩეხ **პეტრ კორდას** შეხვდება, ორი დღის შემდეგ კი, ჯონ მაკინროის დაუპირისპირდება.

# TV სპორტი

**6 აპრილი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:15 უიქენდის მატჩების ანონსი.
12:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი.
13:45 ტოქ-შოუ - 2:1.
14:30 პირდაპირი ხაზი.
15:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:45 საფეხბურთო კლუბი.
16:15 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.
18:05 სასტვენი.
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
19:30 საფეხბურთო კლუბი.
20:15 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ჩარლტონი (LIVE).
22:20 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:15 რუსეთის ჩემპიონატი.
02:15 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:05 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბეირა მარი.
08:50 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:50 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ესპანიოლი-ბენფიკა.
11:35 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
12:05 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ალკმაარი-ვერდერი.
13:50 ფიტნესი.
14:15 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. დინამო-პანათინაიკოსი.
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. სევილია-ტოტენჰემი.
18:15 სპორტინფორმი.
18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
19:30 სპორტინფორმი.
19:40 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-პიტსბურგი.
21:25 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
21:57 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:25 სპორტინფორმი.
22:35 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. სენსიანო (პერუ)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
00:20 სპორტინფორმი.
00:30 კრივი. რინგ-საიდი.
01:30 სპორტინფორმი.
01:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ესპანიოლი-ბენფიკა.
03:30 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:58 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ანაჰაიმი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**EUROSPORT**

09:30 აფროსნობა.
09:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალია.
10:45 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. ფინალი. პეკინი.
12:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ფლეი ოფი. ედმონტონი. კანადა.
14:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი.
15:15 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
15:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი.
16:45 მულტისპორტი.
17:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი.
18:00 ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. ბელგრადი. სერბეთი (LIVE).
19:30 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
20:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ამელია აილენდი. აშშ (LIVE).
21:45 ჩოგბურთი.
22:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. პოლონეთი.
22:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი. რუსეთი.
23:00 პოკერი. ევროპის ტური. ბადენი. ავსტრია.
00:00 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
00:30 ექსტრემალური სპორტი.
01:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ოსასუნა.

**EUROSPORT-2**

08:30 ახალი ამბები.
11:00 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. ახალი ზელანდია-უელსი. ბელფასტი. ირლანდია.
12:00 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. ირლანდია-ავსტრალია. ბელფასტი. ირლანდია.
13:00 ახალი ამბები.
15:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ლოს ანჯელესი.
16:00 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. ახალი ზელანდია-უელსი. ბელფასტი. ირლანდია.
17:00 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი. UNDER 19. ჯგუფური ტურნირი. ირლანდია-ავსტრალია. ბელფასტი. ირლანდია.
18:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
19:00 ახალი ამბები.
19:30 ექსტრემალური სპორტი.
20:00 მულტისპორტი.
20:30 ახალი ამბები.
21:15 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
21:30 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
22:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
23:30 კიკ-ბოქსინგი.
00:45 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
01:00 ახალი ამბები.
01:30 რესტლინგი.
03:00 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუე-კიოლნი | 0:1 |
| ჰანზა-პადერბორნი | 2:0 |
| კობლენცი-ესენი | 0:1 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| ჰოფენჰაიმი-ინგოლშტადტი | 0:0 |
| შტ. კიკერსი-ზიგენი | 0:3 |

**დანია**

| | |
|---|---|
| ოლბორგი-მიდტიულანდი | 0:2 |
| რანდერსი-ნორდსიელანდი | 1:6 |
| ვეილე-ჰორსენსი | 0:0 |
| ვიბორგი-ოდენსე | 0:2 |
| კოპენჰაგენი-სილკებორგი | 3:1 |
| ესბერგი-ბრონდბიუ | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფრემადი-ოლსტიკე | 0:0 |
| ბრაბრანდი-აგფ ორჰუსი | 1:1 |
| ორჰუსი-აკადემისკი | 2:1 |
| ფრედერისია-კიოლდინგი | 1:4 |
| ჰერფიოლგე-ფრემი | 0:1 |
| ლინგბიუ-კიოგე | 5:3 |
| ნესტვედი-ტისტედი | 2:2 |
| სიონდერილი-ვაი | 2:0 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| კონკორდია-დელემონი | 3:3 |
| ვინტერთური-ვადუცი | 2:0 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ბელხატოვი-ზაგლებე | 3:1 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| დინამო-პანათინაიკოსი | 65:73 |
| მაკაბი-ცსკა | 68:56 |
| ოლიმპიაკოსი-ტაუგრესი | 89:95 |
| ბარსელონა-უნიკახა | 80:58 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ბურჟი-კლერმონი | 79:66 |

**ჰოკეი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| დიუსელდორფი-ნიურნბერგი | 4:4 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰპკ-კიეკო | 7:2 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| პარდუბიცე-სპარტა | 3:5 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| დავოსი-ბერნი | 3:1 |

**ჩოგბურთი**

**WTA. ამელია აილენდი**

| | |
|---|---|
| საფინა-სრებოტნიკი | 6:3, 6:1 |
| ბამერი-შპრემი | 6:2, 6:3 |
| პეტროვა-ჟენგი | 6:2, 6:3 |
| იანკოვიჩი-ა. ბონდარენკო | 6:2, 6:0 |
| ივანოვიჩი-დეში | 6:1, 6:1 |
| ვ. უილიამსი-ტუ | 6:2, 7:5 |
| გოლოვინი-სტოსური | 6:2, 6:1 |

# ფეხბურთი

UEFA CUP

## უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

**ლევერკუზენი-ოსასუნა 0:3**

ლევერკუზენი: ადლერი, ჟუანი, ჰაგი, როლფესი, ბარნეტა, ბარბარესი, კისლინგი (46. ფრაიერი), ვორონინი, ბაბიჩი, შნაიდერი, კასტრო (69. ატირსონი)

ოსასუნა: რიკარდო ლოპესი, ისკუერდო, კუელიარი, რაულ გარსია (82. მუნიოსი), კრუჩაგა, მილოშევიჩი, ხუანფრანი (66. ვალდო), დავიდ ლოპესი, სოლდადო (72. ვებო), კორალესი, იონ დომინგესი

გოლები: 0:1 კუელიარი (1), 0:2 დ. ლოპესი (71), 0:3 ვებო (73)

გაფრთხილება: 1-3

მაყურებელი: 22 500

**ალკმაარი-ვერდერი 0:0**

ალკმაარი: ვატერმანი, იალიენსი, დე კლერი, არველაძე, მარტენსი, დონკი, დემბელე, კუვერმანსი (83. ცზიომერი), დე ზეუვი (76. ლუირინკი), სტეინსონი, იენერი (87. ლენსი)

ვერდერი: ვიზე, ნალდო, ვომე, ვრანიეში, ფრიტცი, დიეგო, კლოზე, ოვომოიელა, ფრინგსი, ალმეიდა (67. ჰანტი), მერტეზაკერი

გოლები:

გაფრთხილება: 2-1

მაყურებელი: 16 000

**ესპანიოლი-ბენფიკა 3:2**

ესპანიოლი: გორკა ირაისოსი, ზაბალეტა (69. ლაკრუსი), დელა პენია, ლუის გარსია, რიერა, რუფეტე (80. იტო), ტორეხონი, ხარკე, მოიზესი, ტამუდო (53. პანდიანი), ჩიკა

ბენფიკა: ქუიმი, ანდერსონი, ლეო, პეტი, სიმაო, ნუნო გომეში, ნელსონი, მორეირა მარინიო, კარაგუნისი, დერლეი (57. მიკოლი), ჟოაო კოიმბრა (36. რუი კოშტა)

გოლები: 1:0 ტამუდო (15), 2:0 რიერა (33), 3:0 პანდიანი (58), 3:1 ნ. გომეში (63), 3:2 სიმაო (65)

გაფრთხილება: 2-2

მაყურებელი: 35 000

**სევილია-ტოტენჰემი 2:1**

სევილია: პალოპი, ხავი ნავარო, დავიდი (68. დრაგუტინოვიჩი), დანიელი, ადრიანო, პოულსენი, კერჟაკოვი, რენატო (61. მარტი), კანუტი, ესკუდე, ხესუს ნავასი

ტოტენჰემი: რობინსონი, შიმბონდა, ლი, ზოკორა, ტაინიო (84. გელი), სტალტერი, ჯენასი, ბერბატოვი, კინი, დოუსონი, ლენონი (80. მალბრანკი)

გოლები: 0:1 კინი (2), 1:1 კანუტი (19, პენ), 2:1 კერჟაკოვი (36)

გაფრთხილება: 1-4

მაყურებელი: 32 000

ჩიკაგო ბულზი. დიდი გუნდის ისტორია. II ნაწილი

# ერთადერთი და განუმეორებელი



უკვდავი ტანდემი: სკოტი პიპენი და მაიკლ ჯორდანი

## ჯორდანის ფაქტორი

1995 წლის ფლეი ოფში "ორლანდო მეჯიქთან" წაგებული სერიის შემდეგ, **მაიკლ ჯორდანმა** თავის პირად მწვრთნელს ფიზმომზადებაში **ტიმ გროვერს** ახალი, წინა წლებთან შედარებით დატვირთული მოსამზადებელი პროგრამის შემუშავება დაავალა.

**სკოტი პიპენი: "მაიკლი** 40 წუთს ძველებურად ერთ ამოსუნთქვაზე ველარ ატარებდა. საჭირო იყო დატვირთვის გაორმაგება, რათა დამქანცველი რეგულარულის მსვლელობისას ჯორდანს ენერგია რაციონალურად გადაენაწილებინა. **ტიმ გროვერი** თავის საქმეში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ჯორდანი 4 თვის განმავლობაში სატრენაჟორო დარბაზიდან არ გამოდიოდა, რამდენჯერმე კი მაიკლთან ერთად მეც წავივარჯიშე.

*სიმართლე გითხრათ, ყოველთვის მიკვირდა, როგორ უძლებდა ეს ადამიანი ასეთ ზეწოლას. წარმოიდგინეთ, თვალს რომ გაახელ და იცი, რომ საკუთარ თავს მთელი დღის განმავლობაში მაქსიმუმ ერთ საათს დაუთმობ და ისიც ძილის წინ.*

*ჯორდანის განრიგს ერთბაშად 7-8 მრჩეველი ადგენდა. დავუშვათ, მაიკლს ათის ნახევარზე ერთ-ერთ ჟურნალისტთან აქვს დანიშნული ინტერვიუ, ათ საათზე კი იგი დარბაზში უნდა იყოს. ჯორდანი ამ შემთხვევაში ურეკავდა ჟურნალისტს და მრჩევლის გარეშე შემდეგ რამეზე უთანხმდებოდა - მაიკლი მას მანქანით მიაკითხავდა, ხოლო სანამ დარბაზამდე მივიდოდნენ, მასმედიის წარმომადგენელს ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინა ინტერვიუს ჩასაწერად.*

*ჯორდანს ერთხელ უჩივლეს კიდეც, შეპირებული ნახევარი საათის ნაცვლად "მხოლოდ" 25 წუთი გაგვესაუბრა, დარჩენილ დროში დასასმელი კითხვების შეკვეცის გამო კი, ინტერვიუ გაგვიფუჭდა და ჰონორარი დაგვაკლესო. მაიკლმა იმ ჟურნალისტს იმაზე მეტი გადაუხადა, ვიდრე მას იმ თვეში უნდა მიეღო. ამის შემდეგ ჯორდანი ჟურნალისტებს შეხვედრაზე წინასწარ შეთანხმების გარეშე აღარ ხვდებოდა.*

*სეზონს დავუბრუნდეთ.*

**ჰაკიმის** "ჰიუსტონი" ლიგის ორგზის მოქმედი ჩემპიონი იყო და ტიტულის შენარჩუნების მთავარ ფავორიტადაც ითვლებოდა. ყოველ შემთხვევაში, როდესაც მოთამაშეებში ჩატარდა გამოკითხვა, თუ ვინ მოიგებდა რეგულარულს, უმრავლესობამ პირველ ადგილზე "ჰიუსტონი" გაიყვანა, მერე კი "ნიუ იორკსა" და ჩვენ გვასახელებდნენ.

*"ნიქსი" ისევ ის იყო, რაც წინა წლებში.* ***პატრიკ იუინგის*** გარშემო აგებული გუნდი, რომელსაც დაცვაში ნებისმიერი მეტოქის გაგუდვა შეეძლო. სოლიდურად გამოიყურებოდნენ "სიეტლი" და "სან ანტონიო", კარგი გუნდი უნდა ჰყოლოდა "იუტასაც", **შაკილ ონილის** "ორლანდო" კი აღმოსავლეთში "ნიქსის" მერე ჩვენთან ერთად კონფერენციის ფინალში გასვლის მთავარ ფავორიტად ითვლებოდა.

*მაიკლმა პირველ ათ შეხვედრაში საშუალოდ 36 თუ 37 ქულა დააგროვა, რის მერეც ბუკმეკერებმა ფავორიტად უკვე "ბულზი" დაასახელეს.*

*ერთ-ერთი მატჩის წინ გამართულ ვარჯიშზე* ***ფილ ჯექსონმა*** 15 წუთით გადაღების უფლება ტელეოპერატორებსაც მისცა.

*ყველაფერი როგორღაც სპონტანურად მოხდა. მაიკლმა არც კი იცოდა, რომ ვარჯიში ღია უნდა ყოფილიყო. ჟურნალისტები და ოპერატორები შედიან დარბაზში და ხედავენ, თუ როგორ ამეცადინებს მაიკლ ჯორდანი* ***ჯეისონ კეფის****, ამ წყვილს კი ბურთებს* ***ჯეიმს ედვარდსი*** *ანვდის.*

*ჯორდანმა უცხო ხალხი რომ შენიშნა, ვარჯიში რამდენიმე წამით შეწყვიტა, ფილს გადახედა და როდესაც ჯექსონისგან დადებითი პასუხი მიიღო, ვარჯიში გააგრძელა, იმავე საღამოს კი მაიკლი პირდაპირ ეთერში იყო, სადაც დაახლოებით შემდეგი რამ განაცხადა - ძალიან მიკვირს, როდესაც ჟურნალისტები მხოლოდ მაშინ მიახლოვდებიან, როდესაც სხვა რამეზე საწერი აღარ აქვთ. ჯორდანის თემა ბევრისთვის დამატებითი ჰონორარის გამომუშავების საუკეთესო საშუალებაა. სად იყავით მაშინ, როდესაც მამა მომიკლეს, თქვენ კი უფრო მეტი ყურადღება საკოლეჯო ფინალის შეხვედრას დაუთმეთო?*

*არა, მაიკლი ნაწყენი არ იყო, მაგრამ მის საუბარში აშკარად შეინიშნებოდა სევდა. ჯორდანი თავისი საქმის უდიდესი პროფესიონალი იყო და სხვებისგანაც იგივეს ითხოვდა.*

*მოგვიანებით, როდესაც უკვე "პორტლენდში" ვთამაშობდი, მაიკლი კი კალათბურთს პრაქტიკულად, ჩამოშორებული იყო, ჯორდანს "ტრეილ ბლეიზერსში" ერთ-ერთ კონსულტანტად გადმოსვლა სურდა, მაგრამ გუნდის ბოსებმა უარი განუცხადეს. ძალიანაც შეცდნენ, რადგან ჯორდანს იმ გუნდისთვის ჩემპიონობის მოტანა შეეძლო. ხომ გახსოვთ, "ლეიკერსთან" მოგებული სერია წავაგეთ. ჯორდანი "ვაშინგტონში" ჯერ არ იყო გადასული და მთელი გულით სურდა, ჩემთან ერთად, ოღონდ ამჯერად კონსულნტანტის რანგში, კიდევ ერთი ჩემპიონობა მოეპოვებინა. "*

## კიდევ ერთი რეკორდი

1995-96 წლების სეზონის დაწყებამდე ოდნავ შემცირდა სამქულიანის რკალის არეალი. 23.9 ფუტიდან მანძილი 22 ფუტამდე დაიყვანეს, რაც ჯორდანისთვის იდეალური იყო."

მაიკლმა ამ წელს მართლაც პირადი რეკორდი დაამყარა ნასროლი და გამოყენებული სამქულიანების მხრივ. 260 შორეული ტყორცნიდან ჯორდანმა ზუსტად 111 შეასრულა, რამაც ჯამში 42.7 პროცენტი შეადგინა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ წინა რეგულარულს, რომლის მსვლელობისას ჯორდანმა მხოლოდ 17 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, მაშინ ეს შედეგი მის კარიერაში დღემდე საუკეთესოდ რჩება.

გაუუარესდა პირადი სტატისტიკა პიპენს, რომელიც წინა ორი სეზონის განმავლობაში ახლოს იყო რეგულარულის უძვირფასესის ტიტულის მოპოვებასთან, მაგრამ ჯერ ჰაკიმ ოლაჯუონს დაუთმო ეს ჯილდო, მეორე სეზონში კი სკოტისა და დანარჩენ ვარსკვლავებს "ადმირალ" რობინსონმა აჯობა.

თუ 1994-95 წლების სეზონში პიპენი ერთ მატჩში საშუალოდ 21.4 ქულას, 8.1 მოხსნას, 5.2 შედეგიან გადაცემას, 2.94 ჩაჭრასა და 1.13 დაფარებას აგროვებდა, შემდეგ სეზონში, ანუ გუნდში ჯორდანის დაბრუნების შემდეგ, ეს სტატისტიკა ასე გამოიყურებოდა - 19.4, 6.4, 5.9, 1.73 და 0.74. რეგრესი სახეზე იყო, მაგრამ სკოტისთვის უმთავრესი მაინც ჯორდანთან ერთად თამაში გახლდათ.

რეგულარულის ერთ-ერთ უკანასკნელ შეხვედრაში, რომელშიც "ჩიკაგომ" გასვლაზე 90:86 "ორლანდო" დაამარცხა, პიპენმა რამდენჯერმე მაიკლს ისეთი გადაცემა გაუკეთა, რომ სკოტის ჯორდანმაც კი ტაში დაუკრა.

ეს იყო ფენომენალური წყვილი, რომელსაც ნებისმიერი სერიის, ნებისმიერი მატჩის მოგება შეეძლო.

ხალხი დღემდე ვერ ივიწყებს წარსულის სხვა ლეგენდარულ გუნდებს, მაგრამ გადახედეთ "ჩიკაგოს" 1995-96 წლების შემადგენლობას და თუ ამ გუნდს რომელიმე წინამორბედ ბობოლას შემდეგ დააყენებთ... პრინციპში, თქვენი ნებაა.

"ჩიკაგომ" ის სეზონი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: **რენდი ბრაუნი, ჯად ბიუჩლერი, ჯეისონ კეფი, ჯეიმს ედვარდსი, ჯეკ ჰილი, რონ ჰარპერი, სტივ კერი, ტონი კუკოჩი, ლიუკ ლონგლი, სკოტი პიპენი, დენის როდმანი, დიკი სიმპკინსი და რაღა თქმა უნდა, მაიკლ ჯორდანი.**

## თავს მხოლოდ ჯორდანს უხრიდა

ერთი წლის წინათ გამართულ ფლეი ოფში **დენის როდმანმა** "ჰიუსტონ როკეტსის" წინააღმდეგ სერიაში ნამდვილი დებოში მოაწყო.

დენისი "სან ანტონიო სპურსის" ღირსებას იცავდა. იმ სეზონში **დევიდ რობინსონი** რეგულარულის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს და ფლეი ოფის დაწყებამდე "სპურსის" ლიდერი **ჯეი ლენოს** ტრადიციულ გადაცემაში საპატიო სტუმრადაც მიიპატიჟეს. როდმანი ამ გადაცემის სტუმარი რამდენჯერმე ყოფილა, მაგრამ დენისმა ღიად გამოხატა თავისი უკმაყოფილება იმის გამო, რომ მის ნაცვლად ლენომ "ვიღაც რობინსონი" აირჩია.

როდმანი ვარჯიშებზე აღარ დადიოდა, ხოლო "ჰიუსტონთან" სერიაში მისი გუნდი თანაშტატელთან საბოლოოდ სწორედ დენისის გულგრილობის გამო დამარცხდა.

ბრწყინვალე ფორმაში მყოფ **ოლაჯუონს** რობინსონი ვერაფერს უხერხებდა, ხოლო როდესაც ჰაკიმზე ადმირალის გარდა, კიდევ ერთი მეურვე გადადიოდა, ოლაჯუონს პერიმეტრზე გადაჰქონდა ბურთი, სადაც "სან ანტონიოს" ახალგაზრდა **სემ კასელი** და კიდევ ერთი უნიჭიერესი მოთამაშე, **რობერტ ორი** ბომბავდნენ.

ორის წინააღმდეგ როდმანს უნდა ეთამაშა, მაგრამ დენისს უბრალოდ, არ სურდა ამ სერიაში ბოლომდე დახარჯვა.

როდესაც "ჰიუსტონმა" "სან ანტონიოს" სერიის პირველი ორი მატჩი მისსავე მოედანზე მოუგო, როდმანმა ღიად განაცხადა, საუკეთესო ხომ რობინსონია, ჰოდა, პასუხიც მას მოსთხოვეთო. იქვე დაამატა, მომდევნო სეზონიდან აქ გამჩერებელი არ ვარ, სოფლელებთან ერთად თამაშის პერსპექტივა ნაღდად არ მხიბლავსო.

დენისი სერიის დასრულებისთანავე გაუშვეს გუნდიდან.

სკოტი პიპენი: *"მანამდეც აღვნიშნე, რომ როდმანის სახით "ჩიკაგომ" დინამიტი დაიმატა. პიროვნება, ვისთვისაც არ არსებობდა ავტორიტეტი და ადამიანი, რომელიც სანახევროდაც არ იყენებდა ღმერთისგან ბოძებულ ნიჭს. დენისი ალბათ ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი დამცველი არის, მაგრამ რომ ევარჯიშა, შეტევაშიც ათმაგად პროდუქტიული იქნებოდა.*

*როგორ შეეწყობოდნენ ერთმანეთს მაიკლი და დენისი?*

*ვარჯიშზე საცვალში გამოცხადების შემდეგ როდმანმა ჯორდანისგან გასახდელში საყვედური მიიღო. მაიკლი მას არაფერს უმტკიცებდა, უბრალოდ, გააფრთხილა, კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა და პირადად მოვითხოვ შენ დასჯასო.*

*როდმანს არაფერი უთქვამს, მაგრამ ორი კვირის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე, "ბოსტონთან" შეხვედრის შემდეგ (იმ მატჩში როდმანმა 12 ქულა და 29 მოხსნა დააგროვა), როდმანმა ჟურნალისტებს განუცხადა - ჩემს წინა გუნდებში ბოსი მხოლოდ და მხოლოდ მწვრთნელი იყო, "ჩიკაგოში" კი ყველაფერი ჯორდანის ირგვლივაა და როგორც ნაღდი პროფესიონალი, მაიკლის ნებისმიერ გადაწყვეტილებას დავეთანხმებიო.*

*ვერ გეტყვით, რომ დენისმა თავისი დანაპირები ასი პროცენტით შეასრულა, თუმცა ყველა დამეთანხმებით, რომ როდმანმა კარიერაში ყველაზე კორექტული სეზონი ჩაატარა. რეგულარულში მან ტრავმების გამო, სადღაც 15-მდე მატჩი გამოტოვა და დარჩენილ შეხვედრებში "სულ რაღაც" 12 ტექნიკური შენიშვნა მიიღო. დღეს დევიდ სტერნი რაშიდ უოლასს სეზონში 15 ტექნიკურის გამო მიწასთან ასწორებს, როდმანისთვის კი ეს ყოველწლიური ნორმა იყო.*

*როდესაც "ჩიკაგომ" საჩემპიონო ალლუმი ჩაატარა, მაიკლი სიტყვით გამოვიდა და ფანებისთვის მადლობის გადახდის შემდეგ, ყველაზე გულითადი მადლობა დენისს გადაუხადა. მადლობა თავდადებისთვის და იმისთვის, რომ არ შეგვარცხვინეო, განაცხადა ჯორდანმა."*

**გაგრძელება იქნება**

**ზურაბ თალაკვაძე**



საჩემპიონო შხაპი შამპანურით


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
პაჭა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ზაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა